

Handwritten notes in a circle:  
ქართული  
მეცნიერება  
1933 წ.

Handwritten signature or initials.

საქართველო

1933 წ.

თ ბ ი უ რ ი


15/4

# ს რ მ ს უ რ ი

წელიწადი მესამე

№ 1

თბილისი, 1900



ბ ზ ი ლ ი ს ი

სტამბა ვკ. ივ. ზელოძისა. ჯ. ტაი. ნ. ხელაძე.

1900

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## პირველი განყოფილება.

		გვ.
I	ჩემი აღსარება აკაკის	1 — 4
II	ჭუთათუბის საახალწლო დღისთეოსის	5 — 7
III	მებათა მება (ლექსი)	8 — 11
IV	ნათელა (ძველებური ამბავი) აკაკის	13 — 64
V	ქართველთა წარმართობის ღმერთთა გინათ საღმურნი ფ. ჯ. — სს	65 — 68
VI	ჯაბუა მრამელიანს (ლექსი) ბესიკის	69 —
VII	ლემსი (გაგონილი სპირიდონ ხძალოძის საგან და ჩაწერილი გ. კ — შვ — ლისაგან)	70 — 71
VIII	წიგნი მიწერილი სვიმონ წერეთლისაგან სახუცის ფვილისა ამისადმი ტრაპიზონიდან	72 — 73
IX	ქართველთა ხელოვნები და ხელოვნობა საქართველოში ფ. ჯ. — სს	75 — 92
X	ახალციხე ვინმე მესხის	93 — 109
XI	არხეოლოგიური ფურცლები ვინმე მესხის	111 — 142

## მეორე განყოფილება.

I	ხალხური ლექსები შეკრებილი სოსიკო მერკვეილასის-მიერ	143 —
II	ანდაზები (მისივე)	144 — 145
III	გამოცანები (მისივე)	146 —
IV	ფშაური სიმღერები შეკრებილი გრ აფშინა შვილისაგან	147 — 154
V	განცხადებანი	



Дозволено Цензурою. Тифлисъ, 4-го Февраля 1900 г.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პირველი განყოფილება.

	გვ.
I ჩემი აღსარება აკაკისა . . . . .	1— 4
II ქუთათუკი საახალწლო დოსითეოსისა . . . . .	5— 7
III ქვაბთა-ქვაბა (ლექსი) . . . . .	8— 11
IV ნათელა (ძველებური ამბავი) აკაკისა . . . . .	13—64
V ქართველთ წარმართობის ღმერთთა ბინათ საღმურნი ზ. ჭ.—სა . . . . .	65— 68
VI ჭაბუა ორბელიანს (ლექსი) ბესიკისა . . . . .	69—
VII ლექსი (გაგონილი სპირიდონ ხმალადი- საგან და ჩაწერილი გ. კ.—შვლისაგან. . . . .	70— 71
VIII <u>წიგნი მიწვარილი სვიმონ წამეთლი- საგან სახუცის შვილისა ქმისადმი ტრაპიზონიდან . . . . .</u>	72— 73
IX <u>ქართველთ ხელოსნები და ხელოსნო- ბა საქართველთჳი ზ. ჭ.—სა . . . . .</u>	75— 92
X ახალციხე ვინმე მესხისა . . . . .	93—109
XI <u>არხეოლოგიური ფურცლები ვინმე მესხისა . . . . .</u>	111—142

მეორე განყოფილება.

I ხალხური ლექსები შეკრებილი სოსიკო მერკველასძის-მიერ . . . . .	143—
II ანდაზები (მისივე) . . . . .	144—145
III გამოცანები (მისივე) . . . . .	146—
IV ფშაური სიმღერები შეკრებილი გრ. აფშინაშვილისაგან . . . . .	147—154
V განცხადებანი . . . . .	



# ჩემი აღსარება

„წასვლა და აღარ მოსვლა შენი. წინ წყალი, უკან მეწყერა!“ მეცხრამეტე საუკუნე! მე შენ საყვედურის მეტი არა მპარაუბს-რა... სხვებს ყველას მთარველ ანგელოზად მოველინე და მე კი ცბაერ დალაღად შემომეპარე: მძინარს მამხადე ძალი და, დღეს თმა-გადაკეცილი, შენი წისქვილის ქვაკუ ვაბრუნებ; შენს საფქვავს ვამზადებ და შენვე კი დამცანი! მარტოებს, რომ დავიფიწყო წმინდა სიონის-გალობა და ფაღისტიმლურად გიმღერ-გიღიდინო. კურთხეულ იყოს გონება, სიკვდილ-სიცოცხლის მომცემი და ავ-კარგის მომნიჭებელი მან გვიმაგალითა „მოთმინება იობისი“ და „ტანჯვა ამირანისა“; მაგრამ მანვე მოგვმადლა „სიკვდილითა საკუდლის დაფრგუნვა“ და „სათლავების შანათა ცხოვრების მინიჭება!..“

როგორც მოწმუნე ქრისტიანს უფლება არა მაქვს, რომ გული გავიტყხო! მეცა მრწამს და მოველი, რომ მეცხრამეტე საუკუნის დანაკლისს მეოცე საუკუნე შემეივსებს. მართალია მე თვითონ კი ვეღარას მოვესწრები, მაგრამ ჩემი შვილები ხომ ეღირებებიან და ესეც კარგი ღვთის წყალობა და დიდი სანუგეშო იმედია. ტყვილად კი არ უაქვამს ჩვენს ძველებს: „მამა შვილისაგან ითავსებაო“. მეც ისინი ჩამომმახებენ საფლავში და მიმახარობლებენ, საფლავში ჩანაყოლ სურვილის განხორციელებას. ამ თავითვე ასე მეჩურჩულება ოცნება და მო-

მავლის იმედი დღევანდელ ჩემს წყლულს მალამოდ ედება. ბევრს აღარას ვნადვლობ. მე გინდ ყეფითაც მიმაცილონ საფლავის კარამდე, ოღონდ კი მომავლის აკვანს „მზე შინათი“ მიეგებოს ჩვენი ერი!.. მაგრამ რას ვამბობ? ხა-ხა-ხა-ხა-ხა! ჯერ რომ კადევ ცოცხალი ვარ, არ მომკვდარვარ და მკბენენ, საკვდილის შემდეგ მარტო ყეფას ვინ მაკმარებს? ასე რომ ეს შეცხრამეტე ჩემი თანამედროვე საუკუნო ჩემთვის საუბედურო, სახიფათო და უსამართლო იყო. ცხოვრებისაც ვეღარა გამიჯია-რა: ვისაც მე თვითონ ვუყუფელი, ისინი არას მერჩიან და ვისაც ვუგალობდით ისინი კი მიყუფენ. ნეტავი მეც ყველასათვის მიყუფა თუ კი ხელის შემშლელი აღარავინ მეყოლებოდა და მოსვენებითაც ვიქმნებოდი! მაგრამ რაღა დროს, გვიანლა არის ყოლიფერი. ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „ყოლიფერი-ნაადრი სჯობს სიკვდილის მეტიო“. ახლა რომ კიდევ აყუფედე რაღას მომეხმარება? თუმცა ერთი სახალხო არაკი კი სულ სხვას გვეუბნება: ერთი საწყალი გლეხი ხნავდა თავისთვის მიწას და ოფლი წურწურით ჩამოდიოდა. მოულოდნელად წამოადგა თავზე დათვი და უთხრი: დამნებდი, დამმოჩილდიო! საწყალი მუშა შიშის ზარმა აიტანა და კანკალით უპასუხა: რას მერჩი, რა დამიშავებიაო? ეს მე ვიციო—განაგრძო დათუნია—ძალია ჩემ ხელთ არის, მაგ მიწას აღრე გამოხნამო, აღრე გამოგხრამო და გვიან გამოხნამო, გვიან გამოგხრამო. შეწუხდა გლეხი და სთქვა გუნებაში: ჩემი თოფი რომ თან წამომელთ და ხელში მჭეროდა, ეს აღარ დამემართებოდაო და ახლა რაღა ძალია მაქვს, რომ ნებას არ დავყუეო? წამოუჩოქა და შეევედრა: ჩემო ბატონო! ეხედავ, რომ შენი წერა ვყოფილვარ და მეტი რაღა გზა მაქვს, რომ არ დაგნებდეთ, მაგრამ ერთი სათხოვარი კი მაქვსო:

წერილი ცოლ-შვილი ობლად და უპატრონოდ დამრჩე-  
ბიან და იმდენი წყალობა მოიღო ჩემს თავზე, რომ ეს  
შინდლორი მაინც დაუტევო იმ საცოდავებს დახნული და  
სწანამ არ დაეხნა მაცალეო. თვარამ ახლავე თუ შომინ-  
დომე შექმა, ცოლ-შვილის სიბრალოებით მე უნდა ტი-  
რილი და ყვარილი დაეწყო და, ვინ იცის, ჩემ ხმაზედ  
რომ ვინმე წამოგვესწროს, თქვენც ხელო შეგეშლებათ  
და მეც ტყვილა უბრალოდ გაფუჭდებო, როცა დავხნავ,  
მაშინ კი გულდამშვიდებული ჩემი ნებით გაიხლებით,  
კრინტსაც აღარ დავსძრავ და რაც გენებოსთ ის მიყავითო.  
დაუჯდა ეს რჩევა ქკუაში დავით-აღას; დაეთანხმა და  
მიწვა იქვე ჩრდილში. დიდ-ხანს უყურყურტა. დაიწყო მუ-  
შამ აუჩქარებლად ნელ-ნელა ხენა. ხან მარცხნივ უგდე-  
ბდა სახნისს და ხან მარჯვნივ. დათეს ლოდინში ძილი  
შემოეპარა და ამოუშვა ფშვინი. მუშამ იფიქრა: ახლა  
მაქვს დროვო, აიღო სახნისი, გადააბრუნა, მოიმარჯვა  
საკვეთი, მიეპარა, დასცხო თავში და ტვინი გაუთქვიფა.  
ღმერთს მადლი შესწირა და სთქვა: „ხერხი სჯობია ლო-  
ნებსო თუ კაცი მოიგონებსო.“

ეს არაკი იმას გვასწავებს, რომ უსაშველო არა  
არის რა და მეც იმიტომ არ ვიტებ გულს. მკითხველი,  
რასაკვირველია, მიმხვდარია, რომ მე დღევანდელი ჩემი  
მდგომარეობა მაქვს სახეში და საკუთრადაც ჩემს თავზე  
ვლაპარაკობ. მაინც ხომ ამტკიცებენ ზოგიერთები, რომ  
„აკაკი ეგოისტია და მარტო თავის თავზედ ლაპარაკობს  
სხვა არა აგონდება რაო“ და მეც აღარ მინდა იმათ სინ-  
დისი გაუმტყუნო. რადგანაც გამოხვრას მიპირობენ, მეც  
უნდა მოვიმარჯვო ჩემი სახნისის პირი და საკვეთად  
მტერზედ ჩემი კალამი ვიხმარო. ცხადია, ბევრს არ  
დარჩება სასიამოვნოდ ეს, მაგრამ მეტი გზა აღა-





## ქუთათური საახალწლო.

მეორე საუკუნის მოღვაწეებს მათ მათი შესაფერა ეპიტეფია.

### უ ვ ე ლ ა ს .

(ბანკობანის გამო).

თავს იმაღლეთ ხობობივით  
ბოლო გიჩანთ ყველასაო,  
მოყვრის გამცემ-გამწირველი  
მტრისგან ელით შევლასაო.

### მ ა თ ვ ე .

მწვადიც გინდათ და შამფურიც  
არც ერთს არა სწვამთო,  
სხვებს უწუნებთ ღვინის სმასაც  
თვითონ სისხლსაც სვამთო.

### უ რ უ რ ჩ ა ს .

რაც რომ თავში არახუნა  
ის ბოლოში ჩამოფქვაო:  
მაგის მიზანი ყოფილა  
თურმე ნახშირ — შავი-ქვაო.

### მ ე ლ ა კ უ ლ ა ს .

ფარად ხელში ნუ გიჭირავს  
დედაბრების ფირფიტაო!  
შევარდნობას ვერ შეიძლება  
ფრთა ფარფატო კირკიტაო.

### ქ ვ ე შ - ქ ვ ე შ ა ს .

მართლა კაცი შეგონებათ  
ლობე-მძვრალა კაცუნაო,  
ნაქურდალმა მის ჯიბეში  
თუ არ დაიტკაცუნაო.

### გ ა დ ა მ ზ ა რ ლ ა მ ფ ა ს ე ბ ლ ე ბ ს .

თუ წუნობდით რათ ითხოვდით?  
თუ ითხოვდით რათ წუნობდით?  
თუ „მიაუს“ იძახოდით  
თავებთან რად წრუწუნობდით?

### უ ზ ა უ რ ე მ ო ნ ა ლ ი რ ა მ ს .

„თბგვმა თხარა-თხარა  
კატა გამოთხარაო“  
„ვირი კურდღელს- დასდევდა  
მგელს კი შეეყარა“

### ს ა მ ე რ ი კ ო მ ა მ ო მ ს

რეცეპტები დაგავიწყდა  
პროტოკოლის წერიდაო,  
მიკვირს ხალხში თავს როგორ  
მაგ ულვაშებ-წვევრითაო.

### ზიათურის ლიბერალებს.

ოც-ოც გოჯა საყენი და  
 ათ ფუთ ქვაზე ორის პარვა,  
 სულ ეს არის თქვენი შრომა,  
 ზნეობრივი ხენა და ბარვა.

### ქლესა მოკურავს

ბატონის გული მობგენს სიძინ თანადი  
 ენა ტკბილის ტყუილითა,  
 ყმებიც მოიმაღლიერე  
 ტირილით და ზუილითა.

### მ ა ნ ა ს ე ს .

ბანკი-ბუნკი, ბანკარაო,  
 მაკაო და ბაკარაო,  
 დაკარგულზე შენც „სუ“, მეც „სუ“  
 იქ ითქვას და აქ არაო.

დოსითეოზ.

## ქებათა-ქება

სხვებმა სვან ღვინო, მე ჯღვინოთაც  
მთერალი ვარ პირად-ბედნიერებით  
და ნეტარებას მიმრავალკეცებს  
მიდამო მისის მშვენიერებით

ვიშ, ამ სალამოს,  
მშვიდსა საამოს,  
ტკბილ-ნეტარებით შეზავებულსა!..

რა უცნაურად,  
მალლით ციურად,  
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,

რომ საიდუმლო,  
სასიქადულო,  
კაცსაც ბუნების—შეატყობინოს

და სადაც ჰკუა  
სკდება და სტყუა,  
იქ მარტო, მხოლოდ გულს აგრძნობინოს!

აჰა, ვგრძნობ მეცა,  
რომ არის ზეცა,  
აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით

და ეს ქვეყანა  
ყოფელგნით ყველგანა  
თავს უზრის შემქმნელს მალლით საგრძნობით.

დახეთ ამ მთვარეს  
სხივ-მომფინარეს,  
თითქოს ტკბილ-სევდით ივსებსო გულსა!

მოკაშკაშენი,  
მოთამაშენი,  
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა

ძალთა დიდება,  
შექმნათა ქება,  
არს საიდუმლო მათი ვედრება.

ქვეყნით ბუნება  
ბანს ეუბნება  
და ეს ბანია „ქებათა-ქება“  
ყვავილთა ენა.

არს სუნნელთ ფშვენა,  
საგალობელად აღმა კმეული

წყალთა ჩქრიალი,  
ფოთოლთ შრიალი,  
ბალახთ ბიბინი, რაღაც გრძნეული,

ბუნებას მაყრულს,  
საქორწილოდ სრულს,  
ეკავშირება, ზე ემატება

და ახლა მეც ვგრძნობ,  
საიდუმლოდ ესცნობ,  
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!

რამ ამაჰაღლა ვინ შავრძნობინა,  
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა...

ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება  
ძღვევა-მოსილად გარდამიცვალა?!

შენ სიყვარულო ცისა და ქვეყნის  
კაეშირო! და თან შუამავალო!  
შენ, რომლის ერთს წამს, იმ სანეტაროს,  
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!

შენ ვისაც უვნურთ უმეტესობა  
ვერ გიგრძობს, ვერც გცნობს მხოლოდ ცილს  
და შენ მაგიერ შენის სახელით თუხუფი [გწამებს;  
ის აღიარებს პირუტყულ წამებს!]

შენ და მხოლოდ შენ კიურამატიკო,  
გამოუთქმელო კაცთა ფრენითა!..  
შენგან მგოსანი ფრთებ-შესხმული ვარ  
და მონაყარდე აღმა ფრენითა,

რომ მეც გედივით სიკვდილის წინეთა  
უცნაურ ჰანგზე ჩაეიხმატკბილო...  
გცხო წმინდა სიმებს ციურ-მალამოდ  
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო.

მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ,  
მშვენიერება უსხივეცისკარა!..  
ვინც ვარდს ელ-ფერი, იას სინაზე  
და ბუღბუღს ენა ერთად მოჰპარა!..

ას არის ჩემი ტკბილი სიზმარი  
და მომხიბლავი მძლავრი ღაცნება,  
სიყვარული რომ ტახტად უდგავა  
ვევირგვინება პატროსნება!

როცა ქაბუკი, გამოუცდელი  
მას თაყვანს ვცემდი თავ-დადებულად,  
ვხედავდი წინოს, თამარს, ქეთევანს  
იმასწი შენათხზ-შეერთებულად

და საამქვეყნოდ გულ-გრილ მოხუცი,  
დღესეც თაყვანს ვცემ, როგორც პირველად,  
თითქო ქაბუკი ვიყო მე ახლო  
და ეყოფილიყო მოხუცი ძველად!!.

სხვებმა სვან ღვინო!.. მე უღვინოდაც  
მთვრალი ვარ მეტი სიხარულითა!..  
ემატა სოფელს მშვენიერება  
ჩემს თვალში მისის სიყვარულითა!..

# ნ ა თ ე ლ ა

(ძველებური ამბავი)

## შ ე ს ა ვ ა ლ ი .

ამაღლით გრძნობავ, გონებავ!..  
ასცილდით მზე და მთვარესა!..  
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,  
მოციმციმ-მოელვარესა!

---

შეიტყვეთ საიდუმლობა  
ზეციურ ტკბილი ხმებისა  
და შეისწავლეთ კანონი  
იმათი შეთანხმებისა!

---

მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,  
ხელი შევახო ჩანგურსა  
და მწარე ზარი ამ ქვეყნის  
შეერთო იმ ქვეყნის ზევსურსა,

---

რომ მეც გალობით, გედივით,  
დავაგლო ქვეყნის საზღვარი,



ჩაედნე ჩემსავე ჰანგებში  
და გავქრე, როგორც ლამპარი...

ღიას, მსურს დაედნე და გავქრე,  
რომ მას მოეფინო ნათელი!..  
ნათელა არის იმისი,  
ვისაც მე ვამკობ, სახელი.

თ ა ვ ი I.

ერთხელ თურმე მზე და მთვარეს  
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:  
გაშორდნენ და, შემაერთი,  
ჩაინგვრიეს გზა და ხიდი.

შუა ჩადგა გველაშაპი,  
დრო იხელთა, ჩაეპარა...  
ალარც მზე სჩანს, ალარც მთვარე...  
ორივე ერთად მიეფარა.

დადგა ბნელი, საზარელი  
დრო, მხეცების სანავარდი!..  
მზის სხივების ველარ მქვრეტი,  
გახმა ია, დასკვნა ვარდი!

სწორედ ამ დროს, სიბნელის დროს,  
მოველინა ქართველს ჭირი!..

აღარც ძმობა, აღარც ყმობა,  
აღარც სიტყვა, აღარც პირი!...

ერთი ძუძუთ გამოზრდილი,  
ერთი დედის ორი შვილი,  
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში  
შეთანხმებულ, გამოცდილი:—

ამერი და იმერეთი  
აირია, აიშალა!...  
და ორივეს ჩამოაკლდა  
სიმტკიცე და ძველი ძალა.

ეს უნდოდათ მანგოლებსაც!  
გაიხარეს გულით დიდათ,  
შუა ჩადგენ და ძმებ-შუა  
შური გასდვენ გზად და ხიდად.

გაეგონათ, ქართველები  
პირდაპირად ვერვინ სძლია,  
და იმათი დამჩაგვრელი  
მხოლოდ სულის სიმდაბლია!..

გზას დაადგენ ცბიერების,  
ხალხსა ჰრყენიდენ მრავალ-გვარად;  
სიცრუე და ორპირობა  
ხელთ ეჭირათ ხრმლად და ფარად.

სიმართლეს და კარგ კაცობას  
აღარ ქონდა გასაგებო,  
და სდევნიდენ კაცურ კაცებს,  
არ ჰქონოდათ გინდა ბრალი.

ჩამოაგდს ქვეყანაში  
სიღარიბე, სიღატაკე;  
მთა და ბარი გაასწორეს,  
შეაერთეს ზღვა და ვაკე.

დღეს-ხვალობით შელახული,  
დაიჩაგრა, გატყდა ერი:  
შიგა-და შიგ გამოუჩნდა  
ძმას მისივე მოძმე მტერი!...

მამა-პაპის წალმა ხნული  
შვილი-შვილთა დაღმა ფარცხეს!  
და ამერი-იმერეთმაც  
ერთმანეთი დაამარცხეს.

ძველი ქება და დიდება  
დასქკნა უცხად, როგორც მდელიო;  
ადრინდელის ჩრდილი იყო,  
დაჩაგრული საქართველო!..

ყოველი მხრით გაისმოდა  
სულთა-ბრძოლის: „ვაი!“ „ვიში!“

და დაცემულ ქართველობის  
ღალატ ჰქონდათ მის მტრებს შაში!...

გეონათ, თუ ქართლის ბედი  
შაქუნოდ მიეფარა  
და მომავალ სიცოცხლესაც  
შეგი მიწა მიეყარა!...

რა იცოდენ, რომ მის წილ-ხვედრს  
ღედა ღვთისა არ სწირსვდა  
და ტანჯვაში გამობრძქვდილს  
მომავლისთვის იფარაედა!

ზოგჯერ კერა ჩაშქრალია...  
შეგი ნაცრის გაზე პირი,  
და უსმადო, უსიცოცხლო  
შედი აყრია მას ნახშირი!

მაგრამ, თუკმე შუა-გულში  
სინანეს ობოლ ნაკვერცხანსა  
და ინახეს მკრმისსთვის  
შეველებრივ ნათელ ძალსა!

ქვეყნის კე-აც ასეთია:  
შინდ დახუქოს მკვედრულად თვალი,  
შის გულში მიინც ღვრის  
დაფარული ნაპერწყალი!...



თ ა ვ ი II

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე  
ღვთისაგან დანათესია,  
მაგრამ იმათში ყველაზე  
შუქურა უკეთესია!...

ბევრია საქართველოში  
პირთამზე, მზეთუნახავი;  
მაგრამ „ნათელას“ რომ სჯობდეს,  
არავინ არის მნახავი.

ტანადლობა აქვს ალვის ხის  
და თვალადობა მთვარისა...  
ღიმილი — ცისკრის ვარსკვლავის,  
სხივოსან-მოელვარისა.

ვარდს მიუძღვნია ელფერი,  
სინაზე — ტურფა იასა;  
ზედ შუქი მოუფენია  
სამოთხის კარსა ღიასა.

ცისფერი მისი თვალეზი  
სამოთხის ჩამსახველია!  
კოჭებამდი სცემს ხუჭუჭი,  
შავი, უკუნი, ბნელია!..

ქალია ქველი წერეთლის,  
პატრონი „მოდინახისა“,  
უნებლიეთად დამგები  
სასიყვარულო მახისა!

აღარც დედა ჰყავს, არც მამა,  
ობლობით განაზარდია...  
ციტ მოწყვეტილი ვარსკვლავი,  
ედემში რგული ვარდია!

სადაც კი საქართველოში  
განთქმული მეომარია,—  
თვალი იმისკენ უჭირავს,  
ნათელას მაძებარია.

მაგრამ ნათელას პასუხი  
საერთოდ გადაჭრილია:  
„ჯერ ჩემი გული ყველასთვის,  
როგორც სამარც, გრილია!

და ვერაფერი გაათბობს,  
თუ არ სხვაგვარი გმირობა!  
საცოლოდ იმან მიგულოს,  
ვინც შეასრულოს პირობა:

მე ერთი ჩოხა შევჭკერე,  
თეთრი რამ... შევნიერია!

წელში ვიწროა, წერწვტია,  
ბეჭებში განიერი;

არსად ეტყობა ნაკერი,  
ძაფები დაკარგულია;  
და ოქრო-მკედით ნაქედი,  
სახეებ მოქარგულია.

შეიდი ტკაველი სიგრძე აქვს,  
და შესაფერი განია!... —  
ოქროს ღილები შემიბამს,  
კრემლებით გამიბანია.

ვისაც ის ტანზე მოუვა,  
იმან ჩაიცვას, სხვამ არა!...  
მაგრამ, სხვაც არის პირობა  
ეს ერთი მარტო არ კმარა.

წავიდეს, შტრებში იოზოს,  
გვიჩვენოს ძალა მკლავისა!  
წითლად შეჭლებოს საპირე  
ამ ჩემი ნახელავისა!...

ნახოს სახელი მისთანა,  
რომ არ ენახოთ არც ძველად:  
ას-ოცი თავი მომართვას  
ჩემი სარების სარქველად;

რომ შემოველოს შესერად  
ამ ჩემ დიდ ციხე-დარბაზსა...  
და მაშინ მხოლოდ ეს გული  
გათბება... დასდებს მას ფასსა!“

ყოველი კუთხით გაისმა  
ეს უცნიური პირობა!  
ყველას უნდოდა ესინჯა...  
გამოეცადა გმირობა.

მთლად მოეხიბლა ქვეყანა  
ნათელას ციურ სახესა:  
გუნდათ-და-გუნდათ მოატყდენ  
გმირები მოდინახესა!...

სინჯვენ... არ ერგო ის ჩოხა  
არავის ტანადობასა!...  
ეთხოვებიან ნათელას  
და სჯერდებიან დობასა.

დღე დღეზე მიდის, თვე თვეზე,  
გარბიან წელიწადები!  
და ფრთებს იკვეცავს სურვილი,  
ნათელას გულში ნადები:

„ეი, თუ ცუდად ვაჩვენებ  
ქაბუკ დროს, სინჯეთაროს...“



და ჩემმა გიჟმა ოცნებამ  
ამაოდ ჩამიაროს?!!.

თ ა ვ ი III.

მალლიდან გადმომდგარიყო  
მზეთუნახავი ნათელა;  
სარკმელში იყურებოდა,  
გული უცემდა ნელ-ნელა.

სევდა რამ შემოწოლოდა  
შავი ფიქრებით მღელვარეს;  
შეეკრა ტვერი წარბები,  
სახეს ჩრდილაედა ელვარეს.

ხან ფაქრით გატაცებული  
შორს აშტერებდა თვალებსა,  
ხან ისევ გონზე მოსული  
გადაჰყურებდა ქალებსა.

ყვირილა ადიდებული,  
მოაკლავნოდა ღრიალით,  
რეტი ესხმოდა ქალებში  
აქეთ-და-იქით ტრიალით!!.

ხიდი წახვეტა, რაც იყო,  
შეჰკრა გზა გაღმა-გამოდმისი.

დიღზე უწევდა მუქარა  
მისი მყვირალა ცივი ხმის.

ანაზღად შორით გამოჩნდა  
მხედარი თეთრი ცხენითა,  
შოაგეღვებდა მერანსა,  
თითქოს მოჰყავდა ფრენითა!

მოადგა. ხიდი არ დახვდა,  
ცხენი შოაგდო კიდესა!  
ღეზი ჰკრა, წყალში გადაუშვა,  
ისველებს ჩაფხუტ-რიღესა.

გამოეხვიენ ტალღებში  
ცხენი და კაცი ორივე!..  
ღმერთზე ჰკიდია მათი ხსნა,  
საეჭვო არის მათი სვე!

თვალი მოაეღო ნათელამ,  
იკივლა: ილუბებო!..  
და შევლაც ხორც-შესხმულისგან,  
იმათი არ ეგებო!...

დალუბვას რომ არ უყუროს,  
თვალთ მიიფარა ხელები!..  
შაგრამ გასცურა მხედარმა,  
გადააჭენა ველები,

შეუდგა აღმართს... გულ-ღა-გულ  
შიადგა მოდინახესა!..  
სარკმელს შეპყურებს მღელვარე,  
ეძებს სასურველს სახესა.

არავინა სჩანს... ხორციელს  
ვერავის ხედავს ის თვალით!..  
მხოლოდ მაღლიდგან დაეშვა  
იმის წინ ჩოხა ფრიალით.

აიღო ხელში, გასინჯა,  
ჩაიცვა, — ერგო კიდეცა!..  
გაიორკვეა სურვილი,  
მისთვის გაიხსნა კიდე-ცა!..

კოცნა შესტყორცა სარკმლისკენ,  
მოახტა მარდალ თეთრასა!..  
და რომელ ვზითაც მოვიდა,  
დააღვა ისევ იმ ზნასა!

არ ჰსთქვა: ვინ იყო? რა გვარი?  
საიდან იყო მოსული?...  
წავიდა და თან წაიღო  
ნათელსა გულსა და სული

თ ა ვ ი 1 V .

ერთი ხანია ნათელას  
ძღენად მოდის ოქროს კაეები,  
და ზედაც ჩამოხირხლული  
სამშობლოს მტრების თავები.

არაფინ იცის, ვინ გზაფნის?  
ვის მოაქვს ციხის კარზედა?  
დღითი-დღე თავებს აგებენ  
სარქველად გამხმარ სარზედა.

ერთი აკლია ას-ოცსა!  
იმასაც ელის ნათელა...  
მაგრამ დრო გადის, არ ზოაქვსთ,  
არ ჩქნა... არა ეშველა.

ფიქრში ჩაფარდა ლამაზი:  
ვაი თუ მოკლეს გმირიო?!  
მაშინ დაბნელდეს ჩემთვის ცა,  
ჩაიზგრეს ქვეყნის პირიო!—

წარმოიდგინა აფი რამ,  
ოცნებით დართო ჭირი ჭირს;  
თმა გაიშალა, ძირს დაჯდა  
და აღარც იკრავს გულას-პირს!

არ იხედება სარკმელში,  
აღარ ადევნებს მგზავრს თვალსა!..  
ისე იქცევა, როგორც კი  
შეჭფერის ჭირისუფალსა.

თმა გაშლილს შაგი სამოსი  
უმატებს ელვარებასა.  
რა შეედრება ქვეყნად მის  
გულ-მკერდის მღელვარებასა?!

შევიდა მასთან გამდელი;  
მისი საყვარელ-ჩვეული;  
მიუაღერსა გაზდილსა  
და სიტყვა ჰკადრა ჩვეული:

„ბატონი შეილო, ვისა ჰგლოვ,  
რათ ემონები ოცნებას?!  
ლოცვა-ვედრება შეჭფერის  
და არ ყვედრება ღეთის ნებას!

„ეგებ არ იყოს ჩს მკვდარი...  
შენ კი იგლოვდე ცოცხალსა,  
ცეცხლს იკიდებდე უჯეროდ  
და ზედ ასხამდე ცხელ წყალსა!..

„ადე, ნუ ზიხარ! ჩაიცივი,  
მოირთე სამკაულითა...

და ვინც გსურს, იმის სიციცხლე  
ღმერთს შეავედრე გულითა“.

დათანხმდა ქალი, წამოდგა,  
მიჰმართა დედა-მღეთისასა:  
სთხოვდა მას შუამდგომლობას  
და შემწეობას ძისასა!

გათენდა დილა საამო,  
ქვეყანამ გიმოიღვიძა:  
ცა დედა-მიწას დახარის  
და ცას შენატრის ძირს მიწა!

კაცი, პირუტყვი, მცენარე  
მზეს მოელოიან საამურს,  
ბუღბუღი ჩანგურს უმზადებს  
და შაში უკრავს სალამურს.

ტოროლა მადლა ჰაერში  
ზარს აწკარუნებს რიკ-რიკით,  
ჩაუქროლ-ჩამოუქროლებს  
მერცხალი ტკბილი ჭიკჭიკით!

ქვეყანა აღტაცებული  
უგალობს ქებათ-ქებასა,  
და ყვავილები სამსხვერპლოდ  
უკმევენ სუნნელებასა!...

არ სძინავს მარცა ნათელას: აუ  
ხატის წინ მუხლ-მოყრილია,  
კრემლსა ღერის სავედრებელსა,  
მით სასოება ტკბილია!..

უცბათ გაიღო კარები,  
მსახურმა ფეხი შემოდგა,  
არ მოელოდა მლოცველი,  
შეკრთა და ზეზე წამოდგა.

უბრძანა: „კადნიერება აუფრ  
ეგ შენი მეუცხოება;  
მაგრამ შლევნი ხარ, უზდელი  
ბევრი რა მოგეოხობება?“

„უდროვოდ, განა ბრ იცი,  
ჩემთან არავის უვლია!..  
ნება აქვს მხოლოდ ერთს გამდელს,  
და ისიც მოკრძალებულია“.

— ჩემო ხელმწიფეე, ნუ მოსხავთ!  
არა გხლებივარ ნებიითა:  
შეგვემთხვა უჩვეულო რამ,  
გიახვლ იძულებითა.

კარხელ მოგვადგა მხედარი,  
არ ამბობს, თუ ვინ გვაწვია,

წითელ ცხენზე ზის და ტანზე  
ჩოხაც წითელი აცვია.

პირ-და-პირ მოდის უშიშრად,  
და არც არაფის რცხვენია!...  
კალთაში გამოტყეული  
მოაქვს რაღაცა!.. ძღვენია!

ნახვა სურს, სული მიუდის!  
ანბობს: მაჩვენეთ ჩქარაო!  
ვარ კარგი მახარობელი  
და არა მეტიჩარაო.

გულმა უმთხრობლა ნათელას,  
ვინც იყო მისი სტუმარი!  
ბრძანა და გააღებია  
მაგარი ციხის მანკარი.

შინ შემოვიდა სტუმარი,  
მის ნახვას არ-რა სჯობია!  
ედემში ზდილი ალვის ხე,  
სამოთხის შენამკობია!

ჯერ თაყვანი სცა მასპინძელს,  
მუხლები მოიყარა მან!..  
ვერ გამოჩნდება იმასთან  
ზღაპრული გმირი ყარამან!...



ჰკადრა: „მოვსულვარ თქვენი ტყვე,  
პირობის შემსრულებელი!  
თქვენის სხივის და ჯავარის  
შეფრქვევით მაღიდებელი.

„უბრძანეთ, ცხენი გაბანონ,  
ჩოხაც გარეცხონ თბილ-წყლითა.  
ცხენიც თეთრია, ჩოხაცა,  
შედებულია სისხლითა!

„და აწ, მიიღეთ ჩემგან ძღვნად  
ვით პირის სანახავიო,  
ქვეყნის მტრისა და ორგულის  
ეს მესოცე თავიო“!

გასქვალა ვაჟის სიკეთემ,  
შეკრთა წერეთლის ასული!  
მადლობის გადასახდელად  
ძლივს მოიბრუნა მან სული!

„კურთხეულ იყოს“, — წყნარად სთქვა —  
„შენი აქ მობრძანებაო!  
თვალთ გიყურებ, არ მჯერა...  
მგონიხარ მოჩვენებაო.

„თუ ღვთით ხარ მოვლინებული,  
ცხადი რამ, ხორციელიო,

ვინ ხარ და სიდან მოსულხარ?  
მითხარი! პასუხს ველიო!..“

ყრმამან მიუგო: მაგისი  
ძნელი არ არის ცოდნაო:  
მთავრის შვილი ვარ, მთავარი,  
დადიანი ვარ ცოტნაო!..

ქალმა სთქვა: ცოტნას სახელი  
გამიგონია მეცაო.  
კურთხეულ იყოს მარადის  
ჩვენი შემყრელი ზეცაო!

ხელი ხელს მისცეს, გული გულს,  
თვალი თვალს გაუყარესა,  
და გაიმართა ნადიმი  
ყველგან საჩხერის მხარესა.

### ნაწილი მეორე.

#### თ ა ვ ი I.

იქ, სადაც ხოპის ნაპირზე,  
დღეს ძველი მონასტერია,  
მთავრის სასახლე ყოფილა,  
მიდამოც დიდი სკერია.

იმისი კოშკი მარალა  
უქვრეტდა ოთხსაგ მხარესა;  
მახლობლად თავზე ივლებდა  
დღისით მზეს, — ღამით მთვარესა.

მიჩერებოდა თალბუხს,  
გადაჰყურებდა შაგ-ზღვასა,  
შეფერადებულ ქაღიგებსა,  
სანახავს სხვასა და სხვასა!.

არც ერთი კუთხით მივსვლელი  
მტერი არ გაუცდებოდა  
მისი პატრონის მხარ-კლავი  
შორით-შორამდი სწვდებოდა!

ის იყო ცოტნეს სადგური,  
იქ მიიყვანა ნათელა!  
და მიიწვია ქორწილში  
მან ქვეშევრდომი სუყველა.

შემოკრბენ აფხაზ-მეგრელები,  
სვანებთან ერთად ქანები;  
ქართლ-კახეთ-სამეცხეთოდან  
მეგობარ თვისიანები.

ააგეს ფანჩატურები,  
საჯდომი ბეერ ათასისა;

ქვეშ ორხოები დაჰკინეს, დაუდებელი ფასისა...  
...ნომ, რომ იმდენი...

თავში დაბძანდა მთავარი  
და გვერდით დედოფალია;  
სხეები ჩუქრივდენ რიგ-რიგად,  
როგორც წესი და ვალდებულებას გრძნობენ

— თინათინო, აქვე...  
გახურდა ლინის ჩვეულებრივ,  
შეიქმნა ყანწის ტრალი!..

ხელიდან ხელში გადადის, ნათქვამი  
თას-აზარტეზიანი...  
...თინათინო

...და ვინც ბევრს არ სვამს, შიგ-და-შიგ,  
არაკაკებენ „კულითა“!..

გაჩნდა ლილინის...  
სიმღერა კრიმინალური...  
...თინათინო

იქ ისმის „დილა-ადილა“,  
„კაბდური“, „თინა თინაო!“ —

...შედიდა „მრავალ-კამოცხა“...  
შეგ სხივი მოგვატრიალდა...  
...თინათინო

...გამხიარულდა ერთ გვარად  
სუყველა დიდი, პატარა,  
მაგრამ დედოფლის გვერდით

ღრუბელი გადაეფარა!...  
...თინათინო

შეწუხდა კოტნე და უთხრა:  
„აგრე რათ მოიწყინეო“  
მასპინძელი ხარ, ხომ იცი,  
რეგია მოილხინეო! —

„თუ საწერეთლოს დათმობამ  
შენ მაგრე შეგაწუხაო,  
სჩანს, ზეცა გამრისხებია  
და რისხვით გადმომქუხაო!...“

მზე რომ ქიატობს წვამის დროს,  
ანბობენ: „მზე პირს იბანსო  
და ცისარტყელა შვიდ-ფერი  
მას მხარს უშვენებს და განსო“.

იმას მოჰგაედა ნათელას  
თვალ-ცრემლიანი ღიმილი  
და ანგელოსის გალობას  
მისი პასუხი ხმა-ტკბილი.

„ჩემო ხელმწიფევ! შენთან მყოფს,  
მომაგონდება მე ვინა?  
მაგრამ სხვა რამემ შორიდან  
საგრძნობლად გულზედ მიკბინა!

„ველარ მოვისმენ გულ-გრილად  
„შაღსა“ და „პრაველ-ქემიერს“,

სანამდი საქართველოში  
ბატონად ვხედავ ქვეყნის მტერს.

„თვალ-წინ შეხატვის ერთი რამ,  
ისა მკლავს და ის მალონებს:  
ლოხს იქით მოძმე ქართველი  
ყმად გაუხდიათ მანგოლებს!

„დღეს აქ ლხინი გვაქვს საერო  
ყანწ-ზარფეშის ტრიალი;  
იქ კენესა ისმის დაჭრილთა  
და ქერივ-ობლებს ღრიალი!

„ხომ ხედავ ამდენ ვაჟაკებს,  
გმირთა-გმირს, ლომთა-ლომებსა?  
ცოდვა არ არის ესენი  
ერიდებოდენ ომებსა!?

„აქ რას უსხედან? წავიდენ?!  
შენ უწინამძღერე, მთავარო!  
და მეცა თქვენთან, იცოდეთ,  
მამულის მსხვერპლად მზა ვარო!“

სთქვა და გაჩუმდა, მის სახეს  
დაადგა თითქოს ნათელი;  
თავი მოხარა სიმდაბლით,  
გულზე დაიდვა რა ხელი.

ზეზე წამოდგა მთავარი,  
შემკრთალი გაოცებითა!..  
ხალხიც შეჰყურებს დედოფალს  
უბიწო აღტაცებითა!..

მოულოდნელმა პასუხმა  
გრძნობა-გონება არიან,  
თვითქო გაქეზდა ეს ხალხი,  
უხმოდ, უძრავად მდგარია.

პასუხის ვეღარ მიმდებმა,  
ნათელამ გაიშეორა:  
„ქალი ვარ, ჩემო ხელმწიფე!..  
ნუ მრეხნავ, თუ რამ გექორა“!..

გაშოარკვია ამ სიტყვამ  
მთავარი გაბრუებული  
და ააქმეინა რაც ჰქონდა  
გულში იღუმალ დებული:

„სწორ-უბოვარო შეენებით,  
სიბრძნითაც ამალღებულო!  
ოჯახის შვილო, ნაზარდო  
ქართველად, აყვავებულო!

„დიდი ხანია ჩემ გულსაც  
ეგევე სურვილი მსკვალავდა,

მაგრამ სიტუაციის საჭირო,  
ეთ საიდუმლოდ მალავდა.

„გონზე მოსულან, შეთქმულან  
ამერთა დიდებულები,  
მათში ჯაბანსა, საეჭვოს,  
არავის არ ვეგულები!..“

„მოუწერიათ ჩემთვისაც,  
ითხოვენ შემწეობასა...  
დღეის სწორს მივალ ჯავახეთს,  
მით დაუმტკიცებ ძმობასა.“

„ჭირი და ლხინი საერთო  
მომეთა შუა ვალია...  
ამის თაუდები, ეფიცავ ღმერთს,  
ბრწყინვალე მომავალია!“

„ეს ხალხიც მიტომ შევპყარე,  
რომ გამემელაენა ყველა ეს,  
მოსამზადებლობდ მე სხვა დროს  
ხელთ ვერ უიგლებდი უკეთესს!“

ეს რომ სთქვა, მოუბრუნდა სხვებს:  
„ხომ გაიგონეთ თქმულიო?  
ჩვენ შეთანხმებულ სურვილზე  
რას ანბობს თქვენი გულიო?“



ერთ-ხმად დასძახეს: „იციცხლე,  
მრავალ-ჟამიერ!.. ჟამიერ!..  
ჭირიც და ლხინიც საერთო —  
კავშირი იმერ-ამიერ!..“

ლიმილით ბრძანა მთავარმა:  
„მეც მაგას მოგელოდიო:  
თქვენით და თქვენგან მომეხსნა,  
გულზე რომ მაწვა ლოდო!“

„კმარა! მაგაზე საუბარს  
ჩვენ ხელაღ მოვესწრებით,  
დღეს სათხოვარი მაქვს ერთი  
და იმას გვევდრებითო.“

„დაჯექით... გამხიარულდით,  
ნუ მოშლით ლხინს და მღერასო!  
ვინ გაქცევია უდროვოდ  
ვარსკვლავს და ბედის-წერასო“?!

გამხიარულდნ სტუმრები  
გამრვალკეცდა ლხინიცა.  
მოლხენით არის მთავარი  
და მისი თვალის ჩინიცა!

ლიმილით ამბობს ნათელა:  
„ჩანგური მომაწოდებო!“

ველარას ფარავს დღეს გული,  
რაც ვიცი, თქვენც იცოდეთო!“

სიმებზე ბროლის თითები  
დააწყო ნაზად... რბილათა!  
ყელ-მოდერებით დამღერის,  
ჩონგურიც მოსთქვამს ტკბილათა;

„ჩონგურს სიმები ვაუბი,  
მოვმართე ნელა-ნელაო;  
შეველხმა ტკბილად ერთმანეთს  
„ოდელა—დელა—დელაო!“

„თავის ჰანგებზე, თავის ხმით  
წკრილობს ერთად ყველაო,  
ერთი-მეორის თანხმობით:  
„ოდელა—დელა—დელაო!“

„ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,  
მაშინვე უნდა შეველაო,  
რომ არ გაუუქდეს ჩონგური:  
„ოდელა—დელა—დელაო!“

„ჩონგური საქართველოა,  
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,  
სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრები:  
„ოდელა—დელა—დელაო!“

„ჩვენც ხომ სწმენდის ღისუსტემ  
სინათლე დაგვიბნელაო! ..  
ბნელში რა სასიძღვროა:  
„ოდელა—დელა—დელაო“?!

„შორიდან შემოგვეპარა  
მტერი, ვით ტურა-მელაო ..  
და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს,  
არ მოსწონს: „დელა—დელაო!“

„მწერიც კი სცხოვრობს თანხმობით,  
ფუტკარი... კიანკველაო! ..  
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე  
„ოდელა—დელა—დელაო!“?

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის—სახრჩობელია! ..  
მტრებს: „ვაი დელა“ ვძახოთ  
და ჩვენ ვსთქვით: „დელა-დელაო!“

კმარა! ამდენმა ცრემლებმა  
სიმები დამისველაო! ..  
ვერც ვუკრავ! .. ველარცა ვმღერი:  
„ოდელა—დელა—დელაო!“

სთქვა და გადადვა ჩანგური,  
შეხედა ღიმილთ შთაფარს:

ნათელა ნათელს ადიდებს, კოტნე  
ამკობს ჯავარდ ჯავარსა!

თ ა ვ ი II

ხმალს ილესავს იმერეთი,  
აწყობს, მართავს შვილდ-ისარსა!  
ლიხს გადივლის „ორი-რაშით“,  
იქაურებს მისცემს მხარსა.

საიღუმლოდ ემზადება,  
მიჰყავს კოტნე დადიანსა!  
წინ წაიძღვანს კყონდიდელსა,  
კურთხეულს და მადლიანსა.

გაიხსენებს ბაგრატის დროს,  
დავითის და თამარასა!..  
სამშობლოსთვის ცხელს ოფლს დაღვრის  
და სისხლს შესევამს მისის მტრისას.

ისე გასწყვეტს ძირიდან,  
არ გაუშვებს არც ერთს მთხრობლად!..  
მაშინ მხოლოდ დაბრუნდება  
იმერეთში მახარობლად!..

ასე ფიქრობს გვირი კოტნე!  
ამასავე ფიქრობს ერთი...

ბატონი ყმით, ყმა ბატონით  
ორივ ერთად ბედნიერი!

მაგრამ, „ვაი!“ გაუცუღდათ  
იმედი და გულის ძგერა...  
ბედ-უკუღმა გაღებრუნდათ  
საწალმართო ბედის-წერა!

წიგნი მოსდის დადიანსა,  
მეგობრების შონაწერი!  
წაიკითხა... შეიცხადა:  
დაიგლიჯა თმა და წვერა!..

მოეწერათ: „ნულა მოხვალ!  
თავს უშველე, ნუ აჩენო!..  
შეთქმულობა გაგვიმელაგნდა,  
დაგვიჭირეს ყველა ჩვენო..“

„ნუ მოცდები, ნუ იფიქრებ,  
გზა არ აქვს ჩვენ საშველსო!..  
ანის ქალაქს ვეაგზავნებან,  
გვიმზადებენ განსაცდელსო.“

„რადგან ღმერთმან აგაშოროს  
ჩვენი ბედი, ჩვენი სვეო,  
იკოცხლე და მაგიერო  
მტერს როგორმე მიუზღვეო!“

წაკითხა, დაიყვირა:  
„რა შეგცოდეთ, ღმერთო შენო!..  
შენს მორწმუნეს, ღვთისმშობლს ხვედრს,  
ამ სატანჯველს რომ უჩენო?

„ნუ თუ ყველა იღუპება  
საქართველოს ღირსი ძეო!  
ბურჯი მისის ეროვნების,  
მომავალის სიმტკიცეო?!..

„მაშ პირშავად რაღათ დავრჩე,  
მათი ტანჯვის მოწამეო?  
მათთან ჭირი, მათთან ლხინი—  
უიმართლათ რა ვარ მეო?!.

სთქვა და გულში გადიწყვდოდა:  
„მათთან წავალ მეც მალეო,  
ტოლებში რომ არ გამოეხსლტე,  
ვარ ამისი მოვალეო“.

თ ა მ ი III.

ვინ მოსთვლის: ჭირი რამდენი  
უნახავს ანის ქალაქსა!..  
სისხლით მორწყული არ იყოს,  
ვერ ნახავ მტკაველ აღაზსა!

ყოველი მტერი ძველთაგან  
ამ კუთხეს მოაწყდებოდა;  
მკვიდრი, დიხედური მამოყადნ  
თავ-გამეტებით წყდებოდა.

დღეს ერთი იყო, ხეალ სულ სხვა:  
მტერი მტერს ენაცვლებოდა!  
ურდო ურდოზედ მოსული,  
არვისგან დაიჯელებოდა.

მაგრამ ქალაქი ტანჯული,  
განსაცდელს უმაგრდებოდა,  
და ვით ამირანს გულ-მკურდრი,  
წყლული—წყლულ უშეელდებოდა!..

ძლივს-და სულ მობრუნებული,  
ხელ-ახლა აოხრებულა;  
შესულა ურდო მანგოლოთა,  
ნოინი გამთავრებულა!..

სამეფო ტახტზე დამჯდარა,  
ის... სისხლით უმაძღარია!..  
აქედან მიდის საომრად,  
ოთხ-კუთხივ!.. მოუხარია!..

სხვა ქვეყნის ტანჯვა, აელდება  
მათი წესი და რჯულია!

დღეს გამარჯვების ღმერთი აქვს,  
უბოძო სიხარულია.

ზურნის ქიქყანში გაისმის  
კიჟინა გამარჯვებისა  
და ქვიანურში — ქვითინი  
სხვა-და-სხვა მხარეებისა.

ფიალათ ხელში უჭირავს  
კაცის გახმარა თავება!..  
ზიზლის ბუდეა იმითი  
ყოველ-გვარ სანახავები.

სწორეთ ამაჲ დროს გარეთ კი  
სულ სხვა ამბავი რამეა:  
დამდგარა ტანჯვა-კრულვის დღე  
და მწუხარების წამია!..

აღყად შეუკრავს დარაჯებს  
დიდი მოედნის პირები,  
შუაში ხელ-ფეხ შეკრული,  
ჰყრიან ქართველი გმირები.

ტიტველზე თაფლი წაუსვამსთ,  
მზეს უფაცხებენ მხურვალსა!  
წყალს ნატრულნი არა აქვსთ  
ყელი უზრება მწყურვალსა.



გარს ეხვევიან ბუზები...  
სად არის მომგერებელი?!  
შორსა ჰყავთ ქირისუფლები  
და მათი დამტირებელი!..

კითხავს მტარვალი: „ვინა გყავდ  
მომხრე და მოზიარეო?“  
— ამ ქვეყნად ზღვა და ხმელეთი,  
მალლა ცა: მზე და მთვარეო!

დაცინვით ეუბნებიან,  
შიში არა აქვსთ რისხვისა...  
რა იცის გულში ნადები  
და საიდუმლო სხვამ სხვისა!

გამოჩნდა შორით მხედარი;  
ცხენი მოჰყავდა ოთხითა,  
მოედნის პირზე შეჩერდა,  
თვალს ავლებს ყველა კუთხითა.

უბრძანა დარაჯთ უხუცესს:  
„ვინა ვარ—ვერ მიცანდო?  
ნოინის უცხო სტუმარი,  
ცოტნე ვარ დადიანო.

„ქართველ ერისთევებს, დიდ-კაცებს,  
სადა აქვსთ მათი ბინაო?

მეც უნდა მათთან მივიდე,  
წამყევ, წამიძებ წინაო!”

დაცინვით უთხრა დარაჯმა:  
„არ ბრძანდებიან შორსაო!..  
და ჩვენც შინაყბად ვახლავართ,  
როგორც ნაინის სწორსაო!“

შევიდა წრეში ქვეითად,  
პირ-და-პირ მიეშურება,  
გულ-ღვიძლს უსივებს ნაღველი  
და სიმწრით პირი უშრება!..

მივიდა, ნახა ტყეები...  
შეყვირა: „ვაშა! ვაშაო!!  
დღეს უფრო ბრწყინავს თქვენი მზე,  
ვარსკვლავმა აკაშკაშაო!

„გმირნი ხართ, კვდებით გმირულად,  
საქრისტიანოს მსხვერპლადო,  
ამიერ საშვილიშვილოდ,  
სამშობლოს სადიდებლადო!

„მაგრამ რას მერჩით მეგობარს,  
ყველგან თქვენ მოზიარესო.  
რომ გამომწირეთ თქვენშიდა...  
დამაგდეთ იქით მხარესო?“

ეს სთქვანდა გაიძარცვა ტანს,  
დაჯდა ტყვეებთან ტიტვილი...  
თავი გასწირა ნებიოთა  
და გააკვირვა სუყველა!!...

„ლოპრონ შინდეთმებორბ

„ობელოდრ ფანეში“

„ლოპრონ შინდეთმებორბ“  
ტ. ნ. ნ. IV. უკონ

ლხინ გადახდილი ნოინი თიფ  
ტახტზე ზის დაფიქრებული...  
თვალ წინ ეხატვის „ქვეყნებში“  
გადამწვარ-აოხრებული!

ბეერი სხვა-და-სხვა რჯულსა,  
და ტომის არის მნახეული...  
მაგრამ სულ სხვაა მის თვალში  
უცნაურობით ქართველი!

„არაფის ებრძვის პირ-იქით, რი  
დამხედურათ შემოძვრის...“  
მითხ  
ვინც მის ქვეყანას არ ერჩის,  
მომძე და მეგობარია!

„არსად გაუდის შეწყვრობა,  
და არც მტერები აკლია...“  
მაგრამ ხომ მაინც პირ-წმინდათ  
ჯერეც ვერავინ დასძლია?!!

„რა უამოვიდა, რომ ვსძლიეთ!  
განა ძლევია ეს ძლევა?!  
რაც უფრო ქარში ვარდება,  
მით სიმხნეც მეტი ეძლევა“

„გაგვიანებვრდა ლაშქარი...  
ერთში ათსა ესცვლით მანგოლსა,  
და რაღა ძალი შერჩებო,  
მომსვლელსა და მისს მომყოლსა?!

„ნუ თუ ჩვენი მართლა სხვებსაგვით  
დიდ-ხნობა არ გვიწერია,  
და დროებითი აქ ყოფნა,  
ვის საქარ-ბუქო მტვერია?!

„რაში არა ჰგავს? შეთქმულნი  
ასამდი დაგვიქერია...  
რომ ასჯერ მეტიც არ იყოლს,  
აბა რა დასაჯერია?!

მაგრამ, არ იქნა, არ გატყდენ:  
არ უდრკებიან განსაცდელს!...  
ვინ იყო მათთან ლალატში,  
არც გვარს ამხელებ, არც სახელს.

არას ითხოვენ!.. ზვიადად,  
ამაყად იტანჯებიან!..

რაღაც მომავლის იმედით  
და სასოებით კვდებიან.

ძნელია მათზე უფლება  
და მათგან სხვისი მონება!..  
სულ სხვა გზა უნდა... სხვა ხერხი...  
და გამჭრიახე გონება!..

ვერ გასჭრის მათზე, ვით სხვაზე  
ეს სასტიკობა-აეობა!..  
სადაც ლომობა არ გადის,  
იქ უნდა მელიაობა.

ამას ფიქრობდა ნოინი,  
უსივდებოდა ნაღველი,  
რომ მოახსენეს: „ქალია  
ვილაკო, თქვენი მნახველი“.

შავით მოსილი, პირბადით  
შინ შემოვალა სტუმარი...  
ანიშნა მარტო დარჩენა  
და გაღუკეტა სხვებს კარი.

წადგა წინ შორი-ახლოსა,  
პირ-ბადე გადაიხადა:  
მისი ციური შეფენება  
ნოინის გულმა იხატა!..

ჯერ მისი მსგავსი ამ ქვეყნად  
არსად ენახა სულდგმული!  
სულმა წასძლია ბინძურსა  
და აუძგერა გლახ გული.

ზეზე წამოდგა... იმავ დროს  
წინ ბიჯი წადგა თვით ქალმა.  
და იმის ბროლის თითებში  
უცბად იელვა ხანჯალმა.

უთხრა: „შეჩერდი!.. ნუ მოხვალ!  
რომ დაიმშვიდო, სჯობს გული; თუ  
შენ სატრფიალოდ არა ვარ  
ამ სიშორს შორით მოსული!..“

„სათხოვარი მაქვს წმინდა-რამ...  
მოგენდვე წმინდას გულითა!..  
ნუ შეურაცხყოფ კაცობას,  
ნუ დამდაბლდები სულითა!..“

ნუ შფოთავ! დაჯექ, დაწყნარდი.  
და მომისმინე ვედრება!  
სულ-გრძელობასთან ზდილობას  
ან რა სჯობს, ან რა ედრება?!“

ვით გაღალული თვალის-კერით,  
ჩაჯდა უსიტყვოთ ნოინი;

დაუტყრა ტნება ჩვეული,  
გაქრა სურვილი და ქინი!

ჯერ არც სმენია ამ გვარი  
და არც რამ გაუგონია!  
ფიქრობს, თუ მოჩვენებაა  
და ან სიზმარი, გონია!..

უყურებს, თვალით არ სჯერა!  
ისმენს და მაინც იკვშია:  
უმტყუნა ძალამ სულ-ხორცის  
და უჩვეულო შიშშია!..

ქალი შეჰყურებს პირდაპირ,  
ლამის გახვრიტოს მან თვალით!  
კაცი, ძლივს გონზე მოსული,  
ოდნად ხმას იღებს კანკალით:

მაშ მითხარ, რისთვის მოსულხარ?  
რა არის შენი სურვილი?  
მისთანას რას მთხარე, ვერ მოგცე,  
ვერ მოვკლა ნდომის წყურტილი!?

გინდა, ტახტს მოგცემ: დედოფლად  
დავსვამ და გეთაყვანები!  
მონად გაახლებ მეფეებს...  
ჩიტის რძით გაიბანები!

ქალი მიუგებს ღიმილით:

— დედოფალი ვარ ისეცა!  
მაგვარ დიდებას არ ვეძებ,  
არ დამიგმია ისე ცა!

— მაშ სულის შეგწირავ, თავა მოგცემ,  
გულს დავდგამ საფეხურათა!  
და შენს სურვილში დაედნები,  
დავიწვი უცეცხლოურათა!..

— არა, ნოინო! ნუ ფიქრობ!..  
ვერ დავსთმობ ჩემსა კერასა!  
გული სხვას მივეც და შენთვის  
ველარ დაიწყებს ძგერასა!“

— ეგებო, რჯული გიშლიდეს  
მე აღვიარებ შენს რჯულსა!..  
ზეცაში ახვალ— აგყვები,  
ჩახვალ— ჩაგყვები უფსკრულსა!..

— ეგ არას უშლის! — ღმერთი ხომ  
ყველასთვის იგივე ერთია!  
სჯული გზა არის სხვა-და-სხვა  
იმ ქვეყნად შემაერთია!..

სხვა მიზეზია, სხვა მიყვარს  
ის არის ჩემი ქმარიცა!



მისი ვარ, იმას ვეკუთვნი  
მე ცოცხალიც და მკვლარიცა!..

აქ გადმოვარდა, როდესაც  
გაიგო სხვების ტყვეობა!  
ობლად დაგვყარა სუსველა,  
დასთმო ლხინი და დღეობა!

აღარ გამიძლო გულმა და  
შევედექ მეც მისს კვალობას:  
ვეთხოვებოდი სამშობლოს,  
ვიგლოვდი ყმაწვილ-ქალობას!..

მსურდა, მომესწრო, მენახა,  
მომეკრა სადმე მე თვალი!  
და ან მისს უცხო საფლაფზე  
გულში ჩამერჭო ხანჯალი!..

მოველ, ვიკითხე ყველგან...  
ცოცხალი არის შევიტყვე...  
ტიტვლებთან ტიტვლად დამჯდარა,  
წებით გამხდარა შენი ტყვე.

იმას გთხოვ, იმას გავედრებ!  
მისთვის მოესულვარ, ნოინო;  
სული არ გამაწირვინო...  
სიცოცხლე მომაპოვინო!“

გაოცდა მშვენიერებით...  
სიტყვა-პასუხიც უკვირდა!  
ის ერთი წამი ნოინსა  
მთელს საუკუნედ უღირდა!..

დღემდის ეგონა, თუ ქალი  
მარტო ვნებისთვის შექნილა!..  
ახლა კი ხორცი დადუნდა  
და სული სულსა ეტკბილა!

ივრძნო რაღაცა ციური,  
მიუწოდებლი მან ძალა!..  
გადიქმნა მასი არსება,  
ბუნება გამოეცვალა.

და უშაღლესის სურვილით  
შეპყურებს, როგორც ღვთაებას!..  
რა სჯობს, რომ გული უბიწო  
ციური ჯაქვით დაებას!..

სთქვა: საქართველოს მფარველი  
დიდი ყოფილა... ძლიერი!  
სადაც შობილხარ, გაზდილხარ,  
რათ უნდა გაქრეს ის ერი?!

რაც მოხდა ჩვენში, დაგაწყდეს!..  
მოვითხოვ მე შენდობასა!..

აწ კი მსურს „მამაშვილობა“  
და ვნატრობ მე შენ „ღობასა!..“

ახლა მოვიყვან შენ ქმარსაც...  
ვნახავ, თუ შენი ღირსია!..  
და თანაც ჩემი სიძობის  
შესაფერ-საკადრისია?

კუთხეში დაჯექ პირ-ბადით!  
მოისმენ ჩვენსა საუბარს!  
იმანაც გვიხრას: ვის ეტრფ ს?  
თავს ვის შესწირავს, ვინ უყვარს?

თ ა ვ ი

ოქრო და ვერცხლში ჩამჯდარი,  
მარტო შემოდის მთავარი.  
არ ახლავს მისი მოყმები  
და არც მოჰყვება მტრის ჯარი.

თავი დაუკრა ზღილობით  
და ჰკითხა: რა გსურს? მიქანეთ?  
ნოინმა შეკრა წარბები,  
სცდილობს ეჩვენოს მტრისხანეთ.

— ვინ ხარ? და სადაური ხარ?  
ვერ ვხედავ შენს აქ მომყვანსა!

თუ საქართველოს შვილი ხარ,  
დღემლი ვერ მცემდი თაყვანსა?

— „მე სათაყვანოთ მოსული  
არც დღეს გახლავარ, ნოინო!..  
ნუ ფიქრობ, ცოტნე დადიანს  
ტყუილი შენ ათქმევინო!“

ა! შენ ხარ ცოტნე? ის ცოტნე,  
რომ არათ აგდებს მანგოლსა!  
სცდილობს სამშობლოს გამობსნას  
და სხვებსაც ეძებს ამყოლსა?

— დიხ, ისა ვარ, ნოინო!  
მართალი გაგიგონია:  
— მაშ ჩემთან როგორ მობედე?..  
მადლობას გეტყვი, გგონია?!

— არ მიფიქრია მაგაზე!..  
სხვა იყო ჩემი განძრახვა:  
აქ მოყვრებს ვეგულებოდი...  
მოჰინდა მათი დანახვა!

— ხომ ნახე ისეთ პატივში,  
როგორც მათ შეეჟერება?!

— „ვნახე და გავიზიარე  
მეც მათი ბედნიერება.“

„ჭირში და ლხინში ყოველგან  
ვეყოფილვართ გაუყრელათა...  
დღესაც მოვსულვარ მათთანვე  
სისხლის და ცრემლის მღვრელათა.“

— შენ მარტო? სხვები სად არის?  
რათ გაიფანტნენ ბზესავით?  
— თუ ყოფილიყვნენ ისინიც  
აქ მოვიდოდნენ ჩემსავით.

— აფერუმ თქვენს მეგობრობას!..  
აფერუმ ვაჟაკობასა!!  
მაგრამ ვერ გიქვებთ ბატონის  
მოღალატობა-მტრობასა!..

— როდის გიწამეთ ბატონად,  
დაკითხებიხართ ჩვენ გულსა?  
თუ ტვირთი მძიმე მონების  
ძალით დაგვიდგა ჩაგრულსა?!

— ძალ-მომხრეობის კანონი  
დღეს ერთის არის, ხვალ სხვისა...  
ბედია მომნიჭებელი  
წყალობის, გინა რისხვისა!

— დღეს მოხარკე ვართ ჩვენ თქვენა  
და კიდევ ვიხდით ნებითა...

დროს ეუცდით.. ჩვენ ღმერთს შევეყურებთ  
იოზის მოთმინებითა.

— და უმიზეზოთ რათ გვდევნით?  
რისთვის გევეპყრობით მტრულადა?  
რას გარგებსთ რჯულის მოსპობა  
„და ან ერობის სრულადა?!..“

— „სანამდის ხელს არ აიღებთ  
ამ უნაყოფო ცდაზედა,  
ყოველთვის მტრულად დაგხვდებით  
ყოველ სარბიელ გზაზედა!..“

— დაგხვდებით!.. და რას გაიტანთ?  
ეს დღე მოგელისთ ყველასა!..  
თქვენ თავად ძალი აღარ გაქვსთ  
და ვისგან ელით შევლასა?

— ღვთისგან!.. რომ ჩვენმა შეილებმაც  
ქვეყნისთვის სისხლი ღვაროსა!..  
„ჩვენ წავალთ, ისინი მოვლენ  
ტურფასა საბაღნაროსა!..“

— აფერუმ, ქვეყნის ერთგულო!  
კაცი ხარ, კაცურათა სჯი!  
მომწინს ეგ სიტყვა-პასუხი:  
არ გირისხდები, არა გსჯი!

გაძლევთ სრულ თავისუფლებას,  
როგორც შენ, ისე ტყვეებსა!..  
და თქვენ მხარესაც ავადდენ  
საგლოვიარო ღღეებსა.

---

იყავით მარტო მოხარკეთ..  
შევეტკბოთ წლიდან წლობითა:  
თქვენ ჩვენი კარგი სტუმრობით!..  
ჩვენ თქვენი მასპინძლობითა!..

---

მხოლოდ მეცა გთხოვ, იცოდე,  
სამაგიეროდ ერთს რამეს:  
შენ ცოლს აქებენ ყოველგან  
და ის მომგვარე ერთ ღამეს!..

---

როგორც რომ ვეფხი დაქრილი,  
ისე ათრთოლდა კოტნეცა,  
აკრაჭუნა კბილები  
და, კოტას გაწყდა, რომ ეცა!

---

ბედს უმადლოდე, ხალვათად  
რომ ხარ მასპინძლად მჯდომარე,  
და მე კი სტუმრად მოსული,  
ხმალ-ხანჯლით შენ წინ მდგომარე!

---

ეგ ერთი გითქვამს!.. მეორეთ  
ენას არ წააცდენიო!

გონება-მიხდილს სასირცხვოდ  
სისხლი არ დამადენიო!

ნოინმა წარბი გაიხსნა,  
ღიმილიც მოერია მას!—  
და სიტყვით ცივ წყალს ასხამდა  
მისს აღელვებულ გულის ტქმას!

— ნუ ჯავრობ!.. განგებ ვითხარი...  
მიხლოდა შენი გამოცდა...  
რაც სტქევი ტყუილი ყოფილა,  
აგერ თვითონვე წამოგცდა!!.

„სამშობლო“, „მოდქე“ „მოყვარე“—  
სიტყვა ყოფილა უბრალო!  
ნუ თუ არა ღირს იმდენად,  
რომ შენ ერთ ქალში გასცვალო?!

არ მოელოდა ამ სიტყვას!  
შერცხვა და შეკრთა მთავარი...  
ცოტა შეჩერდა და შემდეგ  
პასუხი მისცა ამგვარი:

„მე რა ნება მაქვს მაგისი?  
მონა არ არის,—ცოლია!  
ჩვენი კანონი სულ სხვაა:  
ცოლი ქმრის უღელ-ტოლია!



— მაშ, კარგი! რადგანც მე მინდა  
დღეიდან შენი მოყვრობა,  
ნუ ვაწყენინებთ ერთმანერთს,  
განზე გადავდვით აწ მტრობა!..

ხომ ხედავ, აქ რომ ქალი ზის?  
ის ჩემი შვილობილია.  
ვატყობ, რომ შენი ქვრეტითა,  
ისიც კი კმაყოფილია!

მაგაზე უფრო მშვენიერს  
ქვეყნად ვერ ნახავ ვერც ერთსა!..  
რომ შენი ცოლი ვერა სჯობს,  
თავდებად გაძლევ მეც ღმერთსა.

სასიძოდ ამირჩევიხარ:  
მინდა ის მოგცე ცოლადა;  
დაგიახლოვო და მყავდე  
ჩემი თავისვე ტოლადა!..

— „ვინ ღირსა მაგ თქვენ წყალობას  
და იმ უდიდეს ოცნებას?!  
მაგრამ ორ-ცოლიანობის  
რჯული არ გვაძლევს ჩვენ ნებას“.

— ეგეც არ გინდა? მაშ კარგი!  
პირობას გიღებ კიდევ სხვას:

იზამ—არ გავტეხ ჩემ სიტყვას,  
არა და ნახავთ ჩემს რისხვას!

მოდით ახადე ჰირ-ბადე,  
აკოცე, როგორც საყვარელს!  
და აგისრულე მამინ მეს  
მაგ შენი გულის საწადელს!

ებილწა ცოტნეს პირობა,  
მაგრამ, არ იცის, რაღა ქნას?  
სხვა გზა არა აქვს მოყვრების  
და მის სამშობლოს გამოხსნას!..

წარმოსთქვა: „გულთა-მხილაო!  
შენ ხედავ, მატანს ძალასო...  
მივალ და ისე ვაკოცებ,  
როგორც ხესა და ჩალასო“.

რა არის კოცნა უნდომი!  
უგულოთ... უსიყვარულოდ,  
თუ არ სიცოცხლე ბედ-კრული  
უსიტკბოდ... უსიხარულოდ?!

დათანხმდა! ქალთან მივიდა,  
საკოცნად თავი დახარა!..  
ქალმა გადიძრო ჰირ-ბადე...  
წონინაც გადიხარხარა!..

როგორც შეიდ-ძალი ფერადი  
 აშვენებს ცისარტყელასა,  
 ისე დაეტყო სახეზე  
 სიამოვნება ყველასა!

გუნდის რეკვირები  
 და მათი გუნდობა  
 წარმოადგინებს იმის

...როგორც გეგმათა  
 შესრულება და რაც  
 დაწესებულია ძველად  
 ...სამსახურში და რაღაც

## ქართველთა წარმართობის ღმერთთა ბინათ სადგურნი

„ქართლის ცხოვრების“ თქმით, — „ფარნავაზ ქართლ-  
შიანთ მეფემ შექმნა კერზი დიდი, სასეფსა თვისსა ზედა, ესევე  
ასს არმაზი, ფარნავაზ — სხარსუჯად არმაზს ერქვა“. იმასაც  
აღნიშვნენ, რომ როცა ეს მეფე მოკვდა, გვამი მისი და-  
ფლეს იმ ადგილის წინ, სადაც ფარნავაზ მეფემ არმაზის  
ციხე გააკეთა და შიგ ეს ღმერთი დაასვენაო. აი თვით  
გარდმოცემა: — „დი ესე ფარნავაზ იყო ზირველი მეფე ქარ-  
თლსა შინა, ქართლსისა ნათესავთაგანი: ამან განავრცო ენა  
ქართული, და არღარა იხრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა-  
თვინიერ ქართულისა: ამანვე შექმნა მწიგნობრობა. მოკვდა  
ფარნავაზ და დაფლეს იგი წინაშე კერზისა არმაზისა“ პირ-  
ველ ღმერთად ქართველთა არმაზი — სწამდათ, შვირე ღმერ-  
თად — ზადენი, მესამედ — გაცო, მეოთხედ — გაიმი. ყველა  
ეს ღმერთნი აღმართულ-შემკული იყვნენ იმ ალაგან, სა-  
დაც ფარნავაზ მეფემ აღმართა არმაზი, სადაც დაფლა-  
თვითაც.

უნდა ვსთქვათ, რომ ამ ძველ ქართველთა ღმერთებს  
მცხეთელ და კარსნელ ურიებიც სცემდნენ თაყვანს, ნა-  
მეტურ მეოთხე ღმერთს გაიმს; მაშინ სოფ. კარსნას მთლიან  
ქართველ ებრაელნი სცხოვრობდნენ. ეს ძველთა ღმერთ  
ბინათ სადგურნი, ქართველ ერის სამლოცველო კერა და

ფარნავაზის სამარის ადგილი „ქართლის ცხოვრებით“ ვიცით, თორემ მის პირდაპირ ჩვენება, დასახელება და მითითება კი არ შეგვიძლიან, არ ვიცით, თუ ეს ადგილი სად არის, სად სძევს, თუმცა ის კი კარგათ ვიცით, რომ აგი მცხეთას თუ მცხეთის ახლოს უნდა იყოს, ტფილისიდან 25 ვერსის მანძილზე.

ქართველი ვინ იცის საით არ მოგზაურობს, ბევრს ცხელს ქვეყნებშიაც კი, მაგრამ ვინმე ორიენტალისტაგანმა, რომ კითხვა მოგვცეს მის შესახებ, თუ რომელ ალაგას ისხდნენ ქართველთ ღმერთნი, სად ყოფილა ფარნავაზი, სად არის ის ადგილი, რომელ ადგილსაც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობსო, ვგონებ, ამის ჩვენებას კი ბევრი ჩვენთაგანი ვერ მოახერხებს, რადგანაც ხსენებული ადგილი ქართველთ უმრავლესობას თვალითაც არ უნახავს. მცხეთას კი არა და ასეთსავე მდგომარეობაშია მოთავსებული ტფილისში დღევანდლამდე შენახული ქართველთ წარმართობის სალოცავის ძველი სახლი, რომელიც ფეთხაინის ეკლესიის გვერდით სძევს. ფეთხაინის ეკლესია VI საუკ. აღშენებულია ვახტანგ გორგასლანის შვილის დაჩისაგან ბეთლემის მღვთის-მშობლის სახელზე, XVIII საუკუნეებში ეს ტაძარი სომეხთ მოიტაცეს და ფეთხაინი უწოდეს.

ამ ღმერთთ არსებობის ისტორია მტკიცეთ არის დაკავშირებული მირიან მეფის ცხოვრებასთან და შემდეგ დროის იმ ხანასთან, როცა წმ. ნინო საქართველოში შემოვიდა, როცა მირიან მეფემ ქრისტიანობა მიიღო, როცა მცხეთიდან არმაზთან მიმავალს, 20 ივლისს, გზაკვალი აერია, არმაზს ველარ მიაგნო, თვალებიც დაუბნელდა. მირიანი წინეთ ცეცხლს სცემდა პატივს და სპარსთა მოგვებს, შემდეგ არმაზი, ღმერთი ქართველთა

იწამა, მას აღიარებდა. არმაზის შემდეგ შეიყვარა, წმ. ნინოს სწავლა და ქრისტიანობას დაუკავშირდა.

მცხეთაში მოსული წმ. ნინო დაძვებდა უახლოეს იმ ადგილის, სადაც ქართველთ ძველი ღმერთი ესვენენ. ესე იგი სოფ. კარანის უახლოვეს, არმაზის სალოცავის ჩრდილოთ, მაღალს მთაზედ, რომელ მთაზედაც დღევანდლამდე დაშთენილია პატარა ეკლესია, რომელსაც წმ. ნინოს სამლოცველოს უხმობენ. ეს ეკლესია მაღლობიდან კარგათ, თვალ-ხილულად დამზერის იმ მთას და ციხე კოშკებს, სადაც ქართველთ ღმერთი განისვენებდნენ. ალბათ წმ. ნინომ განძრახ ამოიჩინა ასეთ ადგილას დამკვიდრება და ლოცვა, რომ აქედან უფრო კარგათ ედევნებინა თვალ-ყური ქართველთათვის, როცა კი ესენი არმაზის წინაშე სალოცავად წავიდოდნენ. ეს საყდარი მცხეთის სადგურიდანაც სჩანს, მეტად მაღალს მთაზე. სადაც კაცი დიდს შრომით აღწევს. მაგრამ მშვენიერ ალაგას კი სძევს. თვით არმაზის ციხე, საფლავი და ქართველთ ღმერთთა სადგურნიც ისეთ ალაგას არის, ისეთ ხეობას, სადაც კაცი მართლაცა და ბევრს რამ ისტორიულს შემთხვევებს გაიხსენებს ღმერთთა ბინათ სადგურს წინ მშვენიერი ანკარა მდინარეც ჩამოურბის, რომელსაც ზოგნი არმაზის წყალს უხმობენ და ზოგნი კი აღმასისას, უფრო კი არმაზი უნდა ეწოდოს.

ეს ჩვენი ძველთ ღმერთთ ბინათ სადგურნი თვის დროდან ჩვენს დღემდე მთლათ დაშთენილან სწორეთ იმ მთაზე, სადაც არმაზს აღუმართავს, სადაც თვით უდრეკია მუხლი, სადაც სიკვდილის შემდეგ დასაფლავებულა. შტოებათ დაყოფილი საქართველო ამან შეაერთა ერთათ, თვით გამოცხადდა საქართველოს პირველ მეფეთ. ამანვე შეჰოილო ქართული ანბანი. ვგონებთ, ურიგ აორ იქმნე-

ბა, რომ ასეთ ისტორიულ ნაშთთა შთენთ თანამედროვე ქართველობამ ყურადღება მიაქციოს, მის სახილველად მრავალნი წავიდნენ. თუნდ 20 ივლისი, იმ არმაზის სადგურის და წმ. ნინოს საყდრის მოსაგონრათ დაინიშნოს, რომელ საყდარსაც ჩვენ აქ ვასახელებთ. ეს ძველის-ძველი საყდარი დღეს ესტატე ჩხარტიშვილის მამულზე ნძევს, იგი მცხეთის მხრივ სასტუმრო „არმაზი“-ს ბაღს დამზერის და სამხრით ჩვენ ძველ ღმერთთა ბინათ სადგურს. დღეს, ცხეთიდან ამ საყდრამდე, დიდს აღმართებზე, კარგი ბილიკი გზა არის გაკეთებული. არმაზის ბაღიდან მგზავრი პირდაპირ წმ. ნინოს საყდარს აუწევს და მერე იქიდან არმაზს დაინახავს, სადაც მსურველი უადვილესათ მიაღწევს. აქ უნდა დაუმატოთ შემდეგი, რომ ეს გზა, ბ. ესტატე ჩხარტიშვილის დავალებით ამ ზატხულს, დიდის გულმოდგინებით და ცლით გაუკეთებიათ ბ. იაგორ ჯაყელს თავის ოთხის თანმოზიარე ახალ გაზრდა იმერ მუშაკთ მეოხებით, რომელნიც საკმარისის მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც ასეთს მაღალს მიუვალს მთებზე გზის კეთება და მუშაკობას კაცი ადვილად ვერ გაბედავს, თუ მათში განსაკუთრებული შრომის და საგნის მოყვარეობა არ არის გახსნილი.

დასრულდა მისი წიგნი და იმის ბ. კ. ...  
 ...  
 ...  
 ...

## ჭაბუა ორბელიანს \*)

ვინც რომ ვერ გიცნობს, ესრედ იტყვის, ჰა ჭაბუა!  
ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს, დიდი ცრუაო!  
ლამით ეშმაკსა შეგადრიან, დღისით ბუაო!  
ვიშ, რა კაი რამ დაბადებულხარ, მაგ წვერს ფუაო!

დამპალო ლეშო თვალ-ხე ნეშო გულ-ღაღარაო,  
ეშმაკთ ბუდეო, ბექ მრუდეო კერპ სადარაო,  
არ უზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,  
ხილვად საშიშო, თვალ მავიშო, გასაგარაო!  
მე შენი ქება მომენება, არ დაფარაო,

ბექ-მკერდი-კუზი და კურტუმი გაქვს უკულმართი,  
გვერდი, კისერი პირის-ფერი გონჯათ დანართი,  
უთლელის კუნძის შესადარი, არ გასამართი,  
სჯობს დაიკარგო, იმალვოდე, მოგესხას ლართი.

ბესიკი

\*) ჭაბუა ორბელიანი ერთი უკეთეს ქართველთაგანი იყო უკანასკნელ დროს და დიდი მოჭირისუფლე საქართველოსი. ბესიკი გაბაშვილი ემტერებოდა და, სხვათა შორის, ეს ლექსები დაუწერა, რომელიც იმ დროში თათქმის ყველამ ზეპირად იცოდა.

რედ.



სპირობა

ლ ე ქ ს ი \*)

(გაგონილი ქ. ახალციხეში 95 წ. მოხუცის სფირიდონ ხმალაძისგან და ჩაწერილი გ. კ— შვილისაგან.)

ამოსულხარ ყოელად წმიდაო ყოელის მადლითა უფლისა;  
ბაღია ხარ აყვავებული მოსაწონარი უფლისა,  
გაბრიელის ხარებითა მოგველინა ძალი მღვთისა;  
დედა ხარ იესო ქრისტესი, ქალი ზეცაერ მამისა.  
ევმანუე (ევმანუელ) შენგნით იშვა, მიზეზო ჩვენი დახსნისა,  
ვარდი ხარ აყვავებული მოსაწონარი უფლისა,  
ზიხარ მუდამ შენ ძესთანა, მეოხე ცოდვილებსა,  
სასრათი ვარ მე ცოდვილი, მუდამ შენი წყალობისა;  
თვალი შენი ჩვენზედ იყავ, შიში არა გექონდეს მტრისა-  
ისიმ ძუძუ დაილოცავ, რომ აწუა ქრისტეს პირსა.  
კურთხეული ხარ, მარამ, დედოფალიც ხარ ზეცისა,  
ლამაზი ხარ მშვენიერი, საკვირველო სამოთხისა.  
მარიაჲ, მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა.  
ნეტარელი ხარ მარიაჲ, მუდამ ყოელისა გვარისა.  
მისმინე ვედრება ჩვენი, ქალწულო, ჩვენი გულისა.  
ფრნე გზანი მიგეაჩნია, გვიწინამძღვრე სამოთხი[ე]სა:

\*) თათრობის დრჳს ამ ლექსს ხმარობდნენ ლოცვად საერო სიმღერების ხმაზედა, რადგან მართლ-მადიდებლებს საეკლესიო ლოცვების ცხადლივ წარმოთქმა აკრძალული ჰქონდათ.

პილწსა ეშაკსა ნუ მიმცემ, შემავედრე მაცხოვარსა.  
ჟამი ისიმ დაილოცვის, რომ შეიქმენ დედა ღვთისა.  
რასა [ვ]ლირს ვარ, რომ შენ გაქო თუ კი შენ არ ძომცემ  
სანთელი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა: [შნოსა.  
ტურფა რამე ფრინველი ხარ, მიმგზავსებული მტრედისა,  
უშენოთ არ შემოძლია, ხილვა წმიდა სამოთხისა.)  
ქვეყნისა ანგელოზი ხარ, ვარსკვლავი ხარ ცასკარისა  
ღრუბელი ხარ უმძიმარა, წვიმა შეიდი მაისისა;  
ყოელის ფერად შემკობილო, ტაძარო სოლომონისა:  
ცამ, ქვეყანამ გაიხარა (დღეს) იესოს ქრისტეს შობისა.  
ძე მღვთისა ქვეყნად მობრძანდა დახსნად ადამის ტომისა  
წყალობის კარი განგვიღო, შეიდობა მისცა სოფელსა.  
ქეშმარიტად ღვთის დედა ხარ, არ ვინარს შენი მსგავსი[ს]:  
ხე ცხოვრებისა იწოდე, სუნი გაქვს უკვდავებისა.  
კურვალე გული მომეცი, მხურვალეც ვიყო ლოცვისა.  
ჯოჯოხეთიდგან დამიხსენ, მუღამ შენ გიზამ დილაგსა.  
ჰასრათობა აღმისრულე, ქალწულო ჩვენი გულისა.  
ქოი, რა ტკბილი დედა ხარ, მაღირსე ხილვა ზეცისა.

წიგნი მიწერილი სვიმონ წერეთლისაგან სახუცის  
შვილისა ქმისადმი ტრაპიზონიდან.

ჩემო მოწყალე ძმაო, სახუცის ძეო, წერეთლო გრიგოლ! აქ ქუთაისიდან სომეხი მოვიდა და მითხრა მან ორი ამბავი. ერთი ეს, რომ გრიგოლს, შენ ძმასაო რუსეთს აგზავნიანო. ღმერთს ექნა, არ გამეგონა ეს და მომკლარიყავი, ჭეშმარიტად მერჩია. ასე როგორ გადაირიე, რომ შენ რუსეთს მიხვალ, მეფე აღარ მინდაო. გამიშინჯე საქმე. ბაბუაშენიც მაგრე წივიდა სხვა ქვეყანას, რომ ბატონი აღარ მინდაო. დიალ, მამა-შენიც მაგაზე წავიდა, რომ ბატონი აღარ გვინდაო. ძმაო, ამაზე სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ და არც ჩემი მოხსენება გინდა, შენ უკეთიცი ეს, რომ თავისობას სირცხვილში ყოფნას ბევრად სჯობს სახელოვნად სიკვდილი, უნდა გათითებდეს ხელს ყოველი კაცი გაჩსევან ეშიკ-ალაბასავით — „ამან დაჰკარგა მეფეო“. და ესეც ვიცი, რომ შენზე ძალაჲ ვის შეუძლია...

მეორე ეს მითხრა, რომ დედოფალი იმან უნდა ჩაგვაროს რუსებსაო. თუ დასტურა ეს გითხრეს და მაშინვე შენი თავი არ მოიკალ, ფუი შენს კაცობას! დედოფალი ჯერ შენი მშობლიურად მომვლელი გამზდელი შენი, მაცოცხლებელი, დამკოლშვილიანებელი და დამთავიანებელი, მიათრევ და რუსებს აძლევ რისთვის, რა გაჭირ-

ვებისათვის? ასე ვთქვათ, შოგკლან. მოკვდი მაგისთვის, არაფერი იქმნება, ვალი ვაქეს ჭეშმარიტად, ხუთჯერ რომ მოკვდე, მაინც ვერ გაღიხდი. შენი გულისათვის მოგახსენებ მაგას, რომ საკიცხავად არ დაიდვა, თორემ მე ანლა მოვალ მანდ და ანლა არა და ნუ იქ ღვთის გულისათვის. ნურც შენ იქ ამ კაცობას და ნურც მე მომკლავ ზაფრით, მაგის უხიაგში არ გაერიო, შენი ჭირიმე, ძმაო. ესეც მითხრა, რომ შენი ცოლიც მიყავსთო, მაგრამ არა მგონია დაანებოსო! ამან კი დამაფიქრა. მაგ თუ დედოფალი დაანებე ვისმე, ჩემ ცოლს რაღას დაეძებ? ჩემი კი გაეცი, არ დავეძებ, ოღონდ დედოფალს ნურავის დაანებებ, ვიცი შემძლებელი ხარ (...?) წელთა ჩუი თვესა ივლისს ვ.

თქვენი მონა ძმა სახუცის ძე სვიმონი.



# ქართველთ ხელოვნები

და

ხელოვნობა საქართველოში.

(პასუხად საერთაშორისო უფლების პროფესორს, ბ. ვგიაზაროვს.)

## I

თუმცა გვიან კი გახლავსთ, მაგრამ სჯობს ისევ გვიან იყოს, ვინემც არას დროს.

ვიდრე პატივცემულის პროფესორის საპასუხოდ წერილის წერას დავიწყებთ, მინამ მოკლედ შევეხებით იმ ისტორიულ გარემოებათა პირობებს, თუ რის მეოხებით უნდა შემცდარიყოს ბ-ნი პროფესორი. საქმე აი რაში გახლავსთ:

ჩვენდა საუბედუროდ, ჟამთა ვითარების მეოხებით, ქართველთ ტომის ძეთა შორის, ხელოვნობამ სამი საუკუნის წინეთ იწყო ვრდობა და მოსპობა. ქვეყნის შინაურმა გარემოებამ მაჰმადიანთ სომრავლემ და ისლამის გადღესასწაულებამ, მისმა აზეაეებამ და ხშირმა ომებმა ქართველ კაცს მკაცრად წაართო დრო და მოცალეობა, ქართველთ ხელოვნობისთვის აღარ სცალოდათ, ქართველთ ხელოვნობათ ხმალი, ხანჯალი და თოფი შეიქმნა, ქვეყნის პატრონობის, მის თავისუფლების და მთარველობისთვის სისხლის ღვრა.

მთელს აზიაში ძველადგანვე დაემხვენ ქრისტიანთ ტომთა სამეფოები, დაეცა ძველადვე ჰაოსიანთ სამეფო, რომელთ ძენიც მთელს დედა-მიწის პირზე გაიფანტნენ, ძველადვე დაეცნენ ურუმიაში ქალდეველნი, დაეცა ეიზანტიის იმპერია ისე, რომ, ღრეპერის სიტყვით, ოსმალთა ქვა-ქვაზედ დაუდუღეს, დაეცა სერებია, ბოლგარია და მათ მიჰყვნენ ბალკანის კუნძულზე მცხოვრებთ ყველა ქრისტიანთ სამეფოები; ოსმალნი ერთ დროს ისე გაძლიერდნენ, რომ კინალამ მათ თავისუფლად მიაღწიეს ისპანიასა და იტალიამდე, მაგრამ იქიდან ძლეულნი უკან დაბრუნდნენ, დამონებულს ადგილებში მოიმაგრეს ფეხი, მერე ტრაპიზონის იმპერიას დაუწყეს ქენჯნა, ესეც მალე დაიმორჩილეს, და იმის შემდეგ დასავლეთ საქართველოსაც მოადგნენ.

ამდენ სამეფოების დამამხობელ ბარბაროსებს, ასეთის ფანატრიზმით აზვავებულს მტრებს წინააღმდეგ გაუზღდენ ქართველნი, ესენი ადვილად ვერ დაემორჩილნენ. ოსმალთ, იმედი ჰქონდათ, რომ რა გვარადაც სხვა-და-სხვა ტომთა სამეფოები დაიმორჩილეთ, ქართველებსაც ისევე დაიმონებთო, მაგრამ საქმე ასე არ აღმოჩნდა, ქართველნი მათ ვერ სძლიეს, გაიმართა მათ შორის სასტიკი ბრძოლა, ამ ბრძოლამ 400 წლამდე გასტანა, ოსმალთ მთელი დასავლეთ საქართველო დაიმორჩილეს და გაათათრეს, მაგრამ საყოველთაოდ, სრულიად კი მაინც ქართველთ მეფობას ვერა ავნეს-რა. საქართველოს სამეფო თავისუფლად დაშთა XIX საუკუნის დამდეგამდე 1801 წლის დასასრულამდე.

ამდენ სამეფოთა დამამხობელ მტრებს შემართა ხელი საქართველომ! ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქართველთათვის აღარც ხელოსნობის დრო იყო, აღარც ქარხნების,

არც მრეწველობი! და არც თვით უსაჭიროეს მეურნეობას. აქ ამაების დასათარავად აღარავის სცალოდა, საქმე ისე მოეწყო, რომ მთელის აზიის მუსულმანები ქართველებს ებრძოდნენ; ამ ბრძოლას ის გარემოებაც უფრო ამწვავებდა, რადგანაც ქართველნი თავიანთ სამეფოში ბინას აძლევდნენ კავკასიის ყველა ქრისტიანთ ტომთა შვილებს, რომლებიც კი აღრიდანვე მიეცნენ მაჰმადიანთა მეოხებით დაცემასა და განადგურებას, ჩაგრულ-დევნილნი საქართველოში ჰპოვებდნენ მფარველობას, პატივის-ცემას და პატრონობას; მაჰმადიანებს კი ამაზე დიდათ მოსდიოდათ ჯავრი და ქართველთ სამაგიეროს გადახდა, აღარიცოდნენ, როგორ მოეჩერებინათ. საქმე და გარემოება ისე მოეწყო, რომ ქართველებში, კაცი თუ ქალი, ახალგაზრდა, თუ მოზრდილი მხოლოდ ომისა და სისხლის ღერის თათბირს ეძლეოდნენ. დღე და ღამ მარტოთ მორიგი ჯარის და მღვდლის ძაბილი განისმოდა. ამის მეჩხებით ქართველნი ძალა-უნებურათ ხელოვნობას საყოველთაოდ მოესხლიტნენ. ეს მათგან ასეც უნდა მომხდარიყო, ამისთვის მათ დრო არა ჰქონდათ.

ერთ საგმირო და მასთან ღირს სახსოვარს მოსაგონარს ის შეადგენს ქართველის ტომისას, რომ ბევრს ღირს მესანიშნს გამოსათხოვარ საქმეებთან, ქართველთ ვერ დასთმეს მხოლოდ მეურნეობა, ნამეტურ პურის თესვა და ღვინის დაყენება, სჩანს, მათ ამ საქმეთ და მუშაკობის უპირველესი მნიშვნელობა კარგათ სცოდნიათ, რომ ბევრს დასათმობ საქმეებთან ერთათ ვერ დაუთმიათ ხსენებული მუშაკობა. ამ სახით, ქართველი კაცი, უკანასკნელს საუკუნოებში, მხოლოდ მეომრად და მეურნედ გარდაიქცა. ქართველის ერის უმთავრეს იარაღს, სიცოცხლის სახსარს და ქვაკუთხედითი ძალას ომი, ბრძოლა

და მეურნეობა შეადგენდა, ერთით მფარველობდა, თავისუფლებას ინახავდა, მეორეთი ქვეყანას ასაზრდოვებდა, თავს იკვებამდა, სახლობას არჩენდა, მტერსა და მოყვარეს პასუხს აძლევდა.

სხვა დანარჩენ საქმეებს, ხელოსნობას და ქარხნებს ჩვენი ძველები მთელს საქართველოში ძველათვე გამოეთხოვნენ, ყველა ხელოსანთა და მუსათ გამგეობა, უცხო ერთაგან საქართველოში შემოსულ შეილებს დაუთმეს, მათ დაულოცეს, რადგანაც ამ დამონებულთ და განბნეულთ ძენი, საქართველოს მეფეებზე დროს, სრულის თავისუფლებით სარგებლობდნენ, სრულის პატივისცემით, თუ არ დიდს-გაჭირებაში, იგინი იშვიათად, რომ სადმე ომში წასულიყვნენ. ნელ-ნელა უცხო ნათესაენი ხელოსნობის ასპარეზზე დიდის მხნეობით და შეძლებით აღმოსჩნდნენ. ამ აღმოჩენისთვის მათ დრო და გარემოებაც შესწევდათ, ხელს უწყობდა ყველაფერი, შეგიძლებათ, მათ გარშემო, ყოველთვის მათივე ტომის ძენი იკრებდნენ თავს. დროის განმავლობის მეოხებით, საქმე ისე მოეწყო, რომ ერთ დროს, ჩვენდა საოცრად ქართველებში, კინაღამ სრულიად მიაიხპო ხელოსნობა, თითო ხელობაში კაცი 10—15 ხელოსანს და მუშას ძლივსა ჰპოვებდა. ამ გარემოებამ თვით ამქრულ წეს-წყობილებაც შეუცვალა თავის საკუთარი სულიერი მხარე, თავისი სახე, ამქრობამ სხვა სარწმუნოებრივი ნარუქი მიიღო, მან დაიმკვიდრა იმ სარწმუნოების სწავლის ღაღადი და წეს-რიგი, რომელსაც ხელოსანთა უპრავდესობა ეკუთვნოდა, სწორეთ ეს გარემოება გახდა მის უმთავრეს მიზეზათ, რომ ბ. პროფესორმა ქართველ ერის ხელოსნობას უნდოს თვალთ შეხედა, დაივიწყა ყოველი ისტორიული პირობები, ბევრნაირი ღირსება და ამაგა ქართველი ტომი.



მის მეოხებით ქვეშარიტებას გვერდს აუარა და ისეთი ჰაზრები განთინა რუსეთში, რამაც სასტიკათ უარ ჰყო ქართველებში ძველის დროდანვე ხელოსნობის არსებობა! ბ. პროფესორის მოსაზრების მეოხებით ის იხატება, რომ ძველად, საქართველოში, მუშებათ და ხელოსნებათ ყოველთვის სპარსნი, ბერძენნი, ჰასიანნი, ქალდეველნი და სხვა ტომის ძენი ყოფილან და არა ქართველნი!

პატივცემულის პროფესორის მოსაზრებიდან მკაფიოთ გამოიჭვრიტება შემდეგი დასკვნა: ქართველები ძველადგანვე იყვნენ მხოლოდ მზენელ-მთესველნი, ღვინის დამყენიბელნი, სიმინდის მომყვანნი და მებაშეგები, ქართველნი ხაშს და ცხვრის თავებს ხარშაედნენ მხოლოდ. ამ მუშაობას გარდა მათ სხვა რამ ხელობა სრულებით არა იცოდნენ-რა. თვით სახლებსაც კი თავგის სოროებივით სთხრიდნენ მიწაში და შიგა ძვრებოდნენ პარუტყვებოვით. როგორც სჩანს, პროფესორის სიტყვით ქართველებს არც ქვის-მჭრელობა სცოდნიათ, არც ჩუქურთმა, ხარატობა, კალატოზობა, დურგლობა, ხუროობა, მხატვრობა, მქედლობა, თოქმაჩობა, თქობა, კონობა, ხიდების კეთება, ყაზაზობა, ხარაზობა და ფინ იცის რამდენი კიდევ სხვა ხელოსნობა, რომელთა არსებობის ცნობები საქართველოში ძველის ძველის დროიდგანვე სჩანს. ხარაზის, მხატვრის და მექანდაკის ხსენება ქართულის წმინდანების ცხოვრებიდან მეოთხე საუკუნიდან სჩანს, გარდა ამის, თვით ელინნი გეწოდებენ ჩვენ ქართველს მუშაკებს, ანუ „მიწის მუშაკებს“. მაშასადამე რის მუშაკნი ვიყავით, რის მოხელენი და მკეთებელნი თუ ჩვენში სახელოსნო და სამუშაეო არა არსებობდა-რა. სჩანს პროფესორის მოსაზრებით ჩვენ უნდა უტყუერად ვიწამოთ ის უჯერო ჰაზრები, რომ ვითომც საქართველოში სულ ძველადგანვე

ყველა ხელოვნობის მუშაკნი უცხო ტომის ძეთაგან შეს-  
დგებოდა! ამას ვერაფერს დაგვაჯერებს.

პატივცემულს პროფესორს ჩვენ ამაზე მკაცრათ ვერ  
ჩამოვეკიდებით, ჩვენის ლოლიკურის მოსაზრებით და  
დასკვნებით ვერ აფუხირდებით მით უფრო, რადგანაც  
მას ვრცელ ტომის საბასუხით ჩვენ სხვა აღწერა გვაქვს  
დამზადებული, ეს წერილი კი, რომელსაც ეხლა ვსწერთ,  
მხოლოდ შესავალია იმ აღწერის, სადაც შეკრებილია  
და კიდევაც იკრიბება დიდი ძალი ცნობები ქართველ  
ტომის ძეთა ხელოვნობის და მუშებთ შესახებ. აქ შეენი-  
შნავთ ერთს კიდევ: ვინც საქართველოს ერის ისტორია  
არ იცის, ვინც ქართველთ ძველს კულტურულს ცხო-  
ვრებას არ იცნობს, ქართულს ისტორიულს ძველს მა-  
სალეხს, ძველს წიგნებს, სიგელ-გუჯრებს და მრავლად  
ნაშენ შესანიშნავ ნაშთებს, რომლებსაც თავიანთის მშვე-  
ნებით განცვიფრებაში მოჰყავსთ თვით აწინდელის ევრო-  
პის მსწავლულთ მოგზაურნი, ვიტყვი, რომ ასეთ აღმწერ-  
ნი, თავიანთის უმანკოს ცნობებით ყოველთვის შემცდარნი  
იქმნებიან, მოტყუილებულნი, ჭეშმარიტს განსჯას გან-  
რიებულნი, რადგანაც მათ საქმის ცოდნის სრული გაგება  
არა აქვსთ, ვისაც შესწევს ჩვენი ცოდნა და გაგება, ცნო-  
ბების ჭეშმარიტებით შეკრება, აკინძვა და განსაზღვრა,  
ცხადი საქმეა, რომ ის კიდევ ჩვენს ასე გაქარწყლებას  
არ იკადრებს, მას ისტორიული ფაქტების ცნობა ჩვენის  
დამცირებას ნებას არ მისცემს. უნდა ვსთქვათ, რომ აქ  
ერთის ტომის განვლილ დროთა ცხოვრების ცნობათ  
გაბათილება და მეორე ტომის ამაღლება და დაწინაუ-  
რება, ვგონებთ, რომ პირდაპირ ისტორიულ ცნობათ  
უცოდინრობაზე უნდა გახლდეთ დამოკიდებული და არა  
სხვა რამ ჭეშმარიტებით აღვისილს ძიებაზე, თუ ეს ასე არ

არის და ამ პროფესორის შრომასაც სხვა სარჩული აძევს, მაშინ კი მშვიდობით ქართველობაგ!

ქართველ ტომის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ძველათ ქართველნი არამც თუ მსხვერპლნი უნდა ყოფილიყვნენ უცხოეს ტომის ხელოვნების რიცხვის, არამედ როგორც ეს ამ უკანასკნელ დროს აღმოჩნდა მეცნიერებაში (О колхахъ, записка барона Услара 1891 г. Казань) თვით ელინთა, ებრაელთა და რომაელთაც თავიანთი სწავლა-განათლება კოლხებისაგან მიუღიათ მეტად ძველის ძველს დროს. ამის ხანა ერთობ შორს უწევს და კოლხები ხომ ქართველებათარიან ცნობილნი, ამას ხომ მტკიცება არ უნდა. შემდეგ კი სხვა-და-სხვა ტომთა მოგზაურობის და გალაშქრების მეოხებით კოლხები შესუსტებულან, მიზეზი ამის მრავალნაირია. რაც შეეხება ძველ განათლებას და კულტურას კი პირდაპირ ამათ ეკუთვნისთ. ფისგანაც აღორძინებულა და ვაერცულეებულია თვით შემდეგ დროის აყვავებულს ვიზანტიას და რომაელთ შორის. ნუ თუ შეიძლება, რომ ასეთ ერს კი თავის გონებრივ სამეცნიერო და ფილოსოფიურს წარმატებასთან ხელოსნობა კი არა ჰქონიყოს გაბრწყინებულნი, ეს არა გვკონია ჩვენა.

პატივცემულის პროფესორის საგულისხმოთ, ჩვენ აქ დავადგინთ შემდეგ კითხვებს და იმუდია, რომ ეს კითხვები უპნიშვნელოდ არ დარჩებიან მრავალთ წინაშე: ჩვენ და ბევრმა უცხოელებმაც კარგათ უნდა იცოდნენ, რომ ქართველებს ხშირად თუ არა ხანდისხან მაინც გვყვანდნენ ისეთი მხნე-გულოვან მეფენი, რაგორიც იყვნენ: მირიანნი, ვახტანგ გორგასლანი, არჩილ პირველი, ბაგრატ III, ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, გიორგი მესაქე, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, როსტომ მეფე და ლეონ

ირანთა მსაჯული. ხშირად ეს მეფენი აკვირვებდენ მთელს აზიის მაჰმადიანთ სამეფოებს, ხანდისხან საქმე ისე ხდებოდა, რომ თვით ასეთი პირნივე ხდებოდენ მთელის ირანის გამგეთ, როგორც ეს იქმნა ლეონ ირანთა მსაჯულზე.

უნდა ვსთქვათ, რომ ზემო ხსენებულ მეფეების დროს, საქართველო მჭიდროთ ქართველის ტომით, იყო დასახლებული, საქართველოში მაშინ უცხო ტომის ძეთა რიცხვი ერთობ მცირე იყო, საქართველოში თუ რამ იყო და არსებობდა, ყველაფერი ქართველთ ძეთა რიცხვისაგან შესდგებოდა. გარდა ამის ჩვენ ისტორიით ისიც კარგათ ვიცით და ამას დღევანდლამდე დაშთენილნი ძეგლებიც მოგვითხრობენ, რომ ზემო ხსენებულ და სხვათა მეფეების დროს, საქართველოში აღშენდენ შესანიშნავად ნაგები მონასტერ-ეკლესიები, ციხეები, კოშკები და ხიდები, რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავს მხილველი, გარდა ამების, იმავე დროს, გაირკვა და გამშვენდა ჩუქურთმის ხელობა, მან სუფთა, ნაზი თვისება მიიღო, ასევე დაემჩნა ფერად წამლებით მხატვრობას, ესეც დიდის წარმატებით შეიმოსა, ქართველთ მხატვრობა უმაღლეს წერტილამდის ავიდა. ამას ცხადათ მოწმობენ დღევანდელ ამდენ აქა-იქ ეკლესიებში დაშთენილი ძეგლი მხატვრობა. რაც აქ ორს-სამს ხელობაზე ვსთქვით, იგივე ითქმის სხვა ხელობების წარმატებაზეც.

გარდა ამების საგულისხმოა კიდევ ის გარემოება, რომ ოდესაც ქართველთ შორის თითქმის ბევრნაირის წრის, საქმის და თანამდებობის მოხელენი და მომქმედნი არსებობდენ მრავლად, ნუ თუ მაშინაც კი, ქართველთ ძეთა შორის ქართველ ხელოვნები კი არ იქნებოდნენ, ნუ თუ იმ დიად ხანსაც, როცა ქართველთ ძლიერება მთელს აზიაში ბრწყინავდა, რომ მაშინაც კი ქართველთ

შორის ხელოსნებათ სულ უცხო ტომის შვილები იყვნენ? არ გვგონია, ეს ისტორიულს ქეშპარიტებას მოკლებულია, საღს ლოდიკურს დასკვნას მკაცრათ ვშესაბამება. ქართველთ შორის რომ ხელოსნობა ძველათვე ყოფილა გავრცელებული, ეს მტკიცდება თვით ჩვენის ისტორიულის წიგნებიდამაც, სადაც მოხსენებულ არიან ქვის მჭრელნი, მექანდაკენი, ხარატნი, მხატვარნი, მჭედელნი, ხარაზნი, ოქრო-მჭედელნი, ოქრო-მკედით მკერავ-მქსოველნი, ფეიქრები და სხვებიც მრავალნი. ისტორიულ წიგნებს რომ თავი დავანებოთ, ასეთს ცნობებს თვით ჩვენი სამეფო დავთრებიც გვიჩვენებს, თვით ასეთ დავთრებიდან სჩანს კარგათ, რომ საქართველოში ერთ ღროს ქართველთ ხელოსანთ რიცხვი დიდათ ყოფილა გავრცელებული. მაგალითებო: ამ რამდენიმე წლის წინად, ოზურგეთში, ვაისყიდა აუარებელი ქალაქდებო ძველის მასალებისა. შემთხვევით ზოგი მასალები მე ვიყიდე, ერთ წიგნში სხვათა შორის ანუსხულია გურიელების შესავალგასავალი. მოხსენებულია აგრძედე ის, რომ გურიაში სხვა-და-სხვა ხელოსნებმა ბაზრობაც კი (იარბუკობა) იცოდნენ და იმ ბაზრობიდაჲ კურიელს ხარკსაც აძლევდნენ. ამის გარდა იქ მოხსენებულია რიცხვი ყველა ამ ხელოსნებთა, რომელნიც კი გურიელების ღროს სცხოვრობდნენ. გურიაში და თავიანთ საქმეებსაც აწარმოებდნენ. ავიღოთ თუნდ გურია-სამეგრელოს ერის „პარასკეობა“. რას მოასწავებს ეს თუ არ ერის ხელოსნურს საქმეთა წარმოებას და მის გასაღებას. ქართველთ ძეთა ხელოსნური ნიეთების გასაღების პარასკეობა ჩვენის ცნობებით ხონში 1820 წლიდან სჩანს. ქუთაისის ძველ ხელოსანთა რიცხვის შუესახებ ხომ აუარებელი მასალები გვაქვს, იქ ქართველთ

გარეშე უცხო ტომის ხელოსნებუ თავის დღეშიაც არ ყოფილან. ყოველთვის ქართველნი იყვნენ.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თუმცა ქართველთ შორის ხელოსანთ რიცხვმა სასტრაკათ იწყო კლება და ერთ დროს იქამდღს მივალწიეთ, რომ ტფილისში, თითო ხელობაში სამ-ოთხ კაცზე მეტს ვერ ჰპოვებდით ქართველს მაგრამ ისაც კარგათ ვიცით, რომ ეს იყო XV—XVI საუკ. XVII საუკუნის ნახევრამდე, გამოჩენილის როსტომ მეფის დროიდან კი ქართველთ შორის თვალ საჩინოდ იწყო ხელოსნობა აღმომდინარება. ჩვენი ისტორიაც გვაუწყებს, რომ როსტომ მეფის დროს ტფილისში გაშენდნენ კარგი სახლები, სახლებს რთავდნენ კარგის ბივანებათ, ფერადის მინის-ბანებით, ბალ-ბალჩა ეზოებს მარმარილოს ჰაუზებით, XVII საუკ. ნახევარს, ლეონ მეფის ბრძანებით, ტფილისში გაკეთდა დიდი, მშვენიერი ქარვასლა, სადაც 100-მდე ოთახი მარტო ზემო სართულში იქმნებოდა თავისუფალი, ქვემო სართულში სავაჭროები იყო და სარდაფებში სხვა-და-სხვა საქონლების საწყობა. პირველი სართული სასტუმროსავე იყო მოთავსებული, აქ ისადგურებდნენ ევროპიელთ მსწავლულთ მოგზაურნი და ვაჭარნი, რომელთაც ულუფა მეფისაგან მიერთმეულობათ. თვით ეს დიდი შენობა მშვენიერად ყოფილა ნახევები, ეზოში ბაღია, შიგ მშვენიერი მარმარილოს ჰაუზი და წყარო აღმოდენილა. იგი შემუსვრილ იქნა 1724 წ. ოსმალთაგან. მერე ველარ განაახლეს თავის პირველ სახით. ამავს გარდა ტფილისში გამრავლდა ყველა ხელობის ხალხნი, ვაჭარნი და სოფდაგარნიც. იმ დროიდან ქართველთ შორის ხელოსანთ რიცხვმა მატება იწყო და XVIII საუკუნის ბოლომდე ქართველთ შორის ყველაფერი კარგათ გაბრწყინდა და გამრავლდა, მაგრამ

ჩვენ და საუბედურადაც, ამ ბედნიერებასაც არ შერჩნ დიდი დრო, მას მოეკლინა 1795 წ. რისხუა. ამ რისხვამ სასტიკად აგნო ქართველთ, აქ ომში ისე გაწყდნენ მთელის ტფილისის ქართველთ ხელოსნები, რომ შათგან თითო ხელობაში ათის ან ოცს ხელოსანზე მეტი არ დარჩენილან! დარჩნენ მხოლოდ პატარ-პატარა შევირდები, რომელთაც შემდეგ შეისწავლეს თავ-თავის ხელობა და XIX საუკუნის დასაწყისიდან ნელ-ნელა იწყეს ხელოსნობის ასპარეზზე გამოჩენა.

პატივცემული პროფესორი ერთობ ჰკვირობს თავის გამოკვლევაში და განცვიფრებით ამბობს: მე ბევრი ვეძიე ცნობები საქართველოს ისტორიულს წიგნებში, მაგრამ ამქრებზე და ხელოსნებზე ვერსად რა გპოვეო. გადავშინჯე აქტები, ბუტკოევი, დუბროვინი, გუჯრები და ბევრიც სხვა წიგნები, მაგრამ იქ ამათ შესახებ სიტყვაც ვერ ვნახეო. ჩვენდა საკვირველად, თვით ვახტანგ მეფის სამართლის წიგნშიაც კი არ მოიპოვება ამქრობის ხსენებაო. მაშინ რომ ქართველთ შორის ხელოსნობა და ამქრობა გაძლიერებული ყოფილიყოს, ცხადი საქმეა, რომ ვახტანგ მეფეც იტყოდა რამეს ამათ შესახებ თავის სამართლის წიგნშიო, ალბათ მაშინ ხელოსნობის არაფერი არსებობდა და მიტომაც მოხდა, რომ ვახტანგ მეფე თავის წიგნში გაჩუმდა და ხელოსნებსა და ამქრობაზე ხმა, კრინტი არ დაძრაო. ჩვენს არზრიალს, ბ. პროფესორი პირდაპირ ამზე აფუძნებს; ასეთი მოსაზრება და დასკვნა ჩვენც კი ცალ-მხროვნად მიგვაჩნა; ჩვენის ისტორიის და ეთნოგრაფიის ღრმად არ ცოდნათ. ხელოსნობის შესახებ მართალია ხსენებულს წიგნებში ბ. პროფესორს არა უნახავს-რა; მართალია ამ წიგნებში არაფერია ნახსენები, მაგრამ მიტომ ხელოსნთ და ამქრულის წესების შესახები

ცნობები სხვა-და-სხვა სიგელ-გუჯრებში მოიპოვება, რამდენიმე ასეთი „გუჯარი“ ქუჩნალ „მოამბეში“ აც დაიბეჭდა, ერთს გუჯარში მოხსენებულია ქართველ გვარის კალატოზების უსტაბაში. ნელ-ნელა სხვა წყაროებიც ბევრი ჩნდება ამ კითხვების შესახებ.

გარდა ამის, ტფალისში, აქა-იქ ძველს ოჯახებში ძრიელ ბევრი ძველი გუჯრებია დაშენილი, რომელნიც ქართველთ მეფეებს უძღვევიათ ტფილისში მცხოვრებ ხელოსნებისთვის, ამ გუჯრებში და ქალაქებში მკაფიოთ მოიხსენებიათ ხელოსანთა სახელ-გვარებო, მათი საქმე, საჩივრის ვითარება, გარიგება, გარჯახდა, ჩუქება, პატიობა და ბევრიც სხვა რამ ღირს სამახსოვრო ცნობები; რანიც უტყუვრად მოწმობენ, რომ საქართველოში, XVIII საუკ. ტფილისში, ხელოსნები ქართველებში დიდათ მრავლობდნენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ განა შესაძლებელი იქმნებოდა, რომ არა რაობისაგან ქართველებში, ისე სწრაფად, ისე მრავლად გაჩენილიყვნენ ქართველთ ტომის ხელოსნები, როგორც ეს იქმნა ქართველებში 1830 წლების შემდეგიდან, ეს შეუძლებელია. მას შემდეგ მრავლობს ქართველი ხელოსნობა და დღეს ტფილისში, ქართველთ მუშებთ და ხელოსნობთა რიცხვი 30,000 ათას კაცზე მეტი შესდგება, ამოდოლ მუშებს და ხელოსნებს სხვა ვერც ერთ ტომში ვერ ვნახავთ, ყველაზე მეტი ქართველები არიან, ყველა დიდრონი ქარხნები მათით არის სავსე, გარდა ამის მათში მოიპოვებიან ისეთ იშვიათ ხელობის ხელოსნებიც კი, რომელთა რიცხვი აქამდის მთლად ევროპიელთაგან შესდგებოდა, სპას გარდა, მათ ეს ხელობა მეტათ, მტკიცეთაც ეკავათ, სხვა ტომის შეილებს შეგარდებათ არ იყვანდნენ, ახლოსაც არ აკარებდნენ, მაგრამ ქართველ კაცის შრომის, ხელობის



და მუშაკობის ტრფილვებამ აქასაც დასძლია, დღეს უკვე ტფილასში, აქა იქ ქართველთ საპატიო ხელოსნებთ რიცხვი თვალთ საჩინოთ სჩანს.

ვიტყვი, რომ ტფილასში ხელოსანთ რიცხვი რომ სომეხთაგან ყოფილიყოს შეზღვარი, მაშინ ამაზე იმ დროის ევროპის მოგზაურნი მანც დასწერდენ რამეს, მაგრამ ამაზე არც გულდენშაეტს აქვს რამე ნათქვამი და არც სხვა ცნობილ მოგზაურებს. ქართველთ ხელოსნებთა ნაწარმოების კარში გასატანათაც კი იყო დანიშნული დრო, მაგალითებრ: მეფის ერეკლეს ბრძანებით ქართველთა ხელოსანთა და ვაჭრებთათვის ბაზრობა, ანუ იარმუკობა დანიშნულ იქნა ყუბანის ოლქის დაბა ეკატერინენდორში; სადაც რუსის ხელოსნები და ვაჭრებაც მოდიოდენ და ქართველთ ნაწარმოებზე თვის ნივთებს და საქონელს სცვლიდენ. ვაჭოებში კი, დიად, ერმიანთა რიცხვის მეთი იყო.

საჭიროთ ვრაცხთ, რომ აქ ავნუსხოთ იმ ხელოსნების და მუშების რიცხვი, ვინც კი აღრე, ქართველთ მეფეების დროს სცხოვრობდნენ: ოქრო-მჭედლები, ხაჭის მკეთებელნი, ქვის მჭრელნი, მხატვარნი და ხატის მხატვარნი, ხარატნი, მესანდლე და მექვაბეები, საეკლესიო ნივთებთ მკეთებელნი, მესამთლეები, მქარგავნი, ფეიქრები, ყაზახები, ჭონები, მღებარნი, თერძნი, ქურქნი, მინაბდე, მეუნაჯირე, ხარახნი, დაბლები, კალატახები, დურგალი, მხერხავნი, ხჯრო, მჭედელი, სამართებლის, მაკრატლის და დანის მკეთებელნი, მეჭურჭლენი, მემინეები, მესავარცხლე, მესარკეები, მევარცლენი, მკუპრავნი, მეკურტნები, მეფარნები, მედაირები, მეთარები, თოქმანები, ზეინკალი, ყასპები, მებურები, დალაქები, მკალავები, მეკეხები, მეთევზები, მებადები, მეწისქვილები, სი-

რაჯები, ალაფები, მებაზები, მექოშები, მექამრები, მე-  
ჯღანები, მექალამნები, მეტყავები, მეთუთუნე-მებურნუ-  
თეები, ლეკური ჩუსტის მკერვალნი, მეწერილმანები,  
მესაპნები, შეაგურები, მეკრამიტენი, ქვის მჭრელნი, ჩი-  
ლინგარი, მჭალეები, (კონდიტერი) მეკაზმები, მებრი-  
ლიანტე და რამდენიმეც სხვა წვრილი ხელოვნები.

წარსულ საუკუნის დამლფვამდე, ამ ხელობის უმე-  
ტესი ნაწილი ქართველის ტომისაგან შესდგებოდა, მათს  
რიცხვს ბოლო მოუღო 1795 წ. შემთხვევამ. აქ მოთვლილ  
ხელოვნების უმეტეს ნაწილს ამქრობაც აქვდათ შედგე-  
ნილი, ზოგი ხელობა კი, რომელიც ჩკირეს მუშებისაგან  
შესდგებოდნენ, და მათი არც დიდი მოთხოვნილება იყო,  
ისინი მაწერილები იყვნენ სხვა ხელობის მუშებზე, ისეთ  
ხელობაზე, რომელთაც უსტაბაშიც ჰყვანდათ. ხსენებულ  
ხელობის ზოგი ერთ ხელოსნები და ხელოსანთ მუშები  
დღეს მოსპობას მიეცნენ ისე, რომ დღეს ზოგი ერთძს  
ხელობის და ხელოსან მუშების ჰაქანებაც აღარ არის,  
ჩვენ კი ყველა იგინი აწერილი გვაქვს, როგორც გან-  
ვლილ დროთა ქარფველთ ხელოსნები და ხელოსნობა.  
ყველა ჩვენთაგანს, ცხადი საქმეა, ეწამება ის უტყუარი  
ქეშმარიტება, რომ ყოველ მომავალ-მოვლენის დასაწყი-  
სად ანუ მშობლად წარსული უნდა ჩაითვალოსო, ამის  
უტყუარი ქეშმარიტება ბევრს მსწავლულს უღიარებია,  
თვით სიტყვა კაზმულს მწერლობის ასპარეზზე ლეიბნიცმა  
ბრძანა, რომ წარსული არის მომავლის მშობელიო. მაშ  
თუ ეს ასეა და მომავლის ყოველს საქმეთა აღორძინებას  
და წარმატებას წარსულთან უნდა ჰქონდეს კავშირი და  
ნათესაეობა, წარსული უნდა ჩაითვალოს მის დამაარსე-  
ბელ შექმნელ მშობლათ, მაშასადამე ცხადი საქმეა, რომ  
ქართველთ დღევანდელ ტფილისის ხელოსნების და მუ-

შების აღორძინების და წარმატების ძალათ ჩვენც ჩვენი წარსული უნდა ვიწამოთ და ის ხელოვნობითი მოძრაობა და წარმატება, რაც კი მაშინ ტფილისში ქართველთ შორის არსებობდა. ახლა ჩვენ აქ დავასახელებთ ზოგი ერთ აწინდელ ქართველ ხელოვნებთ რიცხვს და იმეღია, რომ ამ ცნობების მეოხებით მკითხველი თვით მიხვდება, თვით შეადგენს სამართლიანს მოსაზრებას, იგი აიღებდა იღებს ჩვენს წარსულს, მომავალს, ერთს მეორეს შეადარებს და უკანასკნელს თავის დასკვნასაც შეადგენს. აქ ფაქტებმა უნდა ილაპარაკონ თავიანთ მხრივ, ჭეშმარიტის ფაქტების მეოხებით აქ სამართლიერი დასკვნა არის საჭირო და არა ლიტონის სიტყვით მოჭრილი ცნობების ვრცელება მასზე, რომ ზვითომც ქართველებში სხვა-და-სხვა ხელოვნობა ძველის დროიდანვე იყო ამოვარდნილიო! ამას ჩვენ ვერავის დაუჯერებთ, ის რაც გინდ დიდი ავტორიტეტის კაცი ბრძანდებოდეს.

დღეს, ტფილისში, 1000 კაცამდე მეჩქეპე ითვლება ქართველი, 1100 კაცამდე სტალარი, 1000 დურგალი, 1000 მხერხავი, 300 კალატოზი, 1000 სლესარი, 200 მჭედელი, 300 დალაქი, 100 ოქრომჭედელი, 400 დერციკი, 500 ევროპის მკერვალნი, 500 მექუდენი, 800 ხარაზები, 100 დაბლები, 1000 მეწურეები და მრავალიც სხვანი, რომელთაც ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსოვლით. აქ ჩვენ ავსუსხეთ მხოლოდ იმდენ ხელოვნანთ მუშათ რიცხვაც, რაც კი 10.000 კაცს შეადგენს და რომელნიც ქართველთგან შესდგებიან. დღეს, ტფილისში 50-მდე მეტი ამქარი არსებობს, ზოგი ერთს ამქრის ბაზარლის ქვეშ შეერთებულთა ხუთი ექვსი ხელობის ხალხი, მაგალითებრ, როგორც სტალრების ამქრობას ეკუთვნის მეჩოთკეები, ხარატნი, ჩუქურთმის მჭრელნი და რამდენიმე კიდევ სხვა

ასეთი ხელობანი, რომელთა რიცხვიც მცირე არ იქმნება დაწვრილებით რომ ვიანგარიშოთ, მაშინ ტფილისში დღიურ მუშათ და ხელოსანთ რიცხვი ქართველის ტომისაგან 30,000 კაცზედაც მეტი გამოვა, როგორც ეს ზემოთაცა ვსთქვით.

აქ დასახელებულთ ყველა ამქართა ხელოსნებს აქვსთ წეს-ჩვეულებათ მიღებული ქართული ლოცვა სასულიერო პირისაგან, ქართული ლოცვა ხელოსან ოსტატებისაგან, ლაპარაკი ქართული, ჭამა, სმა, საზოგადოთ თუ კერძოთ რამე წესების ვარდახდასაც ნამდვილი ქართული სული და ხორცი სცხია, ქართული საქონი ჰმოსია გარს, თუ მართლა ბ. პროფესორის სიტყვისამებრ ძველის დროდამ მოყოლებული თვით დღევანდლამდე ქართველებში ხელოსნობის და მუშა ხელოსნობის არაფერი არსებობდა, მაშ ეს დღევანდელი წესები ვილამ გამაარკვია ხელოსნებში, ვინ რა დააფუძნა მათში. ხელოსნებში არსებობს ბევრი ისეთი წეს-ჩვეულებანი, რის გარკვევას და დაფუძნებას არამც თუ 30—40 წელიწადი მოუწდება, არამედ 150—200 წელიც არ ეყოფა. ამიტომ ბ. პროფესორის შრომა ჩვენ ერთ მხროვნათ მიგვაჩნია, ჩვენ მასზე ვერ დავეთანხმებით, რომ ვითომც ქართველებმა ძველად არაფერი ხელობა არ იკოდენ, ვითომც ტფილისში ყოველთვის უცხო ტომის ძენი ხელოსნობდენ და იგინი აკმაყოფილებდენ მათელის ქართველის ტომის მოთხოვნილებას.

ვითომც საყოველთაოთ ქართველ მეფეების, მღვდელ-მთავრების, თავადის-შვილების, სამღვდელოების და მოქალაქეების სულის ჩამდგმელნი, შემომოსველნი, მფარველნი და პატრონნი სულ სპარს, ოსმალნი, ქალდე-

ველნი, ერმიანნი და ელინთ ხელოვნები ირიცხებოდნენ. დააკვირდით ამას, ბატონებო, ახსენით თვით თქვენის მართლ-მსაჯულებით, თუ მართლა ეს ასე იყო, თუ ქართველნი ზრადვერნი იყვნენ გარდა სოროების მთხრელების, მეხაშკების და მესიმინდების, მაშინ ნეტა რაღას შერებოდა, რას აკეთებდა ის იმოდოლა გლეხ-კაცობა, რომელთა რიცხვიც თვით არაბთა მფლობელობის დროსაც კი მარტოთ ქართველთ მამა-კაცების ოთხს მილიონზე მეტი იყო, ეს რიცხვი მარტოთ მოწიფულების გახლავსთ რადგანაც არაბთ განთავისუფლების წინეთ, ქართველთაგან საერთო ჯარის გაყვანა მოხდა, ჩვენი მათიანე გვაუწყებს:— „ათის თავზე თითო შექმნილი კაცი გამოვიდა და გამოხდა დავითისა სამეფოში კაცი ოთხსი ათასი“ ეს რომ გავამრავლოთ—გამოვა ოთხი მილიონი, მარტოთ სამხედრო გასასვლელთ ვაჟკაცთა, ამათ გარეშე არ ითვლებოდნენ მოხუცნი, ყმაწვილები და მდებრობით სქესი, ყველა ესენი რომ ერთად დავაკავშიროთ, მაშინ 10 მილიონზე მეტს რიცხვს მივიღებთ.

ნუ თუ შესაძლებელია, რომ ერი, ანუ ტომი, რომელიც 10 მილიონისაგან შესდგებოდა, რომელ ტომის მრავალ ნაირს განვლილ დროთა ხელოვნურათ ნაკეთ ნაშთებს განცვიფრებაში მოჰყავსთ ევროპის მსწავლულნიც კი, რომ ასეთ ერს კი თავის განვითარების მიდრეკილება არ ჰქონოდესთ, ეს არ შეიძლება, იგინი ბრბოთ ყოფილიყვნენ შემდგარნი, მათი ცხოვრების, მოქალაქობის და ყოველ ნაირი მოძრაობის სვე ბედი თათრებს, სომხებს, ქალდეველთ, სპარსთ, ბერძენთ და სხვებს ჰკავებოდათ ხელში. ეს მეტათ ეწინააღმდეგება საღს ტვინის მოძრაობას, საღს ლოლიკას. აქ სულ სხვა ანგარიშებია სახეში მისაღები და არა შეცნიერული მეთოდი, ისტორიაში და

ეტნოგრაფიაში შედარებითი კრიტიკული კილო და მის  
მეოხებით ნათელის ძიება. როგორც ზემოთაც ვსთქვი  
ამ ჯერათ ჩვენ აქ ამას ეიკმარებთ და ოდესმე ბ. პრო-  
ფესორის შრომის საპასუხოდ კი დაგბეჭდავთ იმ შრომას,  
რომელსაც კარგა ხანია ვამზადებთ; მაშინ თვით ფაქტე-  
ბი, თვით ჭეშმარიტი ცნობები გამოაჩენენ პროფესორის  
სიმართლეს და ერთისაგან მეორის დამცირების მიზეზებს.

ზ. კ.

# ახალციხე

(წარმოდგენილი „ვინმე მესხი“-საკან)

ძველად რქმევია ახალციხეს მარდა, მერმე ლომსია, შექდგომ სამცხე, ახლა ახალციხე. ალექსანდრე მაკედონელის დროს მარდელებათ იხსენებოდნენ, რომელთაც დაამარცხეს ხერათვისის ხეობაში ჯა ბუკეფალი (ცხენი) მოსტაცეს ალექსანდრე მაკედონელს. ბოლოს შეურიგდნენ და ასე გათავდა... მერმე ლომსია ჰსწოდებია მისთვის, რომ თავიანთ საგვარტომო ნიშნად ლომი ჰყოლიათ აჩემებული, როგორც მესხებს, ისე საზოგადოდ ქართველებს; იმ დროიდგან დარჩენილია დღესაც ქართველ მეფეთ არმაზედ ორი ლომი. <sup>1)</sup>

მას შემდეგ დარქმევია სამცხე (სამესხე), ან სამი ციხის გამო, რომელი ადგილობრივვე მდგარა (დღესაც სჩანს საფუძველი). ბოლო დროს ოსმალთ ციხეებისთვის რომ მოუქატიათ ახალი შენობები (1587), დარქმევია ახალციხე. ძველად მრავალი სახელოვანი თავად-აზნაურობა

<sup>1)</sup> „კაცები გმონებს და გიპატრონებს, ვეფხვთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი“. ჩაბრუხაძის, 23. ლომთათვის შამბნარი, ველი ახალციხის მახლობელი მთა უჩვენებია და კავკასიის მთიელთათვის კლდოვანი ვეფხთა.

სცხოვრობდა აქა, როგორც ჯაყელები, ხურსიძენი, გამრეკელები, ჯავახიშვილები, დიასამიძენი, ავალიშვილები, ამილახორნი, ზედგინიძენი, გოგრაშვილები, თავდგირიძენი, გვარამიძენი, ფანასკერტელნი, ერისთავები, შალიკაშვილები, ხიმშიაშვილები, ამატაკისშვილები, სუმბათიშვილები, კაეკასიძენი, ამატუნელნი, თუხარელები, ხერხეულიძენი და სხვა მრავალნი აზნაურები. განთქმულნი ყოფილან სწავლით, აღებ-მიცემობით, მეურნეობით და სამხედრო ძლიერებით, განთქმულნი წინ-მებრძოლობით, ციხე-ვეკლესიების კეთებით და მტრისაგან დამცველობით. დიღხანს ეწინააღმდეგენ ოსმალოებს, დიდი სიგმირე, მრავალი ომ-ბრძოლა გარდაიხადეს, მრავალი მსხვერპლი შესწირეს სამშობლოს, მაგრამ მარტოდ ვერ შეიძლეს თავის დაცვა, რადგან ქართლისა და იმერეთის მეფენი ბევრჯერ არა მარტო არ ეწეოდნენ შურით, არამედ უფრო მტრობდნენ: მაშინ მესხებს უნდა ებრძოლათ არა მარტო ოსმალთა და სპარსთა საწინააღმდეგოდ, არამედ ქართლისა და იმერეთის მეფეებთანაც. გურია, რომელიც სამესხეთოსთან შეერთებული იყო, ლევან აფხაზთ მეჭის ცბიერებით განცალკევდა მე-XI საუკუნეში და მას მერმე ისინიც დადიანივით მტრად იყვნენ ჩამომდგარნი და ოსმალოს შემოსევის დროს ხომ უფრო უარესად მძლავრობდნენ! მით ქართველებიც აოხრებდნენ ახალციხეს, იმერლებიც, გურულებიც და მეგრელებიც, ოსმალოები და სპარსელები კი ზედ-მეტად.

ერთ ტომზედ რომ მრავალი ტომი ხმაღს აიღებს, რაც უნდა ძლიერი იყოს, ნელ-ნელად მოუძღურდება და ბოლოს დამონავდება! დღეს სამესხეთოს ცოდვა ქართლი-იმერეთს ადევს კისერზედ; არ დაისწავლეს მათი თავ-განწირულება, მათი სიმხნე, სიძლიერე, მათი წინამძღოლო-



ბა, მათი შრომა და ღვაწლი, რომ მუდამ მტერს წინ უდგნენ და ხმაღს სცემდნენ.

ქართველის გასომხება პირველი შემთხვევა არ იყო? არა, ბატონო! დიდი ხნის მოღმა დათვლილი ჰქონდათ ჩვენი ბატონების კბილები, როცა ჩვენი ფაეოსკარელი დავით მეფე კურატპალატი გაძლიერდა სამესხეთოში, უწყეს სასომხეთოს მფლობელ-ამირებთან დავით მეფეს მტრობა. დავით მეფემ გაილაშქრა 996 წ. აპაუნის თემზედ და აიღო ბრძოლით მანასკერტის ქალაქი, განდევნა მაჰმადიანები თუ ქალაქითგან, თუ მის სოფელ-დაბებისგან და ქართველები დაასახლა სომხებთან ერთად: ასე მისცა ღონე-საშუალება სომხებს, რომ მომავალად მხნედ წინ დასდგომოდნენ ქართველების მწეობით თავიანთზედ მოზღვავებულ მტერთ.

მაშინ შეკრბენ სხვა და სხვა ამირებისაგან ასი-ათასამდის მაჰმადიანები და მოატყდნენ მანასკერტის ქალაქსა; იმწია დავით მეფემ ქართველთ მეფე გურგენისაგან 6000, ამდკნიც სომხის მეფეებისაგან გაგიკისა და აბასისა, ერთი იჯდა აწს და მეორე ყარსს; რომელთ თავიანთ თავის დაფარვაც არ შეეძლოთ; ზოგიც თავის მესხ-კლარჯებისგან და შეადგინა 20,000-მდე, ოცი ათასით ეწყო ასი ათას მტრის ლაშქარს ისე სიფიცხით, ხელოვნურად, რომ მაშინვე შესძრა-შეამტკველა ერთმანერთს იმდენი სიმრავლე, რომ ურთიერთს უწყეს ჟლეტა, ველარ მოიკიდეს ფეხი და ნოჰკურცხლეს. მიჰყვნენ ფეხ და ფეხ და ჟლიტეს შეუბრალებლად არქეშის ქალაქის კარამდის, სადაც შეცვიდნენ ენა-პირ ჩაცვივნულნი დამარცხებულნი მტერნი (რომელსაც სწერს მამა მიხეილ ჩამჩიანი). აი მას შემდეგ მრავლდებოდა სასომხეთოს უარიელა ადგილებისკენ ქართველობა.

ეს იყო მიზეზი, რომ ალაშქერტში, ყალზევანში, ყარსში და ანში ქართველი ეპისკოპოსები ვანწესდნენ დიდხანს, რომელნიც ექვევრდომებოდნენ კუმურდელისა, წურწყაბელისა, იშხნელისა, ანჩელისა, ტბევარეღისა, ბანეღლისა, დადემნელისა, წყაროსთაველისა და ერუშეთელისა ეპისკოპოსებთან ერთად აწყვრის-მაწყვრელ მიტროპოლიტსა და ყველა კი ერთად მცხეთის კათალიკოსსა. მისი შემდეგ მეფეებს ხომ მფარველობა გაუწევიათ სასომხეთოს მხარეებისათვის თამარ დედოფლამდის, რომლის დროსაც უფრო გავრცელდა მისი მფლობელობა სასომხეთოსკენ; თამარის შემდგომ დაგვეხსნენ თავს მონგოლები ზედი-ზედ მოყოლებით დიდხანს, იქამდის, რომ ძალდი პატრონს ველარ ცნობილობდა და, რა ექვია, სასომხეთოში მომწყვდეულ ქართველობასაც ისეთი უბედურება დაადგებოდა!

როგორც ოსმალების გამლიერებისას, ჩვენმა სასულიერო წოდებამ ველარ მოიკიდა ფეხი სამეცხეთოში და ისულ ქართლიშივერეთში შეცვიდნენ, ხომ იმ 4 საეპისკოპოსო სასომხეთოს მხარეებსაც ისეთი დღე დაადგებოდათ? ეს, რა თქმა უნდა, ადვილი დასამტკიცებელია. 1300 წ. დაწყობილი რა ნახა მე-XXII იოანე პაპმან სასომხეთო და საქართველო გადარჯულების განსაცდელში, ერთი ეპისკოპოსი მისიონერებით გაგზავნა ბართლომე ეპისკოპოსი ატარპატაკანს, და მეორე იოანე ეპისკოპოსი თბილისს, მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს. სასომხეთოში ისე დიდი გავლენა იქონიეს რომის კათოლიკე მისიონერებმან, რომ ცოტა ხანში მთელი მათი რაიო (ტიბიკონი) სთარგმნა სომხურად ოჰანნეს ქორნელმა, ვარდაპეტმან და შესდგა უნიტორების წრე, ნახევრითგან დაწყობილი სილნალამდის და მთელ სომხეთამდის გავრცელდა, ასრევე ყირიმშიცა, რასაც დღესაც ვხედავთ!

მაშინ ჩვენი გასომხებული ქართველობაც არ დაჩენილა უმოწილოდ. რომში ყოფილი ქართველი ათანას ვარაგის მონასტრის ეპისკოპოსი, პეტრე ეპისკოპოსი ნაზარეთისა და პატრიარქი იერუსალიმისა და ამის შემდეგ ეხვეია ეპისკოპოსი ფლორენციაში უნიტორისტები, ამით უჩივლიათ სომხებზედ: ევთქის მწვალებისა არიან და მრავალნი უნათლავნიო. 1338—1340 წ. მე-XII ბენედიქტე პაპის დროს. ახლა ამით ცხადად სჩანს, რომ დღეს სომხობაში მე-V ნაწილი ქართველობა უნდა იყოს შერთული (ამისთვის ბევრი გვარები ქართველების გვარების მსგავსია, როგორც ვარძელოებზ, საფარიანები, თუშანოვები, გოზალოვები და სხვანი). ასე გასინჯეთ, ვარაგის მონასტერიც კი სჭერიათ მაშინ ქართველთ სასულიეროთა და ასე მრავალი სხვა ადგილებიც, რომელიც ჩვენ დღეს არც კი ვიცით.

ასრე რომ გამრავლდნენ სომხობაში რომის კათოლიკენი და მათი სასულიერონი წმ. დომინიკის რიგზედა, ევლარ მოითმინა სომხების სამღვდელელოებამ, რომლებში უაეკაცესნი აღმოჩნდნენ ოპანეს ვოროტნელი და გრიგოლ ტათეველი; ასტეხეს ამათ დეენულება და ბევრგან ისევე მიიბირეს უმტკიცო სომხები (მაშინ გამოსცეს ის შემცდარი წიგნები, რომელნიც ჩვენთან ანტონ I კათალიკოსმან თავის მზა-სიტყვაობით გააცრუება და დასაჯა). მაგრამ მაინც 1680 წლამდე კიდევ იყვნენ და მოღვაწეობდნენ სასომხეთოში \*).

ახალციხეს უფრო ადრე იყო რომის კათოლიკობა დაწყებული. 1298 წ. ეკკლესია გაიჩინეს, როგორც ბ. მარი ბროსე-სწერს თავის ქართლის ისტორიაში, ახალ-

\*) 1872 წ. გამოცემული ვენის ეკკლესიის ისტორია.

ციხესთან ერთად საესე იყო გარშემო სოფლებზე კათო-  
ლიკებიცა და აგრეთვე დაბები, როგორც ოცხე, ზოლას-  
ყური, უდ, არალი, ვალე, წყრუთ, სხილისი, საძელი,  
აბი, ხაკი, ხიზაბავარა, ხერთვისი, დაღეში, შადაც, დღესაც  
სიანს ნაქცევი კათოლიკების ეკკლესიისა; გოკია, ახალ-  
ქალაქი, ზულგუში, თორი, ბარალეთი და სხვა ცხელი  
ამავე რიგადვე დასაფლავების მხარეს მესხეთისა უფრო  
ადრე უნდა ყოფილიყოს დაწყობილი რომის კათოლიკო-  
ბა, როგორც ვარავისაკენ. კიდევაცა ესთქვით, სომხის  
სამღვდელთობას აქაც გაჰმარჯვებია საქმე კათოლიკობის  
მიზეზით. რა მოჰკლებიან თავიანთ ენის მღვდლებზე შე-  
სულთან მათ ეკკლესიებში, გაუხსნათ სასწავლებლები, უს-  
წავლობათ სომხური წერა-კითხვა, ენა ახალგაზდებისთ-  
ვის, მამა-პაპა ამოსწყვეტათ, ნელ-ნელა ქართული გადუ-  
ვიწყებით და დარჩენიან ხელში ქართულ-სომხური ტი-  
მანხინჯებულთ ენა, როგორც არის არტანუჯელებისა,  
შავშეთელებისა, სათლელებისა, ართვინელებისა და მის-  
გარემო სოფლებისა და ქალაქებისა არტანისა, ვარასისა  
და სხვ. იმდროინდელ სომხთა მღვდელთა იმდროინდელ  
ჩვენს ახალციხეში და მის გარემო სოფლებში ეს ასე  
ვერ უნდავარდიანთ, ვერ უფმოუტანიანთ სომხის კათოლიკე-  
ბის მღვდლებს. სომხური ენა, რადგან აღდგომობრივი  
მღვდლები არ მოჰკლებიან და იმარტოდნ და რჩენილა  
მათ ხელში ჩვენი ერი, მაგრამ მაინც ცილობა და კან-  
თობა არაოდეს არ დაუკლიათ ჩვენთვის. 1625 წელს  
ჩვენი ათაბაგი გამაჰმადიანდა და დარქვა საფარფაშა,  
მოიხმარა დიდნი მძლავრობა მესხების ერთიან ვადასარჯუ-  
ლებლად, აღარავინ მოასვენა, არც კეთილ-შობილები,  
არც მოქალაქე და არც არა გლეხი. მისი ურჩნი სტო-  
ვებდნენ სახლ-კარს, მამულს, საცხოვრებელს და მირბო-

დნენ იმერეთში, გურიაში, ქართლში და კახეთში მღვდლებთან და ბერებთან ერთად. ამ დროს სომხის კათოლიკოსი თავდებად დაუდგა სომხობას, სადაც ვაჭრები იყვნენ. შესწებს არავინ ჰყავდათ მოთავე, რის გამო სტანჯავდნენ გასამაჰმადიანებლად, რომ გაქცევის ფიქრი არა ჰქონოდა მათი საფარ-ფაშას.

მოქალაქე და კეთილ-შობილ კათოლიკე შესწებს ჩამოაცალეს ერთიან სახლ-კარს, დუქან-ბაზარი, ეკლესიები და ქალაქ გარეთ გაყარეს; მათი ეკლესიები სომხებს მისცეს\*), წაეიდნენ ზოგი თავიანთ სოფლებში, ზოგი თავიანთ მამულებში და ზოგიც მოყვარე-მეგობრებში: ასე მოიუხანტნენ აბს, ხაკს, საძელს, არყი-ციხეს, ვალეს, უდეს, არალს, გოდერძს, ადიგენს, ბოლაჟურს, ოცხეს, აბასთუმანს, წურუთს, სვირს, ტატანის, კლდეს, წნის და ასეთს მახლობელ სოფლებში (დღესაც, როცა კონჯაებს ეკითხულობთ ხოლმე, უნდაც რაც შეუწირავს ეკლესიისთვის, იხსენიებიან სხელისელი, კვანჯღელი, წყრუთელი, ტატანისელი, კლდიელი და მისთაა პირნი შემწირველად).

კეთილ-შობილებში შესანიშნავნი პირნი ყოფილან ესთერაშვილი სიმღიდრით (ეთერათი), ბეშქენათი (ბეშქენჯაყელის ჩამომავალი), კრუხი ჭამიათი, რომ ისარალას უძნდნენ (ვითამ ციხისა და სოფლის ბატონს), ელიზბარაშვილი, ღირალათი, ასათიანი, ყარაგოზაშვილი, ნებიერიძე, წალდაძე, შიქელაძე, მოცოთი (მამაცაშვილი), გოგინაშვილი, გძელაშვილი და სხვ. მაშინ ივლიტა გალმენებიათ დაზად, თუმცა ახალციხის გარეთ უბნად ითვლებოდა წინადაც. 600 დუქანი ჩაუდგამთ ქალაქსლებით

\*) სომხები რომ ოსმალს წინამძღვარნი იყვნენ, არ ამაჰმადიანებდნენ.

და მალაზიებითა, იქამდის მთელი ვაქრობა ხელში გაუტარებიათ, რომ საფარ-ფაშის შვილს სულეიმან ფაშას 15 წლის შემდგომ ისევ ახალციხეს მიუღია მოქალაქენი და თავიანთ სახლ-კარი და ღუქან-ბაზარი უკანვე მიუცია, მაშინ გამოუყრია სომხები ეკკლესიებიდგან და თვითონვე შეუსაკუთრებიათ თავიანთი ეკკლესიები.

ამ დროს სომხის კათალიკოსები ლათინის მისიონერების ჩაგონებით მეტად დაახლოვებული ყოფილან რომის პაპებთან, 1631 წ. მოსე კათალიკოსმან ურბან-პაპს მორჩილობის წერილი მისწერა, სადაც სომხის 12 ეპისკოპოსს ხელი ეწერა.

მისიონერ პატრების მეთაურნი იყენენ კლემე გალანოთეატინი და პავლე ფიროლმანი<sup>1)</sup>. ამათ რომ ნახეს კათოლიკე შესხებისგან საცდელი ოსმალოებისაგან, ურჩიეს ჩვენს კათალიკობის მღვდელთ თუ ერსა, სომხის კათალიკოსების მფარველობის ქვეშ შესულიყვნენ, რომ უშიშრად დარჩენილიყვნენ გადარჯულებებისაგან: ერთი რომ თავდებო იქმნებოდა მათ დასაცველად სომხის მოსე კათალიკოსი და მეორედ როგორც საიმედო პირი კათოლიკობაზედ მიმართული, უზრუნველად დარჩებოდნენ სარწმუნოების მხრით, ყოველი საცთუროვანი გარემოებითგან! ამნაირი გონიერა ოჩევა მიიღეს ახალციხელმა კათოლიკეებმან და კიდევაც შევიდნენ მოსე სომხის კათალიკოსის მფარველობის ქვეშ სომხებსაგით. მართლა მოსეს შემდგომ ფილიპე სომხის კათალიკოსმან არა თუ მარტო მორჩილების წერილი, ისივე აღიარებისაც მიართვა მე-X ინოკენტ პაპსა, რაზედაც 26 სომხის ეპისკოპოსს და 6 არხიმანდრიტს ეწერათ ხელი. ესვე პირობა გააახლა ნა-

<sup>1)</sup> მ. მიხ. ჩამჩიანის, ტომი 3, 611—621 გვ.

პაპეტ სომხის კათალიკოსმან, წერილით მიჰმართა **XVI** ინოკენტიანე პაპსა 1695 წელსა. ისე 1700-მდის მოსვენებით ყოფილან ჩვენი წინაპარნი ქართველ კათოლიკობაში, მერმე კი თაჟიანთ ჩვეულებრივ ფანატიკობით დაუწყვიან საკიცხავი დევნულება რომის კათოლიკებზე და ჩვენზედაც. ვიდრე 1781 წლამდის რაც სომხის კათოლიკოსები მჯდარან სულ უდევნივართ <sup>2)</sup>.

რადგან ჩვენი და სომეხ-კათოლიკების ტიბიკონი (რითო) რომის კათოლიკეთა ყოფილა, სომხები სომხურად გალობდნენ ერთსა და იმავე ეკლესიაში და ჩვენ ქართულად; არავითარი დაბრკოლება არ ზდებოდა, მაგრამ ზოგჯერ გრიგორიანი სომხების შეგიზგიზებით, არეულობა და უქაყოფილება არ აკლდა. 1755 წელს მოუცემანებიათ სომხის კათოლიკებისთვის საჩივარი თბილისის და ახალციხის პატრებზედ კონსტანტინეპოლის პაპის ვიქართან, რომ ქართულად კითხულობტენ სამოციქულოსა და სახარებას. წირვაზედა და დიპკენებიც ქართულად გალობენო; ამავე ნაირად ახალციხის სომხის კათოლიკებიო თუ ახალციხეში და თუ მის გარე დაბებ-სოფლებშიო კონსტანტინეპოლის ვიქარსაც წარუდგენია ის საჩივარი წმ. კრებაში ფროფაქანდისა, ეს ასეთი საჩივარი გამოუძევია რიგიანად წმ. ოფიჩიოს კრებაში, რომელიც მომხდარა კვირინალში 1757 წლისჟ 27 იანვრისა და 10 თებერვლისა. იმ წმ. კრებითგან მოგვეცემია ნება როგორც თფილისის და ახალციხის რომის კათოლიკეთ, ისე სომხის კათოლიკეთა ახალციხისა და სოფლებისასაც, რომ სამოციქულო სახარება და გალობა-ლოცვები გვეკონოდა ძველი ჩვეულებებისაშებრ ქართულად. ასეთს დასაბუთებულ

<sup>2)</sup> ნახე ვენნის ეკლესიის ცხოვრები, 400 გვ. ისვე. 1872

მტკიცე გარდაწყვეტილებაზედ მაინც არ დამშვიდებით გული სომხის კათოლიკების გარედგან მოსულ მღვდლებს და 1784 წელსა კიდევ გაუმეორებიათ საჩივარი რომში; მაგრამ რომის ფროფაქანდა ეიდეს, ისევ ის 1857 წლის კრების გარდაწყვეტილება უჩვენებია და დაუყვია პირი.

ამავ ხანებში უნდა იყოს ს. ველელი ქართველ კათოლიკეთ საჩივარი მიცემული პატრის უმფროსთან: აი ბატონო სიტყვა-სიტყვა შეუცვლელად: „ბატონს პატრი უმფროსს და უმბავრესს მამას, საღთო სიბრძნით სავსესა და საღთო მოქალაქობით აღზდილსა! (ორ-ორი წერტილი აქვს ყველა ლექსს). ქ. ცოდვილნი ერნი ველის ზოგად კათოლიკები ქართველთ გვარისანი, უმწყემსოდ დაცუნულნი ცხოვარნი. პირველად ღთისაგან რჩეულსა და მერმე წმიდა კრებისაგან აღმორჩეულსა აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიის შვილებზე ზედამხედველად დადგინებულსა. ჩვენ ცოდვილნი დაასაღირსად წოდებულნი კათოლიკე სარწმუნოებისა, ქედ დადრეკით დავრდომით ხელპყრობილნი საღთოსა მას ფერხთა ამბორებას მიუძღვნით. ახლა აჰას ვებეწებით დავეუნჯებით, რომ ჩვენი რიგის მღვდრი ღმერთს გამოუგზავნია ჩვენთს, და ეგ ჩვენი კათოლიკე მამები აყენებენ; ახლა ამ წყალობას ვითხოვთ თქვენის მოწყალე გულისაგან, რომ თქვენის ბრძანებით წყალობა უყოთ მაგ ჩვენ მღვდელსა; რომ ჩვენს საბრალო სულებს მოუაროს ჩვენს ქართველთ რიგზედა, არა თუ იმ შეჩვენებულ ფოციოს რიგზედა, მაგრამ იმ წმიდა შამის იოვანეს ოქროსპირის რიგზედა, ახლა თუ იკითხოთ ჩვენი ნამყაენობა, ღითინთ ნამყაენი და ნაყოფნი დამოწაფებულნი და მონადირებულნი ვართ, არა თუ სომეხთ გვარისაგან, და ესეც უწყოდეთ, ბატონო! თუ რომ მაგ მღვდლის წყალობას გვზამთ, დიად ბევრი სულებს შეგვიძინამს ღმერთი.



ქ. ამის წიგნის მოწმობა. ქ. პირველად ტერ სიმონ-  
ქ. მისი ძმის წული ეფრემა. ქ. ალექსანდი. ქ. ელიზბარო.  
ქ. ყარაგოზი. ქ. დავითი. ქ. ამოსტლი. ქ. მესროფი.  
ქ. ასლანი. ქ. ყორელი. ქ. სუნბული. ქ. პეტრე. ქ.  
ისაი. ქ. პავლე. ქ. ოქრუაი. ქ. შოი. ქ. ელიკი. ქ. ცა-  
ცი. ქ. .... ქ. თათა.

ღვთით ახალციხეს ჰატრი უფროს მიერთვას.

ამ ველელი კათოლიკებითგან რ სოფელია გაშენე-  
ბული: ბავრა, ხულოგუმი, კარტიკამი, ტურცხი, თითოს-  
ხარაბა და ური თათრული და სომხური იციან სხვა  
აღარაფერი: დღეს ესენიც გასომხებულად დაიფლვიანო-  
რომ სომხის კათოლიკე მეტად უმეცარს და უვიცეს  
მღვდლების ხელის შემხედვარნი არიან. აი დიდი მადლის  
საქმე იქმნება, რომ წერაკითხვის გამავრცელებელი სა-  
ზოგადოება ამათქმასწავლებლებს გაუხსნიდეს, მაგრამ სად  
არის? დღემდის საწყობებს რა წვალება-ტანჯვით გვარ-  
ტომობა შეუწინაღობ და ახლა კი ჰატრონი კი არა ჰყავთ,  
რომ დაბპული ენა აუხსნან და ადამიანებში გარიონ.

ჩვენი ვინაობა თვით ოსმალთაც კარგად იცოდნენ,  
სადაც კათოლიკეები იყვნენ, როგორც ახალციხეს, ვალეს,  
არალს, ხიზაბავარას: იქ მართლ-მადიდებელნი იფარვოდნენ  
ჩვენგან, ერთი-მეორისაგან განაყოფობით! ოსმალთს დროს,  
სხვაგან არც ერთ ადგილს არ გაბოვინდა მართლ-მადი-  
დებლობა, ყველა გააძაპმადიანეს, 1825 წელს ბერძნებმა  
რომ დაჰმარცხეს ოსმალთები მორაში, მაშინ ახალციხის  
მართლ-მადიდებელთა ხალხები სულ აწერეს, უნდა ერთიან  
ცოლშვილით ამღვწყვიტათ, მაშინ ჩვენი კათოლიკენი  
შევიდნენ ფაშასთან, კარგის გამოძიებით დაუმტკიცეს ისევ  
მაჰმადიანი მესხების ფიცით ჯერით, რომ სულ ჩვენი  
განაყოფობა იყვნენ და არა სხვა; მის გამო გაანთავის-

უფლებინეს. 50 ქესა ფულიც გარდაიხადეს კათოლიკე-  
მან მათი განთავისუფლებისათვის. 1828 წელს სომხის  
პატრიარქმან დააბეზლა კათოლიკები, რომ ევროპის ხელ-  
მწიფებთან მიწერ-მოწერა აქვსთ გლალატობენ, მე შარტო  
ჩემი სომხების თავმდები ვარ. იმათში არ გავერევი, თუ  
ნებას არ მომცემ იმათზე მფლობელობისა, რომ ჩემგან  
გასულნი არიანო. ამის გამო ხვანთქარმან მისცა ნება.

აი ამაზედ ასტყდა დევნულება და ჩვენის მხრის შამა  
კათოლიკე მღვდლები დაატყვევეს ციხეში ახალციხეს.  
აღდგომა დღეს მართლმადიდებელ წმ. მარინეს ეკკლესი-  
ის მღვდელი მათე სულხანიშვილი რა ეკკლესიაში ასრუ-  
ლებდა ლოცვებს, უბრძანა მეფე ერეკლის შვილმან ალექ-  
სანდრემ, ეკკლესიას მოუარყ მღვდელივო. უპასუხა თურმე:  
ბატონო! ჩემი ძმები კათოლიკის მღვდლები ტყვედ არიან  
სარწმუნოებისთვის, გულს სისხლი ჩამდის მათის ნაღვლით,  
რაღა პირით გავიდე და ეკკლესიას გარს შემოუაროთო!  
ამ დროს დაესწრე და ამ სიტყვის გამგონი დღესაც ცო-  
ცხალია, პატრიარქმულე 84 წლის მოხუცი ფილო ხმალაძე.  
რამდენი ამისფხვა საბუთია, რომელი ერთი ვსთქვა?

აი რა გვაროვნობის კათოლიკენი არიან დღეს ახალ-  
ციხის ძირთად მცხოვრებლებში: ივანე ხუციაშვილი,  
ამათი განაყოფნი არიან: ყაიხბეგოვები, ისკანდაროვები  
და მარეშვილი. აბულობი, აბულაძეების მოდგმისა, ბეჟა-  
ნოვები, ბეჟანისშვილის მოდგმისა. ყარაგოზაშვილები,  
ყარაგოზაშვილების განაყოფი. ელიოზაშვილი, ელიოზა-  
შვილებისა. ნებიეროვები, ნებიერიძეთ მოდგმისა. ჯაშიკა-  
შვილი, ჯაშიკაშვილის განაყოფი: გოზალოვები, კოჭი-  
ბროლაშვილის მოდგმისა, თუმანოვები თუმანოებისაგან,  
ფირალოვები, ფირალაშვილების მოდგმისა. გოგინოვები,

გოგნიაშვილის გვარისა. მიქელაშვილი, მიქელაძე თავადები-  
დგან. ახალციხის ფაშობის დროს მოვიდნენ მისი სახლის კა-  
ცი. მიიხმეს, მიღლი შენი კერძი ყმა-მამული ჩაიბარეო. და  
უპასუხა: არ მინდა, თქვენი იყოს, მე კათოლიკობა 1000  
ყმა-მამულს მიჩუგენიაო! გძელოვები, გძელიძეებიდან.  
ბალოშვილი, ბალოშვილის განაყოფია. ფადარაშვილი,  
ფადრელაშვილის მოდგმისაა, ჯომარდიძე, ჯომარდიძეები-  
საგან. აგულაშვილები, იეგულაშვილების განაყოფნი არიან.  
სააკოვები, სააკაძებისაგან. გურგენ-ბეგები, გურგენის  
ძეებისაგან. თამაროები, თამარასშვილისაგან. ზურაბოები,  
ზურაბასშვილებისაგან. ტინტიკაშვილი, ტინტიკაშვილი-  
საგან. ასე ამ ნაირად ვალეს, უდეს, ზიზაბავარას და ვე-  
ლელების სოფლებშიც მოიძვეიან ხუთით ათობით ქარ-  
თველ კეთილშობილთ მოგვარე მონათესავენი, როგორც  
სეფე შვილები, ყრუაშვილები, ხუციშვილები, თარხა-  
ნოები, ხაჩაშვილები, ელიზბარაშვილები, თედოშვილები,  
კობაძეები და სხვ.

რაც შეეხება კათოლიკე და მართ-მადიდებლთ განა-  
ყოფობასა შიღვე ახალციხეშიც მოიძვეიან, როგორც  
ყარსელთაგან, მამულოები, განაყოფები არიან ხმალაძეე-  
ბისა. ადრე ისინიც მამულიშვილებად იწოდებოდნენ:  
საბავედ განაყოფია ახალციხელ ღარბელიანებისა ახლო.  
გოგინოვი მართლ-მადიდებელიც არის და კათოლიკეც.  
ათაბეკოვებიც ხომ ჯაყელოების განაყოფნი არიან. ასე  
სხვებიც სხვებისა. მაგრამ სომეხთ კათოლიკეებს სომეხთათ  
ვგონივართ და შით ყოველ ღონესაშვალს ხმარობენ,  
რომ ჩვენთ სასწავლებლები ხელში ჩაიგდონ და სომხური  
ენა ასწავლონ ძალად ჩვენს ახალ თავობასა და ართვი-  
ნისა და არტანუჯ-შავშეთის მცხოვრებ კათოლიკეებიით  
გავგესომხონ.

თუ 1700 რიცხვში ყოფილ ქართველ კათოლიკეთს  
გვარების სხეელწოდებას მოუყვებთ რასაც ვკითხულობთ  
ნათლის-ღების და შესაწირავების მატრიანებში სრულიად  
გარჩეულია ახლანდელხედ ბევრით უფრო. რომელთ დი-  
დი ნაწილი ზნ გარდასულან, ან სხვაგან გარდასახლებულ-  
ლან და ცოტანი თუ არიან, როგორც დივნიანთი, სარ-  
დალათი, ძამიათი, მელიქიანთი, შაჰყულიანთი, ამრეზიან-  
თი, ყანდინათი, ლაქიანთი, ჰაბილათი, ხიზანთი, გუასხა-  
თი, კრუხატი, ნანუათი, ბერომელათი, ბეროთი, ნარი-  
ბეგათი, კრუხიჭამიათი, მარჯლათი, ნავროზათი, ტივზა-  
თი, მაღხაზათი, ლოკარათი, ტიკიკიკათი, ფარუათი, ქა-  
თამათი, კბილათი, დოლორელათი, ატოკლიანთი, ქცე-  
ვათი, სოლომონათი, ბაბუნათი, ჩიტათი, კენჭიანთი, ხი-  
ზინათი, რუათი, თაყინათი, ბაბელათი, ტეტიათი, ნარუ-  
ათი, მალაქათი, ქოქუათი, დედებოთი, კანდელაკიანთი,  
გლახათი, გლორძოთი, ჯაჯიათი, ბეჟუათი, გოდერძათი,  
გულიანთი, თუმბულათი, ფისირათი, მურვანათი, ჯარა-  
ჯათი, ქვაკენეტიათი, ტიტინათი, ხოხოთი, ძანგელათი,  
კორთომათი, ნადირათი, კოვოტათი, სრამბიონათი, კიკი-  
ნათი, ვიტოლათი, კოწოთი, ხოშათი, წიპოთი, ფათახათი,  
ოქრუათი, ღანქოთი, ავთანდილათი, გარსევანათი, ქრე-  
ლოთი, ლთისილათი, კოქათი, ბაქათი, ქუქულათი, ნამლი-  
ათი, კუქოთი, მელარძანთი (ხასაზოგები), ბისტიათი, ტლუ-  
ქათი, ორთაგათი, წვენიათი, აბაზაქ, მელეშიანთი, ჩიხ-  
ტოთი, ჩაიჯლათი, პურადათი, კაკონათი, ბეყერათი,  
ყრუათი, ბანგიანთი, ყაყათი, მოცოთი, დარაბიანთი, კენ-  
ჭიხაშიათი, ნახვრეტათი, პოსოველათი, ლვინათი, ტერა-  
თი, ქცევათი, ყარყარათი, კოპინათი, შერგილათი, გელი-  
ქამიათი, მესრიანთი, ვეცოთი, რომანგათი, მწარეპანტათი,  
ფარემუხათი, მახარობლიანთი, ფასოთი, ფუშრუკათი,

ოტიათი, რამახათი, ქვიმბურათი და სხვა ამისთანა ქართველები.

ქალების კახელები: რუსუდანა, ასთანდარა, მზისანდარა, მზექალა, გულსუნდა, გულქანა, იაგუნდა, ლალემა, თინათინა, ლელა, თუთუშა, მანიყავა, თურვანდა, დუნა, დარეჯანა, ხორიშანა, თინა, აფელა, ქეთევანა, ნათელა, ხორამზე, ანქალა, თუთა, ლალიხანა, გელასარა, ნაგულა, მეყუა, დედაქალა, თამარა, ვარდო, მანია, მარინე, ძუძუნა, კაკალო, გუნდო, ზენო, ფოთალა და სხვა ამისთანანი. კაცების სახელები: როსტომა, ზურაბა, საბა, დოლა, ბეჟანა, გურგენ, ბეჟო, ქაიხოსრო, ბერუკა, ამირანა, დარჩია, ლთისია, ილია, ნანო, ფარსადან, ქრისტესია, ავთანდილ, მალხაზ, ბატონა, ოზა, ქარო, გოდერძა, რევაზა, მაჯა, გლაზა, აღდგომელა, მანუჩარა, ოტია, ბაქარი, ვარძიგულა, გიგიტა, თამაჯა, მამულა, კაკო, შაქარა, ბატო, პაატა, ნონო, ერეკლე, ოქლო, ოთარ და სხვა ამისთანები.

ახლა უნდა სთქვათ თუ ასე ქართველობა ყოფილა რატომ ყველას ლათინის ტიბიკონი (რიტო) არ მიუღია და დღე ნაწილსა. სომხის ტიბიკონი რათ უსურვიჲ, რა არის მიზეზი? რა ექვია, ყოველიფერს თავის შესაფერხ გარემოება აქვს და აქ უფრო შესაშვენია, რადგან ლათინის ტიბიკონის კათოლიკობაც რომ გამრავლებულ იყო გარდასვლა ლათინის რიგიდგან ქართველ კათოლიკეთ რიგზედა, ასე იყო კანონი. (მხოლოდ ახლა თავისუფლება მისცა ახლანდელმა XIII ლეონ პაპმან), რადგან სომხის ტიბიკონი კათოლიკებისა ისევ ბერძნის ტიბიკონის შტო არის და აღესასწაულები დიდი ნაწილი უფრო ერთნაირი, კათოლიკობა რომ მომხდარიყო საქართველოში, ისევ აღვილად შევიდოდნენ თავიანთ წინა-

პრეზის ტიბიკონში, ამისთვის ირჩიეს სომხის ტიბიკონი, რომ იმ დროს სომხის ტიბიკონი შემოუღლიათ კათოლიკეებსაც სომხებზე მისაერთებლად უფრო სიადვილით.

### მ ო თ ხ რ ო ბ ა

ზოგჯერ გლისპობაც გამოადგება, კაცს საქმეს გაუჩივებს. ერთ დროს ერთ კაცს მოვალე ჰყავდა. ვერა ღონისძიებით ვერ აიღო მისგან მიცემული, მისესხებული ფული, სადაც მივიდ-მოვიდა სასამართლოებში, ყველგან ჩაკეტილი დახვდა მაგრად კარები, მისი მოვალის სიმდიდრის წყალობით, რამდენმეჯერ ხელმწიფესაც მიაართვა მასზედ საჩივარი, მაგრამ არ იქნა, არა გაეწყო-რა, ის მისი საჩივრები ხელმწიფისგან გარდაცემული სხვა და სხვა სასამართლოებში, არ გავიდა, ყველგან მისი მოვალის მხარი დაიჭირეს და საჩივრები უკან უბრუნეს პატრონსავე. იმ ქალაქში ერთი დიდი ზარა იყო ჩამოხმული, როცა ხელმწიფე მოკვდებოდა ან მისი ცოლ-შვილთაგანი, მაშინ ჩამოჰკრემდნენ, რის გამოც მთელი უფლისწულობა, სასახლის კარის კაცნი და სამსახურის კაცნი მაშინვე სასახლის ეზოში შეიკრიბებოდნენ. მეტის მოთმინებითგან გამოსული ეს კაცი ავიდა იმ სამრეკლოზედ და უწყო იმ ზარსა ძლიერი რეკვა.

რა გაიგო ზარის ხმა ხელმწიფემ, წამოვარდა თავ-ზარ დაცემული შმაგ-შმუგოვანად მიმართა თავის შორბედ პირის-ფარეშებსა, ეკითხებოდა თრთოლით—ვინ მომიკვდა და სახლში, დედოფალი თუ უფლისწულიაო. ასე დიდი შემტკველობა შეუდგა სასახლეში დედოფალს და უფლისწულებს. ეგონათ, ხელმწიფეს რამე დიდი უბედურება დაემართათ. სიკვდილზედ მეტი უბედურება რაღა იქ-

ნება! მსახურებსაც დიდი ანაღეწა შეუდგათ. ნახეს, რომ სასახლეში ყველანი მშვიდობით, უვნებლათ იყვნენ. მერმე შეიტყვეს, რომ ვილაც უმნიშვნელო კაცს ურეკია ის ზარა. ჭკუა შემლილი თუ არისო. მაშანვე იასაულებმა სტაცეს ხელი და წაიყვანეს. სთხოვა ხელმწიფესთან მიმიყვანეთ, რომ ძლიერ გამოსადეგი სიტყვა მაქვს მოსახსენებელიო. რა წარადგინეს, ხელმწიფემ ჰკითხა: ყმაწვილო, ეინ მოკვდა უფლისწულთაგანი, ან რა ნახე, რომ ეგ ზარა ჩამოჰკარ და ყველანი დაგვხელე-დაგვაშეთიანეო. ეგება ჭკუა შემლილობით მოგიხდა, მითხარ სწორეო! — უპასუხა: ბატონო, სინიღისი მომკვდარა და სიმართლე ამდგარა, ამაზედ მეტი უბედურება რალა იქნება ქვეყნის თავს? უსამართლობა მთელ თქვენს სახელმწიფოს აქცევს, აოხრებს და იმათთან მეცა: ამდენი წელიწადებია თქვენს სასამართლოებში მისვლა-მოსვლით გული გამიჯერდა, გავაფუჭე მთელი ჩემი საცხოვრებელი და მასთან ჩემი სიცოცხლეცა. არ იქნა, ვერას ღონით, ვერაფრის მანქანით ვერ ავიღე ჩემის მოვალისგან ჩემი მინასესხი ფული, იქამდის გამიჭირდა საქმე, რომ თქვენც მოგმართეთ, ჩემის საჩივრებით, მაგრამ მაინც არაფერი არ მეშველა. ახლა ამას გთხოვ მუხლ-მოყრილი, რაკი სინიღისი მომკვდარა და სიმართლეს აღარ არის, მეც მომკალით, რომ გადავრჩე ასეთს ღაჭირვებულს სიცოცხლესაო. გაუკვირდა მეფეს ამ კაცის თავ-განწირულობა. მოიწვია ის მისი მოვალე, აურთვა თავის ხელით ის მისი ფულები და კმაყოფილი წავიდა თავის სახლში.







თავიანთ მეფედ აგორო სახელით, სწავლული კაცის ერთი.<sup>1)</sup> რათა ღვთის მსახურებასთან ერთად შესაფერად სამოქალაქო რიგიან მმართველობაც ჰქონოდათ და ისეც იქმნა.

ამ აგორო მეფემ შეიგნო, შეისწავლა ვარსკვლავთ მრიცხველობით ციური 12 ბურჯნი და შემცდარ ვარსკვლავთ წყება. მიჰყვა თავის ჰევა-ცნობის მსჯელობით შედარებითს ჰევა-გასაჰრელს აზრებსა და მიაწერა ცის მნათობთ, ტყუილ-მართალი, მრავალნაირი ზედმოქმედება და გავლენა ადამიანების ცხოვრებაზედა, რომელიც შემდგომთ ერთი ათად გააზვიადეს და დაუმატეს მრავალი ცრუმორწმუნეობანი, საიდანაც წარმოსდგა კაცის წერა, სვე-ბედი, იღბალი, და მისთანა მიკერ-მოკერებული ლექსები, როგორნიც არიან სიზმრის რწმუნება, გრძნეულება, მისნობა, თვალთ-მაქცობა, მკითხაობა, მარჩიელობა, ბექთ-მხედველობა, ფრჩხილთ-მხედველობა, მუცლით-მოუბრობა, მერამლობა, მემარცვლობა, წყალში-მხედველობა, მხიბლაობა, შელოცვა, წილის-მყრელობა, ქალაღდების შლა, ჩაძახვა-ჩაგონება და მისთანანი. აი ამისთანა რწმენას ეწოდა ქალღეობა (ვარსკვლავთ-მისნობა)<sup>2)</sup>

ღვთის მსახურება ადამისგანვე დაწყობილია და ჩაგონებულთ თავის შვილებისათვის უპირველეს საქმედ; მაგრამ ეშმაკმან იქაც შეიტანა ბოროტი შური; უმფროსი ძმა კანნი გარდაეკიდა თავისს უმფროს ძმას აბელსა, ამიტომ რომ ღმერთმა აბელის ლოცვა-ვედრებით შეწირული

<sup>1)</sup> სწერს არხიოლოგი მიხეილ პატრიარხის ასორებისა. ზოგნი ამბობენ აქტორი თვითონ ადამი იყო.

<sup>2)</sup> მოხსენებულნი სჯულის კანონში, გრძნეულობა, მისნობა, ასისთავა, ბედი, შობის დღის ზმნა, ღრუბელთ მართებლობა, შელოცვა, ქერის მყრელობა, ბექის მხედველობა და სხვანი, რომელნიც VI წლის უხიარებლობით ისჯებოან.

მსხვერპლი კრავი უფრო უკეთესად ჩატომ მიიღო ჩემს  
შეწირულს ქირიანულს ნვარბალზედაო, გაიტყუილა შინ-  
დვრად თავსთან ერთად ტკბილ შექცევა-საუბარში დან-  
დობილს ეცა ანაზღეულად, ჩაპკრა თავში კაჟის მახვილი  
ნაკოდლი და იქავე მოკლა უწყალოდ. თუ ღვთის  
მსახურების თაფლს ძეში მაშინვე მხამ-გესლი შეპრია-  
ეშმაკმან, რაღა გასაკვირველია ბუნებით ჯარსკვლავთ-  
შრიცხველობას შრავალნაირი საეშაკო წყობილებანი  
შეპრეოდეს კეთ მოსაკუთუნებლად და ღვთის-მსახურები-  
საგან მოსაშორებლად? აშას ასრევე ვხედავთ დღესაც ყო-  
ველს საქვეყნოდ გამოგონებულ მეცნიერებას, სწავლას  
და ხელოვნებას ბოროტ შედეგში მისდევენ, ვიდრე ქრისტე  
და მისი სარწმუნოება შრავალნაირად გაყოფილ-განკერ-  
ძოვებულა ჩვენში დიდ სამწუხაროდ!

ჩვენი პირველ მშობელნი დიდ მწუხარებაში ჩაყარა  
ქვენმან თავის ძმის მკვლევლობით. რა ზუსაყვედურეს ვგრე-  
თი წყალობა მას, მოუვიდა გული გაბრაზიანდა, დააგდო  
მგლოვიარე მშობლები და გარდაიხვეწა შორს, ცხრა მთას  
იქით და იქ იწყო გამრავლება თავის ჩამომავლობითა.  
იმ მხარეს ევოდება ნაიდი, მაინც შრავალი შვილები  
ჰყავდა იქამდს, რამ იქ შეძენილა შვალის სახელი ენოქი  
უწოდა იმ პირველ გაშენებულ ქალაქსა, როგორც სწერს  
წმიდა აგვისტინე.

კენისთანვ ბოროტ ყოთაქვეის მქონე პირს დასძე-  
ნოდა ძმის მკვლევლის რისხვად, ღვთისაგან ვონების  
შერყეულენა თრთოლია და კანკალი ხელფენისა. იქამდის  
დახელილ დაფრეთილი იყო თავის დღენი, დღე-და-ღამ,  
რამ ერთი ნიავის და სიოს მობერვით ანუ მცენარეუ-  
ლობის შეძვრისაგანაც თავზარ დაცემული ცახცახებდა  
თურმე! კენმან როგორც ნივთის მსახურმან ქვეყნიერო-

ბაში თავ-და-პირველადვე წინ წარსდგა ფეხი, გამოიჩინა საკმაო ნიჭიერება მეურნეობაში, შემოიღო სასწორ-საწყაო, საწონი და ფული, მისმა შვილმან ენოქმან გამოიგონა კალამი, წერილი, ნემს-მანათა და მიწის მზომელობა.<sup>3)</sup> მათმან შვილის შვილმან ლამექმან ორცოლობა შემოიტანა კაცობრიობაში მრავალ-ცოლობის წყაროდ, ამის შვილებმან გობელმან მოიგონა კარავი დღე-ღამ სიციხე სიცივეში თავ შესათარად, იობალმან გამოიჩინა ნიჭი სამხიარულო საგნებისა, დაიწყო მოლექსობა სიმღერა, გალობა და საკრავნი, თობელმან იწყო მჭედლობა რკინისა და სპიდიენძისა, ამათმან დამ ნოემამ სამოსლის ქსოვა გამოიღო. ერთ დღეს კაენი ტყის პირში მიწოლილ იყო, მგლის ტყაპუჭი სიციხისაგან გადმობრუნებულ სცმოდა, ლამექი სანადიროთ რა მოდიოდა, მისმან შვილმან თობელმან<sup>4)</sup> ანიშნა კაენი მგლად, ესრდოა ლამექმან ისარი და მოჰკლა კაენი, გაწყრა კაენის მოკვლისათვის და თავის შვილი თობელიც მოჰკლა იქავ, რათ შემაცდინეო.

ღმერთმან ადამს აბელისთანა ღვთის მსახური და კაცთ მოსაწონარი სეითი მისცა, შეილღებში დიდათ შესანიშნი. მისი შვილი ენოსი წარემატა ღვთის მსახურებაში, მან იწყო ღვთის სახელის ხსენება<sup>5)</sup> ყოველ თავის საქმე ყოფის დაწყებისა და ასე თავის ყოველ მოქმედებას ღმერთსა სწირავდა. მანვე იწყო კრებულად ლოცვა კედრება ღმერთთან დილით, სამხრისა და საღამოზე, საცალკეო ლოცვებიანიც ცისკრისა, მზის ამოსვლისა, კვირა-ძლობისა და შუალამის ლოცვებისა, შვიდჯერ სრულ-

3) სწერს იოსებ-ებრაელი. 4) ნახე შესაქმე საღმრთა წერილისა. 5) ნახე შესაქმის პირველი ნაწილი.

დებოდა<sup>6)</sup> მის გამო სეთის ჩამომავალნი იწოდნენ ძედ ღვთისა! მათთვის არ არის ბიბლიაში მოხსენებული მათი ცხოვრების ხელსაძლევანი წეს-წყობილებანი, რადგან მათი პირველმშობელი მჯმა ადამი ყოველიფერის მცოდნე იყო, შესწავლილი ჰქონდა ცრემნათობჲ გავლენა ბუნებაზედა, დრო-ქამის ბრუნვა მცენარეულთ თვისება, სამკურნალო ბალახ-ყვავილნი, მიწის შემუშავება სახმარი ხელ-საწყობებითა პირველი მშრომელი მუშა იყო თავის ჩამომავალთ სამაგალითოდ ყოველ საქმე ყოფაში, იცოდა სამკურნალო წყლების ძალა, მადნეულობა, მინერალრგია, გეოლოგია და მისთანა ყველაფერი, რაც კაცის გულის გასაშფოვლად და სიმრთელისათვის საჭირო იყო. მასთან წერვა, კითხვა,<sup>7)</sup> ხელიერური ხელოსნობა, რაც იმ დროს შეჰფეროდა სულამის რჩევით და სწავლებით სწარმოებდნენ!

ენაშენვე დასწერა ყოველიფერი ადამის ჩავონებითა, მასთან ღვთის-მსახურებაცა სპილენძის ფიქრებს, თიხის ქურქლებსა და აგურებზედა. მანვე იწინასწარმეტყველა პირველად წყალრღვნა გაბორბტებულ ყოველ კაცთ სასჯელად და ბოლოს მეორედ მოსვლსა მთელი მქვეყნის გაზღაწვა-გადაშუგვა ცეცხლითა. როგორც სწერენ ებრაელების მრავლები იოსები იტბრაელიც ამბობს, ორ-პირამდი (ქვის სვეტები) იყვნენ დარჩენილნი წყალ-რღვნის წინა დროიდან, რომელზედაც მოხაზულნი იყვნენ ცის მნათობთ ბრუნვებუა წყობილება, ერთს რომათგანს ამც მთავესწარ ჩემისგ თვალათი მინახუა კიდევაცაო. წყალ-რღვნის წინად ყოფილს მათიანებს ქართველთ ისტორიკოსნიც ამბობენ

6) „შვიდგზის დღესა შინი გაქმბდი შენ“ ფსალმ. 164 მუხლი-  
 7) „სულტინიც ადამს აწერს წერა-კითხვის გავრცელებას.“

და წმინდა აგვისტინეც აქტივებს, რომ ებრაელებს ჰქონდათ ტაძარში, იმისთვის ვერ უსარგებლობათ მისი ნაწერებითგან, ებრაელებს და ქრისტიანებს, რომ წმინდა რღვნის წინა დღე ურწმუნო კაცთაგან და შემდგომ კერპთ მსახურთაგან მრავალნაირი ცრუმორწმუნეობით ზრეულ-დარეული და გარყენილი ყოფილა, მხოლოდ ამორჩევით ნქბ იქ ნაპ- დვილ წყაროებისაგანი ზოგერთი ადგილები მოუტანიათ წინასწარმეტყველთ, ქრისტეს მოციქულთა ზაფხნთ მო- ძღვრებაში, როგორც სწერს იუდა მოციქული თავის ეპისტოლეში, იწინასწარმეტყველა შემწრდემ ადამისაგან ენოქმან: „ნაწ ესე რა მოვალს უფალი ბერეულითა წმი- დათა მისთათა ყოფად სასჯელისა ყრვლისა თვისვე და მნილებად ყოველთა უღმრთოთა მათთა ყოველთათვის საქმეთა უღმრთოებისა მათისათა, რომელთა უსჯულთა- ბდეს და ყოველთათვის სიტყვათა ფიცხელთა, რომელთა იტყოდეს მისთვის ცოდვილნი უღმრთონი“ (ა. თავი, 14, 15). ელ მხმეუნიმ ანბერკუძამ-ყოცუ მისამ

ეს სთქვა, იმ დროს, რომ ცაბმეფურმა მმართველობამ მალე გააგრძელა მეთის ჩამომავლობა ღვთის-მსახურები- სანაგან, უურო მიიზიდნენ ბოლოტიკურს-ბრწყინვალე ცხო- ვრებაზე. ქვეყნის ძლიერების უხემა ნაყოფიერებამ დიდ წებრმატებაში შეიყვანა კაცნი ბორციელად, მეტმა ქამა- სმამ, შვება-გან ცხოვრებამ, ღმრთობა-მხიარულებამ და ჰბტ- ზარმატურმა მოსვენებამ დასცა ევტობრიობა მსაშინლად; მალე გამრავლდნენ როგორც სეითიანებში. ისე კაენიბნები, დაუხლოვდნენ ურთიერთსა საზღვრებითა, იწყეს მეზობ- ლური ხშირი მივსლა-ქოსვლა, აღებ მოცემა, ამხანაგური წრეებო გაამრავლეს. სწრაფად შეითვისეს ერთ მეორის წნე ხასიჷთი, ჩვეულებანთ, რიგ წყობი-ღებანი, და გაერ- თდნენ კაცთ-მოყვარულის ყრფა-ქცევით, აღარ ირჩეოდა

მათში დიდი, პატარა, მდიდარი და გლახა, ავი და კარგი უმფროსი და უმცროსი, პირველში ყველას თანასწორედ თანაუგრძნობდნენ.

აზასთან ერთად ხელს უწყობდა მათ ზედმიწევნით კარგის მკურნალობის ცოდნა, ტანის სიძლიერე სიძარ-თლე, დღეგრძელობა, რითაც ყოველი ფაფიანთი სწავლა, ხელოსნობა, ვაჭრობა, მეცნიერება, ავკარგიანობით სრულეში მოჰყავდათ. მით თავიანთ ყოველი ძალღონით მხიარულიან ლხინ-სიხარულს შეუდგნენ. შეადგინეს მრავალნაირი წრეები სხვა-და-სხვა გართულობის გასაუმჯობესებლად, ვადრინეს მრავა-რგან სანაფარდო ადგილები, სერ-ტყეში ბურვილები სამხეცო მოედნები, საქიდავ-სავარჯიშოანი სხეულთა, სალხინო მიღამონი, სასიმღერო საგალობნი, სარბევ-საბურთალები, ცხენების საქნებელნი, სათევზო ტბები, საფრინველონი და მისთანა მრავალნი სახალისო სახადილონი. ისხდნენ მრავალგან მოღვექსე-მომღერალ-მეზღაპრენი და დამღერდნენ ნაირ-ნაირ ტკბილ შეწყობილ საკრავებზე დიდის ქება დიდებით ბუნების ყოველნაირს გაზღვაგებულს მდიდარულს აღმატებულებას, ცის კამკამ მოღურჯო თვალთუწედენელს სჩვრცესა, ზედ მავალ მბრუნავ მნათობთ, გავლენიან ბრწყინვალეზსა, მცენარეულთ პოხიერებასა, ვარდ-ყვავილთ სიმშენიერე ტკბილ სუნოვანებასა, ლითონეულთ სხვა-და-სხვაობასა, თვალ-მარგალიტთ ბრწყინვალეზსა, ნივთთ-ნაირ-ნაირობა-სა, კავშირთ სიძლიერესა, ღერ-ავდარსა და ღრო-ყაშის მარად ქცევა-ბრუნვაზედა.

ასეთს ბუნების ქება-დიდებას შისდევდა თვალ-ნაჩენ შეენიერებით განთქმულ დევეგმირთ ორთა სქესთა მეტად გზავიადებული ქება-დიდება, ხელოვან-ხელოსანთა, მწერ-რულთა, პოეტთა და მეზღაპრეთა ცამდის ამადლებდნენ.

და შათს სახელებს ცის მნათობთ არქმევდნენ, ზოგორც მნათობნიც არიან ურანო, კრონო, არმაზი, პლუტონი, ნებტუნი, ჰერა, ჰერმესი, აპულონი, არტემი, აონი, ათინა, ვენერა, ბაქუსი, დიმიტრე, უფესტო და სხვანი, საიდანაც წარმოსდგა შემდგომ ჯერ ცის-მნათობთ მსახურება, ზოგორც ქალდეველებში და მათგან სხვა ტომ-მოდგმებში გავრცელდა და მერვე მოჰყვა მას კერპთმსახურებაც უფუნურობით.

ამას სოლომონ ბრძენიც იხსენიებს: „ამაო ვართ უკვე ყოველნი კაცნი ბუნებით, რომელთაცა შინა იპოვებას უცნობელობა ღვთის მიერი; რამეთუ ხილულთაგან კეთილთა, ვეო შეიძლეს ცნობად მყოფნი; არცა საქმეთა მიხვედრითა ჰსცნეს ხელოვანი; არამედ ანუ ცეცხლი, ანუ სული (ქარი), ანუ მსწრაფლი ჰაერი, ანუ სიმრგვრგლე ვარსკვლავთა, ანუ მჩქერვალეა წყლისა, ანუ მნათობნი ცისა ქმნილნი სოფლისანი ღმერთად ყოფად ჰგონებდეს! ხოლო უბადრუკ არიან და მკვდართა თანა შესაოება მათი, რომელთა უწოდეს ღმერთებად ქმნილთა ხელთა კაცთასა ოქრო და ვერცხლი ხელოვნებისა უანზრახეა და მსგავსება ცხოველთა, ანუ ქვათ სუხმართა ქმნილთა ხელის პირველისა“. (სიბრძნე, იგ).

სეთის ჩამომავალნი არ დასჯეოდნენ პოლიტიკურად კაენიანებთან გაწყობას, ისევე გამართეს მზახლობანა, შეირთეს მათი ქალიშვილები გმირულთ წამოსადეგის ტანისათვის თავიანთ ცოლებად და ჩამოვრდნენ მათგან მობილნი ტლანქის ტანისა, რომ დიდი წილი მათი დედები შობიერობის ნიმუშარით იყლიტებოდნენ და შვილები კი იზრდებოდნენ, ესენი იყვნენ მისთანა დევ-გმირული სახე ტანისა და ძალღონის მქონე, რომ იქამდის არც ნახულა და არც გაგონილა სადმე მაგალითად. და გმირნი იყვნეს

ქვეყანასა ზედა მათ ღრეთა შინა, და შემდგომად ამისა, ვითარცა შევიდოდეს ძენი ლეხისნანი მსულთა ძიმართ კაცთასა და შობდეს თავთა თვისთად, იგიანი იყვნენ გმირნი სატუკუნითგან კაცნი სახელოვანნი!“ (შესაქმ. ვ. 4.)

ვინ ჰქვის როგორ დიდად გამოიჩინეს თავი ქვეყნიერობაში, რამდენ ნაირი გასაშტერებელი ძალი-ღონე მოიხმარეს თავიანთ ყოველნაირ ხელობა ხელოვნობაში,<sup>8)</sup> რამდენი სწავლა და ბუნების შეცნობება არ გაავრცელემ და აღიყვანეს კაცობრიობა მაღალს დარგზედა, იქამდის ვიდრე დაეალიანდნენ მათი მნახველნი მათის სიკვდილის შემდგომ ცის ვარსკვლავებდ შეტრაცხათ და მათი სახელოებდ ეწოდებინათ 12 ბურჯებისა და ცთომილს ვარსკვლავები-სათვის! ჩვეულებითია, როცა რომელიმე სახელმწიფო გამდიდრდება ყოველნაირად ქონებრივად, გონებრივად და ფიზიკებრი სიმრთელე-სიძლიერით დიდხანს არ გასტანს მათი წარმეტყვებ, შევებარებათ ენელ-ნელა; უთაური უზომობა, უწესობა, ტაცვა-გლოჯვა, უსამართლობა და აღვირ-ახსნობლი რყენილება, რითაც დაეცემიან საშინელად; ასე მოსვლიათ ასორეთლებს, ეგვიპტლებს, ბერძენებს და რომაელებს. მსგავსად არიან ელებს, ბაქტრებს, პარსებს და ქალდეველებს!

ესრევე მკრ წარმატებასა ენელ-ნელა ფეხი გადუბრუნონ და უკულმა გადუტრიალდა მმტრთველობის ბორბილი: ზოად მიტრობასა ფხობობა მოწყვა, სიმართლეს უსამართლობა, სიწმინდესს უწმინდურება, მომეტებულ რთვისუფლებას თავშეუკველობა, ხელოვნობას სიყალბე, ამლებ-მიმცემლობას მატყუარება, კაცთ-მოყვარეობას კაცთმოძულება

<sup>8)</sup> იტალიაში, სპანიაში და სხვაგან დევგმირული ბალავრებით ნაშენი კედლები აოცებენ დღეს მეცნიერთა.



მეგობრობას ღალატობა, მშვიდობიანობას უმშვიდობლობა, ერთობას შეუერთობლობა, უთანხმოება, განდგომილება, ტაცვა-გლეჯვა, კაცის კელა, უსჯულოება და ყოველნაირი სიბოროტე, ვიდრე თავიანთ მშობლებს არა ფუ მართო არ ემორჩილებოდნენ, იტყვიე სახლ-სადგომებით-გან ჰყრიდნენ გარეთ, მკლდოდნენ საბრალონი და უდაბურ აღგლეჯებში, ქვაბებში, და კლდის ნაპრალ ხერცელ-ებში სცხოვრობდნენ ხელეულ მცენარეულობითა, ამათ მიიღეს სახელი დევებისა, რომელიც შემდგომ გარდაკეთ-და მრავლნაირ ზღაპრებად და მოეფინა მთელ ქვეყნის ტომებში „და იხილა ღმერთმან ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცანი ქვეყანასაზედა და ყოველი ვინ იგონებს გულსა შინა თვისსა მოსწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღეთა... და თქვა ღმერთმან ავბოცო კაცი რომელი შევქმენ პირისაგან ქვეყნისა“ (ვ. 6. 7).

ავმუცლოდნის ნაყოფიანებამ გააუბედურა ჩვენნი პირ-ველნი მშობელნი და ასევე ავმუცლობამვე აღძრა, აღელა ყოველნი კაცნი, თუ ქალნი, უზომო-ავბოროტობის რყენი-ლებაზედა; აღარ დარჩათ დღთის შიში-კრძალოვა, არც კაცობრიული მორიდება; არც სიჩუხვილობა და არც არც პირის წყალი, ყოველნაირად გაუკუღმარებდნენ, ცოლ-ე შვილიანი კაცები სხვებს ცოლებს სტაცდნენ და აღარ უბრუნებდნენ. ასრევე დედაკაცნიც სხვის ქმრებს იმისე-ბდნენ და აღარ ანებებდნენ თავიანთ ცოლ შვილთა, ცოლი-ღებს ირთამდნენ სიმრავლით და ცოლებსვე უშვებდნენ წყევლა კრულოვით. ამასაც არ სჯერდებოდნენ სხვანი და უპრო უარეს რყენილებაზე აღზნენ აღქმევებულნი სი-ბოროტითა, აღარავის ჰქონდა მოსვენება დღე-ღა-ღამ-ბოროტი ავკაცის და ავ აღამიანების გარდაკიდულთა თურ-

მე ერთს როსკიპს დედაკაცსა 40 გმირი თავს აკლემდა.<sup>9)</sup> ქრისტე უსაყვედურებს ცოდვილებს სახარებაში: „რამეთუ ვითარცა იგი იყვნეს დღეთა მათშინა პირველ წყლის-რღენისა, ჭაჭმდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განქორწინებდეს მუნ დღემდე, ვიდრემდე შევიდა ჩრთე კიდობნად და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით-რღენა იგი და წარიღო ყოველი.“ (მათ. კდ. 38).

ღმერთმან უბრძანა ნოეს კიდობნებს აშენება, დაარიგა ასრე: 300 წყრთის სიგრძე ჰქონდეს, 50 წყრთის სიგანე და 30 წყრთის სიმაღლე.<sup>10)</sup> შიგ გაყოფილი სამ სართულად იყოს, ეს კიდობანი აღი წელიწადე აშენა ნოემ, რომელსაც აშენებდნენ ისევე ცოდვილნი კაცნი, ნოე უქადაგებდა მოქცევა შენანებაზედა; მაგრამ არ ეყურებოდათ და არც სწავდათ მისი წინასწარმეტყველება. ის კიდობანი მოთვისა კუბრით ერთიან,<sup>11)</sup> შეიტანა შეაღაგა შიგ ყოველი-სარჩო-საზრდელი, საკვები და საკენკი ფრინველებისა ერთი კვირად წინად და შეიყვანა შეასხა რიგ-რიგისად ყოველი ცხოველნი, ფრინველნი ზემო სართულში, მხეცნი, ნადირნი და პირუტყვნა შუა სართულში და ქვემძრომნი ქვემო სართულში, ასრევე მწერნი მკალნი, ჭიაჭუანი და მატლნი დალაგდნენ თავ-თავიანთ

<sup>9)</sup> წმ. ეფრემ ასური.

<sup>10)</sup> როგორც სწერს წმ. ავგუსტინე, ორიგენეს გამოკვლევით მოსე გეოგრაფიულს საზომს ხმარობდაო, ერთი წყრთა ექვს წყრთად უნდა მივიღოთ, 300 წყრთა, 1800 წყრთად. 50,000 წყრთად და 30-180 წყრთად, 15 წყრთა 40 წყრთად, რის სიმაღლისაც ყოფილან კაცნი.

<sup>11)</sup> ქალდეველი ბერებო სწერს: ნოემ კიდობანი სიპარელთან (სპერს თუ ისპირს) მზის ქალაქში ააშენა და სამნაირი მატრიანე წიგნებიც იქ შეინახა კლდეში.

ადგილას. შინაურ პირუტყვთაგან რაც ექმება კაცსა და მფრინველთაგან შვილ-შვიდი შეიყვანა, გარეულთაგან ორორი წყვილი დედალ-მამალი: მათთან შევიდა ნოე თავის შვილებით, თავის ცოლით და სრმლებით, თჳს შემკყენენ მათი მსახურ-მოახალენი, მორბენი, კიდობნის მამენებლები და ცხოველთ მკვებავნი. ეს რომ ნახეს ცოდვილ კაცთა ქირდად აივდეს ნოე და მისძახეს: „გაყმაწვილებულო მოხუცებულო და ცრუ წინასწარმეტყველო, რა არის აგრე გამოჩუჩუტებულხარ და გრძნეულობით მიგი-თვინებია მთელი ცხოველნი, მხეცნი, ნადირნი, პირუტყენი, ქვეწარმავალნი, მწერნი და მფრინველნი დიდ-წვრილამდის, წინ უძღვი და შეგყავს შენს აშენებულს უხარმახარს ერთს კიდობანში, რომელიც სატყვეოს სუფო წარმოადგენს, ვიდრე სასახლესა. დაგიტოვებია წმინდა ჯაერი, თვალთუწდომიკა მთელი ქვეყნის ტრიალი მიდამო, სასიამოვნო არეშარე და ასეთს დარიან მოწმენდილ, მშვენიერს დღეს ემწყვდევი ბნელ ჰესანათურო კიდობანში; გეშინიან წყალ-რღვნისა და არა მხეცებისა და გველამაპებისა. მხიარულს კაცობრიობას შორღებო და მწამელელ მყარლ მხეც-ნადირთათანა რჩეულობ ცხოვრებასა! შეხედეთ ერთი ამ რეგვენს, ამ ტუტუცსა, ამ გონება დახშულსა, როგორ მოსწყენია სიცოცხლე და თავის ნებით ცოცხალ-ცოცხალი საფლავში წვება და იმარხება, მხეცთ-საგლეჯათ და საქმელად ხდება; ასე ვთქვათ თავის თავიღგან ხელი აუ-ლია, ამ ახალგაზდა შვილეს და რძლებს რაღას ემართლება? ნახეთ რა საბრალოა, რა უბედურიია და რა და-ღუპული, თავისთანვე ღუპავს საუკუნოდ თავის სახლო-ბასაც.“<sup>12)</sup> იმდროს ედო მთელი მთა რძე უხეველად (

12) მამა პავლე გაბრიელ სენიერი სწერს: „ეს ამბიერს სწავლა“

რა დღესაც შევიტყა, შელოგდა ნოე კილობანში მოიღრუბლა საშინლად ცამ ისეთი შავბნელის სახითა, რომ მნახვერს თავხარს დასცემდა! ცოდვრლი კი გაუტეხლად იყვნენ, აინუნზიაცოთ ივდებდნენ, უტკრად იწყოთ ქექა-ქუხილით წვიმამ კოკის ჰირულად, აღგა იმისთანა რღვნაში ყველგან, რომ კაცს ფეხი ატსად გაედგმოდა, შას მოჰყვა დედამიწის ძერა, კლდეების ამოზურთვამ ცეცხლმზერვა ლებით, ზერგან გაიპრა დედამიწა და ამოკვანტენ დიდ-ძალი წყლები და ტბები, ივიდრე რამდენა ნიმე დღის ჰანშავლობაში წყალმა დიქირა მთელი დედამიწის პირს დახედეს ნუ-კატ, რომ გამართლდა ნოეს წინასწარმეტყველებამა მაშინვე დაქარქს ქალაქ-სოფლები და დაჭრენ მალალ მთის წვერებზე, დახედეს რომ დლით-გან დღეზედ საშინელებმა მატულობს, წყალი მრებისკენაც აღის უთუოდ უნდა დაღუპულიყვნენ. შით შეცადნენ ტბები გზართეს და მისთანა ხელსაწყობანთ თვის მოსარჩენად, მაგრამ მშირმა მეხების ტუხა-ცივიანამ ამოსწვა უპრავლესნი, რაღა უნდა ექნათ წყალი მთის წვერებზედ მარლა ავიდა და 15 წყრთა შევლო მთის წვერებისაგან (ამწო მტკიცდებამ რომ მაშინდელნი ადამიანებო 15 წყრთა სიმალლისა იყვნენ). 40 დღე-ღამე შეუღებელმა წვიმებმა ერთიან დაღუპა ცოდვრლი. მაშინ მრავალ დეეგმირთ მიმართეს კურნით ნოეს კილობანს, მაგრამ საშინელი დელუის ზვირთენი ახლოას ან უშვებდნენ. ისეთი დიდი საზარელნი საცოდნობე ხდებოდა, რომ წარმოსადგენადც შესაზარო, ჰხედავდნენ თვალით ცოდვრლით უკანასკნელ გასაჭირში, თავიანთ მშობლებს, თავიანთ ძმებს, თავიანთ საყვარლებს და მეგობრებს, რომ ხელებ გაპყრობილნი საშინელის წივილ-ყივილით შესტიროდნენ, შემწუბრებ შევლანს სთხავდნენ, მაგრამ ვერ შევლადნენ, რადგან

თვითონაც უკანასკნელ გაქორვებაში იყვნენ, ვინც ხე-  
ლოვანი მცურაენი იყენან, ხუთობით და ათობით ეკე-  
ლები დნენ ზურგზე, ებრაუქებოდნენ მეტის გაქორვებით  
შიშის, ზარისაგან ენა-პირ ჩაცვივნულნი, ზოგნი ფეხებზე,  
ზოგნი მხრებზე, ზოგნი ქლიკებზე და იმსახე ერთი ფე-  
ხით წინ, თავიანთთან ერთად ღლებადნენ. ამ საშინელებით  
დაიღუბა მთელი ღვთასგან განდგომილი კაცობრიობა,  
დარჩა ნოე მარტო თავის სახლობით და თავის მონამხე-  
ვლებ-მხლებლებით ცხოველებთან ერთად რაც კიღობანში  
იყვნენ შესკულნი. ერთ წელიწადზე მეტი დარჩა ნოე  
კიღობანში, მანამდე გაბრუნა ყოველი მშთვალი კაცოფ  
უკანასკნელ ცხოველებამდის და მრავალნიც ვეშაპების  
და ზღვის მხეცების საქმელად გაზდნენ. აერიენ კაცის  
ტურთ ხერხემელნი ათას ნაირ ცხოველთ ძვლი-ძვლთან  
და გარაყნენ სამხრის, ჩრდილოს, აღმოსავლეთის და  
დასავლეთის ოკეანეს ზღვებისკენ. დანაშთენიც რიგ გარეთ  
მალე დაფუტურდნენ და დამიწდნენ ღვთის მოვლენილი  
რისხვის წყლისაგან. აი ამისთანა მოწამლული წყალი რა  
შესვა-შეიშრო დედა-მიწამან, ჰაერთან ერთად გაბრუნა  
დედა-მიწის სიჩხანტე პოხიერება რითაც მოუძღურდა  
დამპირდა ყველი მცენარეულობა და მასთან ყოველი  
ცხოველნიც კაცთან ერთად დღითგან დღედ მცირდებიან  
და კლებაზედ მიედევართ როგორც ჰასაკათ ძალ-ღონით  
და წლოვანობით. ესეც ცხოვერებით დღითი-დღე სიბო-  
როტე მატულობს ურთიერთის უსიყვარლობა და გაუ-  
ტანლობა მეორედ მისელის მიახლოების ნიშნად.  
ერთის წლის შემდგომ გააფრინებ ნოემ ყოველი და  
აღარ შემობრუნდა, გმოვნა მძორები სავლეთად, მერმე  
გააფრინა მტრედი, სადამოსპირად ისევ ნოესთან მოვიდა,  
რომ წყლასაგან ვერსად ვერ დამკდარაჲ ერთი კვირის

შემდგომ ვადატრინა მტრულნი და უკანვე აღარ შემობრუნე-  
 ბულა, ამით სცნა ნოემ მიწის გაშრობა, გამოვიდა კი-  
 ლობნიდან ცოლ-შვილით და მთელი ცხოველებითურთ.  
 შესწრა ღმერთს სამღთონი ცხოველებისაგან დიდ სამა-  
 ლლოზელოდ, ღმერთმა ც შედიგების ნიშნათ შეიდ ფერა  
 ცის-სარტყელა მისცა, რომ აღარ რისხემდა კაცთა წყალ-  
 რღენითა და რომ მეტად მოსაწონიყო ღმერთთან ნარეს  
 და მისი სახლობის ყოველ დღივ შვიდჯერ შეწირული  
 ლოცვა, რომელიც ძველი სჯულითგან ქრისტიანებსაც  
 გარდმოგვეცა!

II

ყოველი ტომებს წყალ-რღენის ცნობებზე, ქალდე-  
 ელებს ცნობები უფრო დახლოვებულია საღმრთო წე-  
 რილთან: ეფროვიან უთხრა ქსოსურთას (ნოეს) სხიზარში  
 ცხადად 15 დესიოს (ღვინობისა) წყალ-რღენთ მოსპობა  
 კაცთა ყოველნი პირველნი, საშუალო და ბოლო მანტი-  
 ნენი უბრძანოს, შეინახონ სპერელთ შინს ქალიქში კი-  
 ლობანი ააშენე და შედი შიგ შენის ნათესაჟენითა და  
 მოყვარე მეგობრებითა. შეიტანე თან სარჩო საკმელ სა-  
 სმელი და შეიყვანე შენთან მხეცნი აოთხფენი და მტრინ-  
 ველნი მათნს ყოველი, საკვებ-საკენკრთა და მზად იყავ  
 ზღვაში წამგზავროდი შეუკითხა სიტყენ უნდა კმგზავრა?  
 გარნა ვასუხად მიიღო: ღმერთებთან ელოცათ რომ კარ-  
 გი დაქმე მოსელოდათ კაცთა, კთვალყოურანად ყოფილი-  
 ყო, არ შეშლოდა შენებაში ელობნის გეგმა რომლის  
 სიგრძე იყო 15 უტევანი და სიგანე ოჯი უტევანი მზა-  
 მზადა, მოაწყო ისე სრულიად, როგორც ჰბრძანებოდა,  
 ცოლ-შვილი და მოყვარე მეგობრები შიგ შეასხა-შეიყვანა.

რა შოისპო წყალ-რღვნით კაცობრობა, გაუშვა ქის-  
სუთრამ არაღა ც ფრინველნი ვერ იშოვნა ხარხო, ფეხის-  
მოსაკდი და უკანვე შემობრუნდა, რამდენიმე დღის შერ-  
მე გააფრინა სხვა ფრინველნიც და ისინიც უკანვე შე-  
მობრუნდნენ, კლანჭები ტალახში ჰქონდათ მოთეთხნილნი,  
მესამედაც გაუშვა მფრინველნი და უკან კარგად შემო-  
ბრუნებულან. მაშინ სცნა დედა-მიწის გაშრობა, გაალო  
ერთი მხარი, ქერისა და ნახა კილობანი ერთს მთაზედ  
დამდგარიყო, გამოვიდა ცოლ-შვილით და ერთის ასული-  
თურთ და ნავის მაშენებლებითა, დავარდა დედა მიწაზედ  
და თაყვანი სცა ღმერთთა, აღაგო ბომონი და შესწირა  
მსხვერპლი მათ. მერე გაუჩინარდა თავისთან გასულებით  
ნოე. ვინც არ გაჰყვნენ მაშინვე ნავითგან, მერე გამო-  
ვლდნენ ნავთგან ეძებდნენ და უძახდნენ სახელობორ.  
მაგრამ ველარსად ნახეს ქისსუთრა ხმა მოესმათ ცისაგან  
უბრძანებდა კერპთ-მსახურებასა, წასულიყვნენ იმ კერპე-  
ბის სადგომს და მკვიდრებულოყვნენ. ისევე ისიყვე დაე-  
მშვენათ ნავის მთავარს მისი ცოლსა და მის ქალსა, ურ-  
ჩევდა მათ წასულიყვნენ ისევ ბაბილონს და თუ წახვა  
ბრძანება უქმნებოდათ ღმერთებისაგან, წასულიყვნენ  
სპერტის ქალაქში ამოეთხარათ შენახული მატრიანი და  
გარდაეცათ კაცთათვის და ეს სადაც მოხდენილა სასომ-  
ხეთო იყო! (38) ამასვე დმეორებს აბიედენო ქალდეველი.  
რცხვენ ფსწერთ ქართველებისა და ქალდეველების ურ-  
თიერთობაზედაც მისთვის ადგილობრივი სახელ-წოდების  
მნიშვნელობასაც მაინც გაკვრითა თვალს გარდაევალებთ,  
რაოდენადაც შეეფერება იმეფენს საგანს ვსამშვენებლად.  
ნოემ მორველად რამე გაალო კილობნის ქარი და გარდმო-  
ალონ მხარეს ცხოველთა და ალონ მხარეს ცხოველთა და ალონ  
მხარეს ცხოველთა და ალონ მხარეს ცხოველთა და ალონ

38) ევსები და ბერო-ბრუბერესო ქალდეველი სწერენა

ხელა დაოუპულ-გაოხრებულს გარშემო მთელ ტრიალ მიდამოსა, დაიძახა მწუხარებით: არა რადიაო, ესე იგი არა რაიად ქცეული, მით ეწოდა არა რადის მთა და თვით მთას კი მასისი (მაშიში), ესე იგი ღვთის შიშის მომგონებელი, სადაც დაღვაწოეს კილობანი დაშცველ-დამფარველი მათი. მთელი ქვეყანა წაირყენა და პარტო ისინი დარჩნენ კოცხალი ღვთის მადლეთა. სადაც ღმერთს მსხვერპლები შესწირა შინაურ ცხოველთაგან, იქავ იმ არარატის მთის კალთობზე იმ ადგილს უწოდა აგორი, <sup>14)</sup> სახსოვრად სყთიანთ პირველი მეფისა, რომელიც ყოფილა ღვთისა და კაცთ სათნო, რომ გამომგზავრა შარაკლისკენ იცნო ადგილობრი მთა, სადაც ბოროტ კაცთ კერპის ძეგლი სდგომოდათ, რადაც კაცის მკვლელი უწყალო კაცისა, რისთვისაც არა ჟავი რქმეოდა და თქვა ეს არა უცაიო. (არაგაწ ალაგვეზი), იქიდან რა აფელა შეხელა მწკვრივ მთების წვერებსა და ნახა მათში ის მთის-წვერი, სადაც სდგომოდათ ზოჩი (მბოძი) სეგბედისა. მით თქვა აბოცი (აგერ ბოჩიო), <sup>15)</sup> მუნითგანაც გამოემართა და მოაწია უფრო უმაღლეს მთის მახლობლად, რომლიც საწვეროს ჰქონოდათ ურწმუნო კაცთა აპულონის კერპი და სწოდებოდა იმ მთასაც აბული. იქ კარგ წყლიან და წმინდა და ჰაერინ ადგილას დასახლდა ერთ ხანს, მოეწონა ჯავახეთის ვაკე-მინდვრები წყლიან-ტყიანი და მშრალი თუმც ყოველიფრით შემკული ადგილი იყო, მაგრამ ვერ კმაყოფილდებოდნენ ახალ ხილნარ მცენარეულობით,

<sup>14)</sup> ეს მდიდარი სოფელი სომხებისა 200 მანახლემდე 1810 წ.

არარატის მთის მონასტარ მიწის ზევის ქვეშ დაიღუპა  
<sup>15)</sup> სრულად მოისპვნ დიოს ანუ აპულონ, არტემ პნუ ბუჩი და გაცი და ხახტაი (ხადენი) და ჯად და გეონ და არმაზ, (სჯულის კანონი მე-VI კრებისა).



გემო სიხინტის გამოკლების გამო, უწინდებულად. მის გამო მისცა ღმერთმან ნება შინაურის ცხოველების სორცის ქამაცა, როგორც ცნვარ-ძროხისა, თხისა, კამბეჩის, ასრევე შიშების, ჯიქების (გარეული ხარი), ჯერანთა, ჯიხუთა, ქურციკთა და მისთანა გარე თხათ წყებისა და შტრინველთა. ამათთან ერთად ნოემ საჭიროდ დაინახა მათი შესათერი სასშისების ხმარებაცა. პირველდელ ძალონებზე მოსასვლელად, რომ გაუჭირვებლად შესძობოდათ ყოველი შრომის, ჯაფის ატანა ახალი ქვეყნის შესამუშავებლად. მისგამო იქაურ შესათერს წყლიან ხეობაში, დანერგა ვაზი, შალე გახდა კარგი ვენახი, დაწურა ყურძენი, ჩასხა ქურქელში. რა დადგა ღვინოთაჲთ, ვა საცდელად ახალი მაჭარი, წაიტყუილა გემოვნებამ, მხდვდა ზომა, და დათურა. რომ ელარ მოიხვეწა მეტის მხურვალეებისაგან, გაიძრო ტანის სამოსი და ტიტლიკანა, დედიშობილა გაიშლართა მარანთან ხის ხიდილის ქვეშ. რა ნაწა ქამის შეილძან ქანანმან ააწა მისი ტიტლიკანა ხის ძირ ქვეშ მძინარე, მიიბრინა მამა მისს ქამს აცნობა, ქამაც რა ნახა ეგრედ შეუფერებელს მდგომარეობაში, გაჭიკხა და თავის ძმებთანაც, სემთან და იაფეთთან, უპატურად მოიხსენია. იაფეთი და სემი მაშინვე მიიქრნენ და ორმევე დაფარეს უკულმა მისელით ისე სამოსი, რომ მისი სიშიშელე არც კი დაუჩახიათ! გამოთიხზლენისა რა მსცა ნოემ ყოველი ყოფილი, დასწყევლა მიხეზი და მკიცხველიცა. და თქვა წყევულ იყავ ქანან და ყრმა მონა იყავნ ძმათა მისთა. და თქვა კურთხეულ არს უფალი ღმერთო სემისა და იყოს ქანან მონა მასსა. ვაწავრტქნ ღმერთმან იხფეთ და დაემკვდრენენ საყოფელთა შინა სემისთა და იქმენინ ქანან მოწა მისსა.“ (შესაქ. თ. 25, 26, 27).

ასე ნოესგან დაწყველის გამო ქანანისა, დიდი წყენა ჩაეარდა ძმებზე: აიშალნენ და უწყეს ურთიერთს კამუქკამათი. სემი და იაფეთი მამა მათსა ნოეს ემოძრჩილებოდნენ და ქამი კი წინააღმდეგი იყო, არ ლებულობდა თავზე თავის ჩამომავლობის მონობასა, შორდებოდა ძმებს და უკეთეს ადგილებს თხოულობდა განსათავისუფლებლად მკათვან, რომ მოსვენებით ეცხოვრა ყოველ კერძოდ რომ ვერ შერიგდნენ, არჩევანი ჰქმნეს, მოვლეს ყოველზე მხარე სასომხეთო საქართველოს, თუ რომელი რომელი მხარს ირჩევდა. მით ეწოდა იმ ადგილს არჩევანი-თუ ნარჩევანი, „როცა ზრუანდ (სემი), ტიტანი (ქამი) და აბეთო (იაფეთი) გარდაიკიდნენ თავიანთ მამგს ქსისუთრას ხელმწიფების შესაკუთრებლად; მაშინ და მათი ისისი ჩადგა მათ შუა მაშვალად და შეარიგა“ (16) თქმა არის წილი უყარა და ასე დაკმაყოფილდნენ ყველანი.

ნოეს სემს, ქამს და იაფეთის ვარდა, როგორც არხილოვანი სწერენ, კიდეც სხვა ვაჟი და ქალი ჰყოლია ოზირი (17) და ისისი, ორნივე საუცხოვეთ მშვენიერნი. წარმართნი ნოეს ქსისუთრას, კრონოს, სატურნოს და ზადენს უწოდდნენ, მის შვილთ სემს — პლუტონს და ზრუანს, ქამს, დიოს, იოვს, ტატანს და არმაზსა. იაფეთს — აბეთოსა და ჩეკტონს. (18) ქართულ ენაშიაც დარჩენილია ამ სიხელეების მნიშვნელობა საკვირვლად დღესაც სემი (ზემო) ზრუანი

16) სწერს ულუმპიადორ ფილოსოფოსი.

17) ეს ის ოზირია, რომელმანც ააშენა ოზრახო ოცხვეს.

18) თქმა არის მათი თანამედროვე კაცი, წყალ-რდენის წინად ყოფილ დევგმირთ სხულებს აკუთნებდნენ როგორც ნოეს, ისე სემს ქამს და იაფეთსა, რომელნიც თვითგონ მოსწონდათ, ასრევე მათ ჩამომავლობას გარდაეცათ და მათ უმეცრებით მათ თანა მოსახელე მათი ღრობის სხვა-და-სხვა პირთ მიუწერეს. ასევე სხვათაცა!

(ზროიანი), ქამი (ხამი) ტიტანი (დიდტანი) აბეთო (გამბედო). ამისგანვეა მოგონილი აბედი ცეცხლის ასანთებლად და ბედო. ბედნიერება მისი სიკეთის შიხსაგონებლად გადმოუციათ ჩვენ წინაპართ ჩვენთვის, ისე როგორც ნოეს სახსოვრად ნუნუას ეტყვიით ღვინოსა, რომ წყალ-რღენის შემდგომ პირველად მან იწყო ხმარება ღვინისა!

სემს წილად ხვდა მთელი სომხეთი ხარევანდამდრ მით მუნებურ მთას სიძის მთა ეწოდა. პირველშივე ისე გამრავლდა არარატისკენ, რომ ერთს ქალაქს ეროვანი (ერმრავალი) ეწოდა. ქამი ჩადგა კახეთში და მის მიდამოებში, სადაც დადგა პირველად იმ ადგილს უტი (უნდი უსანდო) ეწოდა. ხუსი არკახში დადგა მისი შვილი, მისგან არიან ქისტები. ქანანი ჩვენს გატეხილ ხიდთან დაბინავდა მით ეწოდა ხუნანი და ასე ხეობაც კი შემოვლეს მის ჩამომავალთ. იაბეთი დადგა ჯერ აბათ ხევს, რა დაათვალიერა მიდამონი, მერმე გარდვიდა აბათუბანს, მით ჰქვა წამხდარი ენით დღესაც იმ სოფელს აბასტუმანი. ნოეს რა ცოლი მოუკვდა ჯავახეთს, დაასაფლავა იქავე და უწოდა იმ სოფელს თავის ცოლის სახელის შარად სახსოვრად, ნემზარა (ნოეს სარა), ესე იგი ნოეს ქალბატონი, ახალქალაქის მახლობლად! იქ დასტოვა თავის ჩამომავლობაც და თქინონ გადვიდა თავის შვილს ჩაფეთთან. იტაცხლა წყალ-რღენის შემდგომ კიდევ 350 წელი და მოკვდა, დაიმარხა დაბა ზადენს მაღლობადგილას, სადაც შემდგომ კერპი ჰქონდათ ზადენისა მესხებს და ანდრია ქრისტეს მოციქულის ლოცვით შეიმუხრა, როგორც სწერს ქართლის ისტორია, ზადენის კალთებზე არის ზადენ-გორა, სადაც წარმართთ მიცვალებულნი მარხიან, ზადენ გორასა და ზადენს შუა არს საბუზარა სოფელი, სადაც უმსახურიათ ჩვენ წარმართთ ცის მნა-

თობთ მაღალ ძალთათვის, რომ ასორული ლექსი საბუ-  
ზარა მაღალ ძალთ ნიშნავს. ასეთივე საბუზარები არიან  
დადეშა, ხიზაბაერას და სხვა სოფლებშიაც!

იაფეთს შვიდი შვილბ ზყავდა. ჰირველი იყო გომე-  
რი, რომელიც გომარეთს დაესახლა, მისი ჩამომავალნი  
არიან გმირნი შაჰის ზღვის სამხრეთ ანატოლში მცხოვრე-  
ბნი, გომერის შვილი ასკანაზი, ასკანის ქურთების წინა-  
პარი, ბითანელნი და გერმანჩის მცხოვრებნი. მეორე —  
რიფათი, რიფათან შთებში მცხოვრებნი. მესამე — ბორგომ,  
ართვინის თალგომს მცხოვრები, თურქების, თურქმენების  
და ჰაოსიანების წინაპარი!

მეორე გოგი კავკასიის მთბულეზნი, გუგარების და  
სიკვთების წინაპარი, გოგს და მაკოგს წმ. აგვისტინე ამ-  
ბობს. მორივ სახელბ ერთიარ. გოგ (საენე) და მაგოგ  
(საენითგან გამოსული) თქმა არსო. გოგი ჯავახეთს დაე-  
მკვიდრა და მის სამკვიდროს ეწოდა გოკია და მეორე  
ადგილას იქავ ჭოგაშენი, რომ მათ მიღამოს გამრავლდა  
მოღგმითა, მით მთელი ჯავახეთი და მისი გარეშე მიტან-  
მოტანება წოდებულა გუგარებად ძველადგანვე. მესამე  
შვილი მადა, რომლის მოღგმისაც არიან მიდნი (ქურთე-  
ბი). მეოთხე იავან, ამისგანაც არიან იონელნი მისი შვი-  
ლების ელისესაგან ელლენები. თარსისაგან კილიკელნი  
და მათი მეზობლები, კიტიმისაგან ჰელასგელნი კბპრში,  
მაკედონიაში და იტალიას და დოდანი მისგან დოდანელ-  
ნი ეპირში.

მეხუთე შვილი თუბალი ტაეკვიდრა თბილრსს (თო-  
ბალისს), მისგან არიან ტიპარენები (მთაბარელები). პონ-  
ტას და კილიკიას.<sup>29)</sup> მეექვსე მოსოხი, რომელიც დადგა

<sup>29)</sup> ნახე მსოფლიო ვრცელი ისტორია მ. იოსებ ყათირჯიანისა.  
დარეკდილი 1849 წ. — ქ. ვენნას.

მუსხს და მის მიღამოთ გამრავლდნენ ამისგან მესხები  
მთელ იმ მთებში, რომელნიც საქართველოს სომხეთისა-  
გან და სომხეთს საქვერეთს ლაზისტნითგან ჰყოფენ.  
მთაული ხალხი, რომლებსაგან ამბობენ ლირაკელებს,  
ვენგრიელებს და მოსკოველ რუსებს. მეშვიდე თირასი,  
ამისგან თრაკიელნი ტნიესოერ მდენარის ნაპირებს მცხლ-  
ვრებსნი.

სემის ჩამომავალის ებერის მოდგმა არარატრითგან  
სპერამდის განმრავლდა. თარრა და აბრაამი თავის ძმებით  
ჩვენს არტანში არიან დაბადებულნი და გაზრდილნი,  
რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ჩუროდ ვსახელებს და  
დღესაც ჰურის სოფელი არის არტანის მახლობლად. თარრას  
შეილა არანი რომ შოკვდა ასე სწერს ლათინური ბიბლია;  
*Mortuusque est Aran ante thare patrem suum in*  
*terra nativitatis suae in ur chaldeorum. Genesis*  
*XI, 28.* სომხურში ეს ლექსი ური ქვეყნად ქალდევე-  
ლებისა დაუწერიათ და ქართულს დაბადებაში სოფლად  
ქალდეველთა ვმ. იერონიმესკი ლექს-ლექსად დაუ-  
წერია სწორედ, როგორც ეს ისე სხვა შესანიშნი ადგი-  
ლებიცა.

აი რა უთხრა ახიორმან ამანელთ მხედარ მთავარმან  
რომოდრეს ებრაელთათვის: „ერნი გესენი ტომისაგან  
ქალდეველთასა არიან, ჰქისა პარველ შუა მდინარესა შინა  
მკვიდრობდეს: ვინაითგან არა ჰსთნდათ შედგომად ღმერ-  
თთა მამათა თვისთა, რომელი მკვიდრობდეს ქვეყანასა  
შინა ქალდეველთასა დაუტევეს სჯული უკვე მამათა  
თვისთა, რომელი წინაშე მრავლოდა ღმერთთა იქმნეს,  
ერთსა ღმერთსა ზეცათსა პატივსცემდეს, რომელმან  
უბრძანა მათ, რათა განვიდნენ მუნითგან და დაემკვიდრნენ  
ქარანს შინა. (ივლითი, ე. ნ. 1.) აქედან ცხადათ სჩანს,

რომ ქალღვეელობა და ქართველობა ერთი და იგივე სარწმუნოების წოდება არის და არა რომელიმე წინაპარისა, ციურ მნათობთ მსახურების გამო სდებდნენ ქალღვეელობის წოდებასა, ისე როგორც მრავალნი ტომნი რომის კათოლიკედ იწოდებიან თუ ლათინად: იტალიელები, ფრანგები, ისპანელები, ავსტრიელები, გერმანელები, ინგლისები, ვენგრები, პოლონელები და სხვანი ტომით კი მეტად განსხვავებულ არიან!

ნრეს სიკვდილის შემდგომ გამძლავრდნენ ქამის ჩამომავალნი, მოინდომეს თავიანთ მფლობელობის გავრცელება ყოველ ტომებზედა, ასეთი მათი აღზვავების მიზეზი გახდა ქამის ძის ხუსის მე ნებროთი, რომელმანც იმ დროს დევკმირობით დიდი სახელი გაითქვა, არლარ დასტოვა ტყე-ღრეში მხეცი, ნადირი, უმრავლესნი ამოსწყვიტა თავის ძლიერი ძალ-ღრნით. ამასთან ერთად იყო მეტად ენა პიროსანი და გამჭრიახი ყოველ საქმეში, რითაც დაიმსახურა მრავალთ თანაგრძნობა მიიყოლია და შეიერთა თავისთან დიდი სიმრავლე! ხოლო ხუს ჰქვა ნებროთ: „ამან იწყო გძირ ყოფად ქვეყანასა ზედა. ესე იყო გძირი მონადირე წინაშე უფლისა ღთისა.“ (შესაქ. ი, 8, 9.) რა უნდა გამეფებულყო თავის დაწყობილი რიგ გარეთი მძლავრულის ძალადობითა, ველარ გაუძღეს მის ავ-კაცობასა, შეერთდნენ თუბალნი, მესხნი, მაგოგნი სემელებთან ერთად. დაესხნენ თავს, ანაზღვეულად დაამარცხეს საშინლად, გასდევნეს შუა მდინარისაკენ და ასე უკუ შემობრუნდნენ გამარჯვებულნი!

„და იყო ძრვასა მათსა აღმოსავალით, ამბობს დაბადებაცა. შუა მდინარითგან წავიდნენ და შეხვდათ დიდო ტრიალი მინდორ-ვაკენი სენაარს და მიდგეს იქ ფეხი. გააშენეს მრავალი სოფელ-დაბა-ქალაქები და დაწინაურ-

დნენ დიდად მიწის შემუშევებასა, მეურნეობასა და მოქალაქურს ცხოვრებაში, რითაც მიბაძეს წყალრღვნის წინა დ მყოფ კაცთა და ქალთა! არა მარტო ესრეთ წარმატება მისცა მათ ნებართვის გამეფებამან, არამედ უფრო უმრავლეს გამდიდრებას და გაბედნიერებას ჰპირდებოდა ქვეყანას თვითო თვითოდ“. და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა ბაბილოვანი, ორეკი, არქადი და ხალანი ქვეყანასა სენაარისასა. იქვე ი.

უფრო, რომ უშიშრად ყოფილიყვნენ მისი ქვეშევრდომნი მოსალოდნელი ღვთის რისხვისაგან, იწყო ბაბილონში ერთი საოცარი ციხე გოდოლის შენება, რომლის წვერი ცას უნდა მიჰბჯენოდა, რომ წყალრღვნის განსაცდელისა დროს მომავალად იქ თავი შეეთარათ და გადარჩენილიყვნენ ღვთის რისხვისაგან, (როგორც ჰგონებენ მეცნიერნი) შენობის გეგმა მრგვალი იყო, ძირი განიერი ზომიერის სიმაღლასა, ზეითა ზეით-კი თან და თან ვიწრო კედლები შესდევდა თავამდინ, მრავალ რიგი შაგარის მოწყობილობითაო, როგორც წმ. იერონიმე სწერს, 40 წელს აშენეს და 21 ვერსის სიმაღლეზედ აიტანეს მთელი გოდოლის შენობაო, მაგრამ არ შერჩათ ეგრეთ თავხედობა, გადარია ღმერთმან მოთავენი, თავმდგომნი, მაშენებელნი და მუშები, შეუშალა ერთი ენა მრავალ ენებად, ველარ გაიგეს ერთი შეორისა. რა ასეთ არეგ დარეულებაში იყვნენ, იძრა საშინლად მიწა, დაიქცა დიდი წილი იმ გოდოლისა და უმრავლესნი მოთავენი, თავს მდგომნი, თუ მაშენებელ მუშებნი ქვეშ მოიტანა და დანაშთენიც მოშორდნენ დაიფანტნენ მთელი დედამიწის ზურგზედ შეუერთებელ შეუმწეველ უნუგეშონი.<sup>20)</sup>

<sup>20)</sup> ამ დროს მიეწერებოდა ქვის საუკუნობა, გაფანტულნი დე-

აი რუს სწერს მამა იოანე შავთელი, თამარ მეფის ქების შესახებ: „როს ენა შვიდი, მათთვის დამშვიდის საზრახელ იყო სულთა ყოველთა, ე. ი. ერთიო. ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა, შერძენთა, სპარსთა, აგმაგუგელთა. მაშინლა მებროთ ქვეით სამისებროთ გოდლოლი ხელ ყო შენებად ველთა, თვით გაიქრა, სული გაიქრა, სატანჯველს მიხედა, სასტიკად ძნელად“. 91 მუხლი. თქმა არის გოდლოლის დაქცევისა სხვებთან ერთად გადმოჩენილა ნებროთ და მომკვდარა, (აქეთვან ცხადად ჩანს, რომ მეფის დივნად ყოფილს სწავლულს მამა იოანე შავთელს არ სცოდნია ჰაიკი და არცა მისი ძმები, რომლის შემწეობით მოჰკლა ჰაიკმან ნებროთი). აღრინდელნი შეცნიერნი ამბობენ, პირველშივე 72 გაიყო ენაო და მერმე რა ერთიც ხანი გადის თან და თან უფრო მრავლდება. ახლანდელი სწავლულნი ამბობენ, პირველში სამად გაიყო და რაერთიც ერთმეორეს დაშორდნენ მიწა-წყლით, იპდენი უფრო გასხვავდა და გამრავლებახედ მიდისო, მაგრამ ჩვენი მამა ივ. შავთელი ამბობს, როგორც ვნახეთ შვიდად გაიყოვო!

სერუქის მე-ნე წელს იმეფა პირველად ნებროთმან ბაბილოვანში, მეორედ გამეფდა ძე მისი თიროქალდეველი, ამის დროს გამოვიდა ხმარება ოქრო ვეცხლისა, მის მერმე იმეფა სემელ სამირომან 72 წელსა, ამის უამს გამოვიდა ღრაკანის მხატვრობა, გამოქანდაკება, სასწორ-საწონი, საზომი და ყოველი კეთილ გან-

დამიწის ზურგხედ ვიდრე მოიპოვებდნენ სპილენძის დ. რკინის მადნებს, აღრინდული რკინეულ თუ რვალის ხელსაწყობ ფორმების დაუფიწყებლობისთვის, ქვისაგან გამოქოფიტებული ცულის, დანის და შუბის ფორმა დაუტოვს თავიანთ მოდგმას სათქმაშო საგნებსა-ვით.



წყობილება. (ამისთვის ამბობდა თუბრემ მენაზირმოგვი, რომ 3 თვალნი ჰქონდა). თარას მე-7 წელს გამეფდა მხნე არბი 18 წელსა, შემდგომ ბილო ართურელი 62 წელსა, ბოლოს გამეფდა ვილაც ქსარო ართურს, ამან თარას ძმას საერომსა, რომელიც ქურმების მთავარი იყო, წარსტაცა, კანანის კერპი და მან მისთანა მტაცველობისთვის მოჰკლავ ქსარო შეფეო! <sup>21)</sup>

ნებროთის შემდგომ იუფლეს ჰაბილონზედ მიღების, 8. მეფეებმა და 11 თავადებმან, 224 წელსა, მერმე იუფლეს ქალდეველთ, 49 მეფეებმან. 458 წელსა, მას უკან გარდვიდა მეფობა არაბებზედ, მათ, 9 მეფეთ იმეფეს 245 წელს და სულ-ბოლოს გამეფდა ნინი ქმარი სემრამზდისაო <sup>22)</sup>. (არ აქ სულ არ არის ჰაების გამეფება მოხსენებული, თუ რომ მართლად მოკლული ყოფილიყო ჰაიკისაგან ნებროთ, კანონით პირველად ის უნდა გამეფებულიყო ჰაბილონის და მისი შვილის შვილები).

როგორც ჩანს საღმრთო წერილითგან 532 წელი გასულია წყალ-რღვნითგან ფალეკაშდის, რომლის ჟამსაც მახდა ენების გამრავლება და აბრაამის წოდებამდე, როცა გაიყვნა ჩვენის ქვეყნითგან ის თავის სახლობით, გასულა 1247 წელი. აქეთგან ცხადად ჩანს, რომ აბრაამის გასლვამდის ჩვენს ქვეყანას ქეშმარიტ ერთის ღმერთის მცნობელობა ყოფილა. ბაბელოვანში მფლობელობით გარყვნილან ასურების, მძღუბის და მისთანა მრავალი კერპთ მსახური ტომებსა აყოლითა და რომ გამოსცლიათ არაბებისგან იქაური მფლობელობა, დაბრუნებულან კავკაზ

<sup>21)</sup> კედრენო და მისგან სწერს ვარდანიცა.

<sup>22)</sup> სწერს. ევსები თავის ქორონიკონში.

სიაში რა, უწყვეთ მნათობთ მსახურებასთან ერთად კერპთ მსახურებაცა, რის გამოც უტანჯიათ მრავალწინად აბრაამი, ვიდრე ცეცხლშიც ჩაუგდიათ, მაგრამ აბრაამი არ დამწვარა ცეცხლისგან ურში და ტან მრთელი გამოსულა, სწერენ რაბები.

უწინდელმა სახელწოდებამ დევგმირთა ჩვენის მთებისამ გაუადვილა კერპების თაყვანის ცემა ჩვენს ერთობასა; იმ მთებისამან, როგორც არიან ზადენი, არმაზი, აბოცი, აბული, არსიანი, არტვინი, ფერსა, თემი, ჰალაკაციო, ბაქო, ური და სხვაც. აბრაამის დროს ზოგიერთი ეს კერპები იყვნენ და ზოგიც შემდგომ თან და თან დაემატნენ, ა. აბოცი (მშობისვე, ბუდი) მფლობელი ყოველ კერპებზედა თავისი დიდის გავლენით<sup>23</sup>). ბ. კრონო (ზადენი) მამა არმაზისა მფლობელი დრო ეამისა, გ. ურანო, მამა კრონოსისა მეფე ატლასისა ციურ ვარსკვლავთ მპყრობელი, მკოდნე ვარსკვლავთ მრიცხველობისა და სამოქალაქო წესწყობილებისა. დ. არმაზი მფლობელი დარ-ავდრისა და მბრძანებელი ღმერთებისა, რეა დედა არმაზისა. ვენერა ღმერთა სიყვარულისა, ამას ბრძნები ქალასაც უწოდნენ. აპულონი ღმერთა ეტლი მზისა, მკოდნე მოღვექსობისა, შესაკრაობისა და ყოველი გონიერის ხელოსნობისა, პრისი (მარსი) ღმერთა ბრძოლისა. არტემი ღმერთა ხადრობისა, როგორც ანაიდი, სიწმიდის მოყვარული. აფნა (პალლა) ღმერთთა მეცნიერული განათლებისა, ჰერმე მოთარგმნე ღმერთებისა,

<sup>23</sup>) თეიმურაზ მეფე არ ვიცი, რომელი საბუთით ბოის ასობების ბელს ადარებს რომ არსად არ სჩანს, მირდატ ევპატორმან რომ გაიმარჯვა, რომლებზედ მას ერბო, თაფლი, ღვინო და შინთანა საწუთრო სახრდელი შესწირა, უკმია და არა ცოცხალი ყრმები.

ღმერთა ჭევრმეტყველებისა, ვაჭრობისა და მეგობრობისა, ბაქო ღმერთა მევენახეობისა და ღვინის სიძლიერისა, ეფესტო ღმერთა მჭედლობისა, რომელსაც მოუპოვებია ვითამ ცეცხლი არმაზისათვის. დიმიტრი, ღმერთა მიწის შემუშავებისა და სხვა.

კრონოსაგან დაგვრჩენია ქართულ ენაში დღემდის მტკიცედ საუკუნო (საოკრონო). ბოჩისაგან (ბოძი) მბოძებლობა, მინიჭება. არმაზისგან ლამაზი, არისისგან არსება. ათენასაგან გათენება, ჰერმესაგან, ემე, ემე, ლექსი სიტყვის მოსაგონებლად ხპარებული გლენთაგან ლაპარაკში, ბაქოსაგან ბაქი. ბუქილოთის წოდება ბექრო და სხვა. ეფესტოსაგან, ფესტელა ლექსი ვინც კოკლივით იწყობს სიარულსა ფესტოლას ვეტყვით, აპულონს ფებოსაც უძახდნენ, აქეთგან არს ჩვენი ლექსი ბებლი რომ ცხოვრებაში დახელოვნებულს მკოდნე ბებერს ვეტყვით. ასევე თემსი ღმერთა სიმართლისა და სისწორისა, შიო რამდენიმე მჯზრას გაწესრიგებულს, ერთად შეერთებულს თემს (გუბერნიას) ვეტყვით და სხვანი.

საღმრთო წერილი არ იგუწყებს ქალღვევლებსა და იხსენიებს იოზის ცხოვრებაში ასე სწერია ლატინურში: „sed et illo adhuc loquente, venit, alius, et dixit chaldacii, et tecerunt tres, turmas, et invaserunt exsmelas, et tulerunt ess necnon et pueros pecus serunt gladio, et ego fiji solus ut nuntiozem Iibi; cob. 1. 17. ჩვენებს ასე უთარგმნიათ:“ მხედარნი შეიქმნეს სამად გუნდად და გარე მოადგეს აქლემებსა და წარტყვევნეს იგინი და მონანი მოსწნეს მახვილითა; ხოლო განვეჩივე მარტო და მოვედ თხრობად შენდა, იობ.<sup>24</sup>) ა.

<sup>24</sup>) იობ ცხოვრება მაშინ, როცა ებრაელები ტყვედ იყვნენ ეგვიპტეში.

17. სომხურად უთარგმნიან მხედრები მდევლებად, თითქოს ორთავ შერცხვენიათ ქალღვევლებად თარგმნა სიტყვა სიტყვად, ისე როგორც ლათინურშია ცხადად<sup>25</sup>). აქეთგან წარმომდგარა ის დიდი შეცთომილება, რომ ქალღი სახელი დაფიქსებაში ჩაღუბულა, როგორც ბერძნები, ებრაელები და მთელი ევროპიელები უწოდდნენ და იმ საზოგადო სახელის წილ, რომლით ჩვენთან ერთად ერთნაირი წოდებისანი იყვნენ, კერძო წოდებანი დაგვსწავლია, როგორც კლარჯნი, ქაჯნი და ჭანები (სანები). ეს წოდებანიც თუმცა საქებურია, მაგრამ-კი არ შეედრება საზოგადო მათ წოდებასა. კლარჯეთ დარქმევა აღგილობრივი უმრავლეს მიგრებ-მოგრებილ ხეობებ ბისაოვის. კლარჯეთითგან წარმომდგარა ლექსი შაკლე ქაჯი, რომელიც ნიშნავს გმირს, უძლეველსა, მართლაც რომ მრავალი თქმულება არის ჩვენს ერობაში გავრცელებული ქაჯებზედა არა მარტო სიტყვიერად ქორ-ზღაპრები, არამედ მწერლობაშიც შეტანილია, როგორც რუსთაველი გვიწერს ვეფხვის ტყაოსანში.

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედჲნ დახელოვნებულნი, ყოველთა კაცთა მაჯინი, იგი ვერ ვისგან ვნებულნი და მათნი შებმულნი წამოვლენ დამბმალნი, გაწბილებულნი იქმენ რასმე საკვირველსა მტერთა თვალთა დაუბრძობენ, ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ, ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ, ჰსწადდესთ ღღესა ბნელად იქმენ, სწადდესთ ბნელსა ანათობენ! კოლხიდელი მებუთე მზედ წოდებული ოტია შეფისა და

<sup>25</sup>) აქეთგან ცხადად ჩანს, რომ ქალღვევლნი მოსახლრე ყოფილან იობის ავსიტის ქვეყანისა იმ დროს.

ასრუ დახელოვნებულ იყო გრძნეულებაში, რომელიც მისთვისდა სარომტის მეფესა ცოლად. რა შენიშნა მეუღლეობაში დალატი ქმარსა, გაშორდა და გადავიდა ევროპაში: მაშინ, როცა ტროის აოხრების შემდგომ ბერძნის მთავარნი იტანჯნბოდნენ, ხმელთა შუა ზღვაში დიდ ღელზე გვემულებნისაგან, ამან თავისი თვალით მაქცობით მთელნი ქვეყანა გააოცა, სადაც მიდიოდა ყველგან დიდის პატივის ცემით ეწყრობოდნენ. ერთი განუმრების გამო ოდისეს ხლებულნი კაცნი წკვლის გარდარტყმით ღორად აქცია და იმავე ოდისეს თუ ულისეს ვედრებით, ხელმეორ კაცად აქცია. მერმე მიჰყვა ცოლად იტალიის მეფე პიკსა, იმაში, რომ ნახა მრუშაობა, თავის ხელს ქონებული ოქროს ფაენის გარდარტყმით კოდალა მფრინვლად აქცია. შესაშედ იტალიის მეფე ფაენომ შეირთო ცოლად და მისგან შეეძინა ძე, რომელსაც ეწოდა ლატინი, მით მთელ გვარს ლატინი ეწოდაო<sup>26)</sup> მისის ჩინებულობითა.

ასეთივე ყოფა ქცევისა იყო კირკეს ძმის წული მედია, რტია მეფის ქალი, რომელიც შეუყვარდა იაზონს და ოქროს მატყლოსანი გაიტაცა მისის ხერხიანობითა და თერთანაც თან ცოლად გაჰყვა მას, მედიას იაზონისგან ორი შვილი შეეძნა თესალი და აკიმენი, სამწუხაროდ ამათ დიდ სიყვარულს დიდ სიმძულვარე დაატყდათ თავსა, იაზონმა უღალატა მედიას, წავიდა და კორინტოს კრეონ მეფის ქალი გლაეკა შეეყვარა და აღარ შორდებოდა, რაც ცუდი ჩვეულებაა დიდკაცობისა. ეს ველარ მოუთმინა მედიამ, ჯერ მისგან ნაყოლი შვილებით თესალი და აკიშენი მიამსვენა საწამლავით, რომ მისთანა

<sup>26)</sup> სწერს არნობი.

ცოლის მოლაღატეს თესლი არ დარჩენილიყო ქვეყანა-  
ზედა და მერმე კორინთის მეფის სასახლეც მთლად გარ-  
დააწვევინა და შიშ ხახრაკა მეფე მისი ცოლშვილით და  
ქონებითა. მერმე ათინის მეფე ეკიოსს მოსთხოვდა, მის-  
გან შეეძინა ძე მილი. რა ეგეო მეფე მოკვდა, მოვიდა  
მამა მის მეფე ოტიასთან და ოქროს მატყლოსნის მიზე-  
ზით მოუძღურებულნი შეფობა მისი ისევ გაუძლიერა,  
განდგომილნი შეარიგა, გავარდნილ-გაქცეულნი მოაყუა-  
ნინა, დამორჩილებულნი გაუერთგულა, მტერნი დაამოყუ-  
რა და ასე წარმატებაში მისცა მთელი კოლხიდა!

აქეთგან ცხადად ჩანს, თუ რამოდნად დაშლილი  
ყოფილა ჩვენს წინაპარებთ ცოლ-ქმრობაში მოლაღატო-  
ბა, რაზედაც დამოკიდულია ყოველი სინილისიერი კა-  
ცობრიული უმრავლესი წეს წყობილობა, თუ მათ წარ-  
მართულ კერბთ მსახურებას, ცრუ მორწმუნეობას, მიზ-  
ნობას და თვალთ მაქცობას მივხედოთ, მათი სარწმუნო-  
ების უმთავრესი კავშირი ის ყოფილა იმ დროს მიღე-  
ბული დიდ პატივად და სასახლოდ ყოველთა, რომ მის  
მეტი არა სცოდნიათ რა. უფრო უარესი იქნებოდა ვე-  
ლური და ბარბაროსული ცხოვრება რომ ჰქონოდათ,  
რომელთაც არც სჯული აქვთ სწორედ არც რამ წესიერე-  
ბა, არ იციან არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არც  
წილობა, არც რიდი, არც სიკაცხილი და არცა რა შეწ-  
ყალება, შებრალება. მართლად ჩვენ რომ გვქონოდა ცო-  
ტა რამ უფრო გარკვევით ჩვენ წარმართვ წინაპართ  
ცხოვრება, ჩვენამდის მოწვენილი წერილობით და შეგვე-



# ხალხური ლექსები

(შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან)

გორიჯვრის წმინდა გიორგი  
მალლა მთაში ასვენია  
ნადირი ბევრი მიუდის.  
მშველი, არჩვი და მელია  
დათეს რალა მიაბეინებს,  
ვაი შიში რა ძნელია.

ნახშირმა სთქვა: მეც მაქებენ,  
მეცა ვარ საქებელიო,  
წმინდა რკინა ჩემგნით მოდის  
სახნისი, საკვეთელიო.



# ინტერვიუები

(მედიისთვის გამომცემი ინტერვიუები)

- არწივმა ორი ბარტყი იცის.
- აქლემის თამაში ხილზე გამოჩნდება.
- ასეთმა ფურმა დამწიხლოს ჩემზე მეტს იწვევლიდეს.
- აგრე ჩემო დავითაო—რაღა მოგივა თავითაო.
- აღმართი და დაღმართი ორივე ღმერთმა დასწყევლოს.
- აბლაბუდაც ფიქრობს.
- ბატონისა ჯავრობაოშ ენ გეგონოს „ჯვარობაო“.
- განა იცრუსალიმში ძაღლები არ არიან?
- ღიცი, ფრისი, არგეიცი, არც გამიჩენია, არც ვიცი, როგორც გაჩნდენ ისე დარჩენენ.
- დოლა თხას რქები არ ამოუვიდა, თანის თავი პატარა ეგონა.
- დოლა თხამ წყალში ჩაიხედა, რქები არა მაქვს ჯერ პატარა ვარო.
- ეინც ვირზე შეჯდება კარგი თა ამოუვა.
- ზურგ წამხდარი ცხენი კაქკაქს ზეცაში დაინახავსო.
- თავი ბელელში შიმშილით არ მოკვდება.
- ისეთი გოდორი დასწან, რომ საშეილიშეილოდ გამოგადგესო.

- კარკს არ მიპციან ავს არ მაკადრიანო.
- კაქკაქმა ჭრელი ბარტყები იღის.
- კაცის თვ. ლს შავი მიწა გააძლობს.
- ოც-და სამსა იანვარსა კლიმია სხლაედა ვენახსა.
- ოც-და ათი წლს შემდეგ ვინც ჩონგურზე და-  
კვრას დაიწყებს საი ლოს გამოადგება.
- ორმა კაცმა რომ გითხრას ბრმა ხარ, თვალსი  
დახუჭე.
- ობლის კვერი ცხვა, გვიან გამოცხვა, როცა გა-  
მოცხვა კარგა გამოცხვა.
- როცა არ იყოს, ცოტა კმარიყოს.
- საქმე არ ჰქონდეს ხუროსა, დაჯდეს და არაკუნოსა.
- სხვათა ჭირი ლობეს ჩხირი.
- საწყალო კაცს საბაჟოზე მიუხჭრიან.
- უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ.
- ქურდის ქურდი ცხონებულია.
- ქული დასდე და სამართალი ისე გადასქერო.
- მღვდლობა მომეტე ქვაზედ შემსვი, თუ ვერ ვი-  
ცხოვრო ქვის ქვეშ შემსვი.
- ღმერთმა ორივე დასწყევლოს: ურია და მისი  
შვილი.
- შენ დაუკარ მე მიამა, მე დაუკარ შენ გიამა.
- ცხვრის ფარამ ხეს შებლავლა და ხე გახმა.
- ძალა მივიდა და სამართალი ქრდოში აძვრა.
- ძველი თივა ძველდებოდეს, ძველი ბზე კი თა-  
ფლდებოდეს.
- წმინდა გიორგის ცხვრისათვის მგელს თვალები  
უღებოდა.
- ჭინჭარი ჭირის ჭირია, სატაცური ბ. ლლამია,  
სვინტრი ყველას წამალია.

# გ ა შ ო ც ა ნ ე ბ ი

შალი თვალ გადუწოდნელი  
ნეტავ მებაღე შის სადმე?  
შიგა შის კბცი ქაბუკი  
ნეჯლსა და ხმელსა შკის სადმე. (სიკვდელი)

დაბედა ჟამი დალია  
სიყაწილისა დრონია,  
უცხოთ ესტუმრა სტუპარი  
უამბო ყოლის ძენია,  
შეკრა კბილები შექედნა  
შისთვია სახმარად ნღლია. (ხაქარიასთან ან-  
გლოზის გამოცხადება და დამუნჯება.)

ვიჩცა ცასაც სვეტად შეუდგა. (ქრისტეს  
ჯორით შესულა იერუსალიმში.)  
უთმო, უძვლო ველის ნადარი  
ვინც ვერ გამოიცინობს  
დასთმომს სადილი (წურბელა).

ქვესკნეთო ვარდო წითლო,  
ოთხო ფესვებო განზედა,  
ვინც ამას ვერ გამოიცინობს  
აღგეს გაბრძენდეს კარზედა. (ენდრო).

ქვეყანას გასწვდა  
ქვევრის თავს ვერა,  
სუყველას უნდა  
ამისი ცქერა. (ხუჭი).

# ფუაური სიმღერები

(შეკრებილი გრ. აფშინაშვილისა)

## 1

ღეთის კარზე შეიყარენით  
სამოცდა სამი ხატო...  
დაგვიდგეს სასწორ-ჩარქი, <sup>1)</sup>  
ოქროთ ნაქედი ტახტო...  
სამოცსა ლიტრა რკინასა  
ვერვინ შაუგდო ძალიო! <sup>2)</sup>  
ქვემოთით დავჯე ტახტზედა  
კვირას <sup>3)</sup> იემქე აქე თვალიო...  
— მაგას იახსარ <sup>4)</sup> აიღებს...  
არაგვის მხრისა არიო...

<sup>1)</sup> ფშაველების რწმენაა, რომ, როცა ადამიანი ამიერ სოფ-  
ლიდამ მიიკვალება და შავეთში მივა, იქ პირველად ღეთისა და  
მის წმინდანთა წინაშე წარსდგება; სადაცა სწორნი და ისე გაიგე-  
ბენ მის ცოდვა-მადლს.

<sup>2)</sup> ვერვინ მოვიდა მისი წონაო.

<sup>3)</sup> კვირავ, ფშავლის წარმოდგენით, წმინდანი, ხატო.

<sup>4)</sup> იახსარი ხატია, რომელსაცა დითქმის ფულა ფშაველი-  
ლოცულობს, უფრო კი ქისტაურას თემისა, რომელთა მატონ-პატ-  
რონად ითვლება.

ავწიე, ისე ავიღე,  
ქვეშ გაუტარე ქარიო...  
მაჩუქა დამბადებელმა  
მშვილდ-ლახტი საომარიო...

შაიყრებიან დევები, —

სადაც დიდ მეედონია,  
გაარიგებენ იმასა:  
ერთ-ურთს უჭიროთ მხარია;  
ღვთი შვილთ მაუკლათ კოპალა,<sup>5)</sup>

თავში დაუცნეთ ქვანია!

ჩამეეტია კოპალა,

ბატკნებურ გასკრა თავია!

საყუქეს წმინდა გიორგი

ყველაზე მეომარია,

თუ დევებს ჩამეეტია,

ეაი მაგათი ბრალია!

ავის გორს სახლი აუგაეთ,

შიგ დგანან ცხრანი ძმანია;

დღეა ჰყოლიათ ცხრათავე,

ცხრა ვაჟის დედაქალია...

იმათ ჰქონიყო ქორწილი,

სიმურნ ერქვიფნეს წყალნია;

თავს ედგათ სალუდე ქობი,

მეც იმით მამცეს ზავია,

ფალაფნად გამამიყვანეს

<sup>5)</sup> ღვთიშვილი ფშაველი წმინდანებს უწოდებს კოპალაც, როგორც ფშაველის სალუცავი ხატს; წმინდანთა რიცხვშია. მასაც, როგორც იახსარს, თითქმის ყველა ფშაველი ლოცულობს, განსაკუთრებით კი უძილაურის თემისა, რაჟელი ბატონ-პატრონად ითვლება.

ლეთიშვილთა იახსარია;  
მიველირე და ვერ მივედ,  
პირს დავიწერე ჯვარია!  
იმას ამბობენ ლეთიშვილნი:  
— რას ჩადის იახსარია?  
საკმისას ლახტი ვესროლე,  
თაფს დავაქციე ბანია!  
ერთ კიდევ გამოქცევიყო,  
გამოერბინნეს კარნია.  
კოქლა გამექცა პირთავქვე,  
კლდეს მოაფარა თავია;  
კლიდე ოთხად დავანაფოტე,  
დეეს გამოვთხარე თვალია! <sup>6)</sup>

<sup>6)</sup> ზემოთ მოხსენებული „ავის გორი“ ადგილია სოფ. შუა-ფხოს ახლო, სადაც თურმე დევები სახლობდნენ. ეს დევები იახსარ-მა და კოვალამ თურმე ამოწყვიტეს და განდევნეს, მხოლოდ ერთი კოქლა დევი-და გაექცა და კლდეს მოეფარა. იახსარმა ლახტი ესროლა, ლახტი კლდეს მოხვდა, კლდე ოთხად გაანაფოტა, ნატეხი დევს მოხვდა და თვალი გამოსთხარა. თვალ გამოთხრილმა დევმა ბაზალეთის ტბისაკენ მოჰკურცხლა, იახსარიც უკან გაეკიდა, დევი ტბაში ჩახტა, იახსარიც დან ჩაჰყვა და იქ მოკლა, მაგრამ იქი-დამ ამოსლვა-კი ვეღარ შესძლო: „სისხლმა გაუბანა მხარნია“ აქ უნდა შევნიშნო, რომ იახსარს ფშავლების წარმოდგენით ფრინვე-ლივით მხრები აქვს. დარჩა იახსარი ტბის ძირში. იახსარის (ყმათ) მიჰმართეს ქადაგ-მისანთ: რა გზით უშველოთ ჩვენს „ბატონსაო“ მკითხავმა უთხრათ: ტბის პირზე ოთხრქა-ოთხეყურა ცხვარი უნდა დაჰკლათო, ის დაიხსნის იახსარსაო (რწმენაა, რომ ამ გვარი მა-ხინჯი ცხვრის სულს მართლ ეშმაკეულ იწირავს). როგორც ლექბი-დანა სჩანს, ცხრა წელი უტეზნიათ ეს ცხვარი, უშოენიათ, დაუკ-ლავთ და მხოლოდ მაშინ-და „შამოუბრტყიან მხარნი“ იახსარს, ამოსულა.

იმას კარგადა სცოდნით  
ბაზალეთის ტბის გზით  
გამექცა, შიგ ჩამივარდა  
თან ჩავყუე იახსარია;  
ამოსვლით ველარ ამოვუდ,  
სისხლმა გამიბნა მხარია!  
ცხრა წელსა ძებნეს ჩემ ყმადა  
ოთხრქა-ოთხყურქა ხვარია  
დაკლიან ტბისა პურზედა:  
ღმერთო, დასწერე გვარია!  
შაფხე ბროლისა ქვაზედა,  
შამოვიტყუნ მხარია;  
დავკვლიე ჩემსა ნაჯ დომსა—  
რა ქრელნი დარჩნენ ქვანია!.

შვიდი წლის ქალი თამარი  
მეფედ თქვეს, დე დოფალია.  
ზღვის პირზე შეიყარენით,  
შაფექქა საომარია!  
ზღვმსი გადატყრა ჩიქილია  
გადაქანნა წყალნი  
შუა ზღვას ჩადვა სამანი—  
არ განდმოსცილდეს ცხვარია!  
შიგ ააშენა სიონი  
დადგა ოქროს გვარია:  
სახელი თამარ-მეფისა  
ზედ დასწერა გვარია!  
ურჯულოთი და თათართი—  
ველას საჩემუნოშც არია!..  
კარატით კარატეს<sup>1)</sup> მამე

<sup>1)</sup> ნიშებია იახსარისა.

თოკი, ზედ გასავალია;  
ასე გავიდე თოკზედა—  
ვერვინ მამკიდოს თვალია.  
მიტანილ გამამგორდა  
ჩემი პატარა ზარია;  
დაეკარ, ხმა ახალს გავარდა,  
გამაისახეთ ჯვარი! —  
ლოცვა-წირვაზე დადგოცენ  
ჩემის პირ ქუშის<sup>8)</sup> ყმანია...  
ავის გარს შამიკიდოდით  
ჩემი პატარა ზარია;  
შიდულეთ სალულდე ქობი,  
ყმანო, გეწეროთ ჯვარია!

2

კობალას მშვილდო მშვენვარო,  
გოზა წითელო,<sup>9)</sup> ფხრთოვო!  
რა ლამაზ სასინჯაფი ხარ,  
ბორბალს<sup>10)</sup> რომ დაემართოვო...  
წინ-კი ვერაფინ დაგიღგა  
ახან<sup>11)</sup> ლახტ გაიმართოვო!

3

ბრძანებდა ლაშარი ჯვარი:  
მტერმ დაშატანა ძალიო!

<sup>8)</sup> პირქუში ახადელი თემის სალოცაფია.

<sup>9)</sup> გოზა—მშვილდის საბმური, ზემელიც მშველდის წვერებს აერთებს.

„მშვილდი კებს, გოზა კიჭინებს,  
ბეჟანი ეხიდებაო“

<sup>10)</sup> ბორბალი—მთა.

<sup>11)</sup> ახან—როცა



მაჯდა თავის ლურჯასა,  
წელთ შამაირტყა ხმალიო;  
ჩაეიდა ბოდავის ძირსა,  
ვიწრონი შაკრნა გზანო.  
მოვიდეს თათრი-შვილები—  
დიდის ურჯულოს ჯარიო;  
ომი შაიქნა ძრიალი,  
გაქანდა სისხლას ღვარიო!  
ქალაქში ჩამოდიოდა  
ნაქერ-ნუქერი მკვდარიო,  
ქალაქში ურუმთ უფროსმა  
ყმათ გადაჰელო თვალიო:  
— ვინ იყო ჩემი მოჯაბრე,  
ვინ გამიწყვიტნა ყმანიო?  
— ეგრ იცის ლაშარი ჯვარმა,  
ღვთისაგანა აქვს ძალიო!  
ფშავში არ შამაიტანო  
ეგ შენი ზარბაზანიო...  
ე მაგის მოლექსებელსა  
მლაშოზედა<sup>12)</sup> მყავ ცხვარიო:  
გაეახდინ-გამოეახდინე,  
შამოეველიენ მთანიო.

4.

დიდი ვარ ლაშარი ჯვარი,  
ცასა ვკიდივარ შიბითა;  
ხმელ გორზე მდგა ბერ-მუხა,  
ზედ ასასელელი კიბითა;

<sup>12)</sup> ადგილია შირაქში.

ს—მა ერისთვიშვილმა  
ამამბრუნა ძირითა;  
დაჰხვივნა თავის მონანი,  
მინდორზე გააჯირითა...  
ღვთის კარზე შავიყარენით  
ღვთის ნაბადების დილითა;  
ბრძანება გამამივილა  
ღვთის ნაბრძანების პირითა:  
ჯერ ლუ ძეობით დავლიო,  
მერმე ქალ-ქალ-შვილითა!..

5.

ვინა თქვა:—ენამც გაჰხმება—  
ქისტეთს გაბეერდა ცხვარია,  
გაიგო ლაშარი ჯვარმა—  
წელთ შამაირტყა ხმალია;  
შაკმაზა ნისლის ფერაი,  
შამაველივნა მთანია;  
შამაუარა საყმოთა,  
შაყარა მძიმე ჯარია...  
გადვიდენ ნაროვანშია,  
არ დასწვდა წვიმის ცვარია!  
ნარჩევებ ფშავლიშვილები  
მანდ ბევრ-ბევრაი არია...  
ქვახიდის ქალას ჩაგროვდენ,  
ღმერთო დასწერე ჯვარია!  
გამაარჩივნეს თარეშნი,  
გაქანდენ, როგორც წყალია.  
წინ-წინ მივარდა ბაკზედა  
ციხელათ ობოლია.

თოფ დაჰკრეს ქისტიშვილებმა,  
ყხლა გალ ლე ცხვარა!  
მერმე დაგვიკრეს თორღვასა—  
შენა ხარ წინამძღვარია!  
მა ჩარბოდაანთ დაეთსა  
აქვს მოლალატე ხმალია...  
დაგვიკრეს კონტათ შალვასა—  
ბაღლია, უშეტარია!  
დიჯურს არ მოვკლავთ, ამბობენ  
მაგრამ არ მოგცეს ზავია.  
წყემსიკ აღასთან მოკვდება,  
არ დაანება თავია...  
თქვენ წადით, ვეღარ წამოვ ლ,  
ღმერთმა დაგწეროთ ჯვარია!..  
ჩემ თავ მოგიკვდეთ, ფშავლებო,  
თქვენი მძე ცოდვა-ბრალია:  
ზაფხულის დაგწვავთ მზე-წვიმა,  
ზამთრობით თოვლის წყვლია!  
თვალიმც საღ დაძაველებინა—  
თეთრად დაჩნდება ძვალია...  
ე მაგ ლექსაის მოთქომა  
აღვანში თუშის ქალია;  
სალექსო გამამიგზავნეთ—  
თითო შიშაქი ცხვარია,  
ან თითო საყურ-ბეჭყად,  
აქრალელებდეს ქარია!..

სამოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო-ნახსენებრი  
ბიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1900 წელსაც უოველ კვირაში ერთხელ  
ერთიდან სამ თბახსამდე

იმავე პროგრამით ლოგოც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალა წლიდან „კვალს“ შე-  
მატება პროგრამას უველ განუტყულებია, რის-  
კასაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ,  
ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავნელათ  
3 მან. 50 კაზ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგ-  
ზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო  
ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის თუელი  
შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის  
სამოკადოების კანტელარიაში“ (Дворцовая ул., ძ.  
зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში  
არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисское Редакция „КВАЛИ“

საემაწვილო ნახატებიანი უყურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი მდთაერთმება

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორც აქამდის.

უყურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეზარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო, რჩევებისაგან სანწავლებლის სამკითხველოებში საკითხავათ.

უყურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა შეიძლება:

- 1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисѣ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

1900 წ ე ლ ს

ს კ ა კ ი ს

თ ვ ი უ რ ი

# „კ რ ე ბ უ ლ ი“

(წ ე ლ ა წ ა დ ი მ ე ს ა მ ე )

გამოვა იმავე პროგრამით და იმავე პირობებით, როგორც 1899 წელს; ესე იგი გარდა საკუთარის ნაწერებისა დაიბეჭდება სხვების ნაწერებიც.

შ ა ს ი ი ბ ი ვ ე დ ა რ ა მ ბ ა :

გ ა გ ზ ა ვ ნ ი თ 7 მ ა ნ ე თ ი ,

გ ა უ გ ზ ა ვ ნ ე ლ ა დ — 6 მ ა ნ . , ნ ა ხ ე ვ ა რ ი ს წ ლ ი თ — 4 მ ა ნ .

თ ვ ი უ რ ა დ და ბ ე რ ძ ო ლ ი — 60 კ .

ფ ე ლ ს შ ე მ ო ტ ა ნ ა ნ ა წ ი ლ - ნ ა წ ი ლ ა დ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა :

ს ჯ ლ ის - მ ო წ ე რ ა ს ს 3 მ ა ნ . , ბ ა რ ვ ე ლ მ ა რ ტ ს 2 მ ა ნ . და ჰ ი ზ -

გ ე ლ მ ა გ ს ს 2 მ ა ნ .

რ ე დ ა ქ ც ი ა ი მ ე ო ფ ე ბ ა დ . ე ვ ა რ ი ლ ა შ ი

ა დ რ კ ს ე : დ . ე ვ ა რ ი ლ ა „კ რ ე ბ უ ლ ის“ რ ე დ ა ქ ც ი ა და

თ ბ ი ლ ის ი წ ე რ ა - კ ი თ ხ ე ის სა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა .

რედაქციაში შრომობენ სრულად 1899 წლის „კრებული“-ს წიგნები, გაგზავნილი 7 მანეთად, ხოლო ახალ ხელის-მომწერთ დათმობათ 16 მანეთად.

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. აკაკი.

„მოკაბა“

„სწოგის უპრცალი“

(წელიწადი მეშვიდე)

(წელიწადი მეხუთე)

ბამოვა ყოველ თვის  
პირველ რიცხვებში

ბამოვა ყოველ დღე კვი-  
რა-უჩამების შემდგომ

ფასი ჟურნალ. გაგზავნით:

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალა-  
ქებში 1 წლ. 6 თვ. 3 თვ.

რუსეთის და კავკასიის ქალა-  
ქებში 1 წლ. 1 თვ.

10 მ. 6 მ. 4 მ.

6 მ. 75 კაპ.

სამზღვარ-გარეთის ქალაქებ-  
ში 1 წლ. 6 თვ. 3 თვ.

სამზღვარ-გარეთის ქალაქებ-  
ში 1 წლ. 1 თვ.

13 მ. 7 მ. 5 მ.

7 მ. 90 კაპ.

წლათა ფასის შემოტანს შეიძლება განაწილდეს:

პირველად 5 მან., 1-ლ  
აპრილამდე 3 მან. და 1-ლ  
სექტემბრამდე 2 მან.

პირველად 3 მან., 1-ლ  
აპრილამდე 2 მან. და 1-ლ  
სექტემბრამდე 1 მან.

ვინც ორივე ბამოცემას ერთად ბამოიწერს შელა-  
ვათი მიეცემა

ჟურნალში ყოველ თვე და-  
იბეჭდება სხვათა შორის ში-  
ნაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე და-  
იბეჭდება დეპეშები, ქრონიკა  
(ახალი ამბები) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე 5 კ.  
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა  
ნაკლები ეღირება.

აღრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію  
„Моамბა“ и „Цнобисъ-Пурцели“.

# „ივერია“

გამოვა 1900 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინაღ.

## ფასები გაზეთისა

12 თვით . . . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . . . .	6 მ. — კ.
11 „ . . . . .	9 „ 50 „	5 „ . . . . .	5 „ 50 „
10 „ . . . . .	8 „ 75 „	4 „ . . . . .	4 „ 75 „
9 „ . . . . .	8 „ — „	3 „ . . . . .	3 „ 50 „
8 „ . . . . .	7 „ 25 „	2 „ . . . . .	2 „ 75 „
7 „ . . . . .	6 „ 50 „	1 „ . . . . .	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე აღრესხედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი: ხალა თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის აღგილიდგან გეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

**შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის;** ვინც გაზეთს ამ თავით შეეღოს წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მომწერის დროს 3 მან.; პირველ მარტს—2 მან.; პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მ.

## ფასი განცხადებისა:

მე 4 გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., 1-ლზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

თფილისში მდებარე ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-აზნაურობის სახლი.

## საფოსტო ადრესი:

Тифлисъ. Редакция „ИВЕРІА“.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.



# „მწეპის“ -ზე

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით «მწეპისი» ვ მ.	6 თვით «მწეპისი» 2მ-
— „რუსული“ ვ მ.	— „რუსული“ „ 2»
— „ორივე გამოცემა ნ»	— „ორივე გამოცემა ვ»

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
ევრაილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის  
მალაზიაში, ბ. შიო ქუჩაზე ილთან, ფოთში — დეკა-  
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერეში — ყარაიან  
ჩხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუროვთან;  
ახალსენაკში — ბლაღოჩინ მაჟა არისტარქ კალანდარი-  
შვილთან.

სოფლის მასწავლებლებს და ლარიბთ გაზეთები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ ქ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილე-  
ბის სახლებში და ევრაილაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში.

ბარე შე მცხოვრებთ ქუჩნალის დაბარებზე შეუძლიათ  
ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и  
журнала „МЦЕМСИ“ и «П А С Т Ы Р Ь».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწეპისი“-სა, რომელ-  
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

# „მწყემს“-ზე

№ 680



რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

12 ფიფი	«მწყემსი» 3 მ.	6 თეფი	«მწყემსი» 2 მ.
—	„რუსული“ 3 მ.	—	„რუსული“ 2
—	„ორივე გამოცემა“	—	„ორივე გამოცემა“

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შირა ქუჩაში ილთან, ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაკაროეთან; საჩხერეში — ყარაქან ჩხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოეთან; ახალსენაკში — ბლაღოჩინ მაჟარისტარქ კალანდარი შვილთან.

სოფლის მასწავლებელთა და ლაზრით გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ ქანჯრად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

# 1900

წ ე ლ ს

## ა კ ა კ ი ს

თ ვ ი უ რ ი

# „კ რ ე ბ უ ლ ი“

(წელიწადი მესამე)

გამოვა იმავე პროგრამით და იმავე პირობებით,  
როგორც 1899 წ.; ე. ი. გარდა საბუთარის ნა-  
წერებისა დაიბეჭდება სხვების ნაწერებიც.

### ფასი იგივე დარჩება

გაგზავნით 7 მან., გაუგზავნელად — 6 მან., ნახევარის წლით —  
4 მან. თვიურად და კერძო №-რი 60 კაპ.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება:  
ხელის-მ აწერისას 3 მან., პირველ მარტს 2 მან.  
და პირველ მაისს 2 მან.

რედაქცია იმუშავებს დ. უვირილაში

ადრესი: დ. უვირილა „კრებულის“ რედაქცია და  
ტყეილისა „წერა-კითხვის სალონადობა“.

რედაქციაში მოიპოვება სრულად 1899 წლის „კრე-  
ბული“-ს წიგნები, გაგზავნით 7 მანეთად, ხოლო ახალ ხე-  
ლის მომწერთ დაეთმობათ 6 მანეთად.

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. აკაკი.